

იქნება თუ არა მასშტაბური შემცირება უნივერსიტეტში?

A4



არატრადიციული არჩევნები - "რელიგიური დემოკრატიის" სიმბოლო

A5



შს მინისტრი ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში არ დაიღლება

A7


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 18 ივნისი, 2005 წელი. №136 (996)

ფასი 50 თეთრი


ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024; 8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სამშაბათს, 21 ივნისს, "24 საათი" გამოაქვეყნებს **საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის პროექტს**, რომელიც შემუშავებულია განათლების სამინისტროს მიერ. ვფიქრობთ, ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისთვის. ამიტომ კომპეტენტურ და დაინტერესებულ ადამიანებს ვთხოვთ, ყურადღება მიაქციონ ამ დოკუმენტს, გაზეთი კი მათ საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს უყოყმანოდ დაუთმობს ადგილს.

## ამინდი

| | 18/06 | 19/06 | 20/06 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 32 | 31 | 28 |
| ტყიბული | 27 | 28 | 23 |
| სოხუმი | 27 | 27 | 21 |
| დმანისი | 25 | 27 | 22 |
| გორი | 27 | 28 | 24 |
| ონი | 25 | 22 | 20 |
| ზუგდიდი | 30 | 31 | 25 |
| ახმეტა | 32 | 30 | 28 |
| გაგრა | 25 | 21 | 19 |
| სამტრედია | 31 | 32 | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | კვირა | B6 |
| სამართალი | A7 | ტენდერი | B7 |
| თვალსაზრისი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# მათ დაამთავრეს სკოლა



ლევან ხერხეულიძის ფოტო

დალი კუპრავა

ისინი 30 ათასზე მეტნი არიან. მათ დაამთავრეს სკოლა. ადრე ქალაქის ქუჩებში შეუმჩნეველი არავის დარჩებოდა ეს დღე, თეთრპერანგიანი და თეთრწინსაფრიანი ახალგაზრდები ფუნიკულიორს ეტანებოდნენ, ვაკის პარკში სეირნობდნენ. ბოლო წლებში "ბოლო ზარი" უფრო კამერულად აღინიშნება - საკუთარ სკოლაში და საკუთარ სკოლასთან. შემდეგ ახალგაზრდები კლუბებსა და კაფეებში იყრიან თავს - დროის გასატარებელი ადგილები უფრო მრავლადაა.

დიდ დიღომში, ხელოვნების კოლეჯში მეთერთმეტეკლასელებმა თეთრ პერანგებზე ერთმანეთს კეთილი სურვილები მიუძღვნეს და სკოლას საჩუქარი გაუკეთეს - ბოლო ზარი საკუთარი შემოქმედებით აღნიშნეს. სტუმრებს ფოლკლორი, შექსპირის "ზაფხულის ღამის სიზმარი", ფერწერა და ქანდაკება შესთავაზეს. მასწავლებელმა მათ ბოლო დავალებაც მისცა და გაახსენა, რომ 17 ივნისი, უკვე მეორე წელია, "ვეფხისტყაოსნის" კითხვის დღეა. უკვე "ყოფილებმა" დავალება შეასრულეს და აფორიზმებით გაიხსენეს "ვეფხისტყაოსანი". შემდეგ "მომავალ თაობას" უსურვეს, რომ არ გააცდინონ დრო და ისწავლონ. თითქმის ყველა აღნიშნავდა, რომ ბევრ რამეს შეცვლიდა განვლილ, სკოლის წლებში, მაგრამ სკოლის ბილიკი უკვე გავლილია და გონიერება სწორედ ისაა, რომ მომავალი ბილიკები ნაკლები შეცდომებით გაიარონ.

წლევანდელი კურსდამთავრებულები საქართველოს განათლების ისტორიას რეფორმის პიონერებად შემორჩებიან: ისინი პირველები ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

# პარლამენტში "ნიკალაშოუ" არ მოსწონთ

*სწრაფი კვების ქსელ "ნიკალას" ორ რესტორანში ფინანსური პოლიციის სპეცრაზმის შეჭრას პარლამენტარების მხრიდან გუშინ საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები შეფასებებში საკმაოდ ერთსულოვანნი იყვნენ. 16 ივნისს მომხდარი ფაქტი თითოეულმა მათგანმა მკაცრად დაგმო.*

გიორგი ასანიშვილი

"მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე კოლეგებს შეახსენებს, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შეიარაღებული ხალხის თარეში ყველა ნორმალურ ქვეყანაში სასტიკად აკრძალულია. მისი თქმით, ფინანსური შემოწმებები აუცილებლად უნდა ტარდებოდეს, მაგრამ არა ასეთი ამაზრზენი ფორმით. გამყრელიძის აზრით, "ნიკალაში" შეჭრამ დაადასტურა, რომ ხელისუფლება ბიზნესმენთა დაშინებას ძალოვანი მეთოდებით ცდილობს. ოპოზიციონერი პარლამენტარი ითხოვს, ფინანსთა მინისტრმა გამოარკვიოს, თუ ვინ გასცა "ნიკალაში" სპეცრაზმის შეჭრის განკარგულება და დამნაშავეები დასაჯოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი თავად ვალერი ჩეჩელაშვილის პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს.

ნიღბიანი და შეიარაღებული ადამიანების რესტორანში შეჭრას "კონსერვატორი" ზვიად ძიძიგურიც აპროტესტებს. **"საინტერესოა, ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი იცნობს თუ არა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციას,"** - "აინტერესებს" კობა დავითაშვილის თანამებრძოლს.

არანაკლებ მწვავე იყო სახელისუფლებო ფრაქციის წევრთა გამოსვლები. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე მოუწოდებს სპეცრაზმის შეჭრის დროს "ნიკალაში" მყოფ იმ მოქალაქეებს, რომლებმაც ნერვიული სტრესი გადაიტანეს, სამართლოს მიმართონ და დამნაშავეთა დასჯა მოითხოვონ.

**"მკალავიშვილის დასაკავებლად მივიდნენ და, ბოლოს, ეკლესია აიღეს შტურმით,"** - თავის მხრივ, წარსულს იხსენებს და მასთან პარალელების გავლებას ცდილობს მეგი გოცირიძე.

ფინანსური პოლიციის მიერ განხორციელებულ სპეცოპერაციას პარლამენტის თავმჯდომარეც ეხმაურება.

**"საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე როგორ უნდა ვილაპარაკოთ, როდესაც სწრაფი კვების ობიექტებში ასეთი რამ ხდება?!"** -

გაგრძელება A2 გვერდზე

# გადავადებული კონსტიტუცია და ჩიხში მყოფი ბიუჯეტი

თიკო მაჭარაშვილი

*გუშინ ბრიუსელში დასრულდა ევროპის პირველი პირების ორდღიანი შეხვედრა, რომელზეც ევროპული კავშირის 2007-2013 წწ ბიუჯეტი და ევროკონსტიტუციის რატიფიკაციის პროცესი განიხილებოდა. სამიტის მთავარი შედეგი ევროკონსტიტუციის რატიფიკაციის, სულ ცოტა, ერთ წლით გადავადებაა. "ევროოპტიმისტთა" სამწუხაროდ, სხვა მტკივნეულ საკითხებზე, მათ შორის ბიუჯეტზე, შეთანხმება ვერ მოხერხდა.*

ბრიუსელის ორდღიან სამიტზე ევროკავშირის 2007-2013 წწ ბიუჯეტზე შეთანხმების პროცესი დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დაპირისპირებამ შეაფერხა. ევროკავშირის საბჭოს მოქმედმა თავმჯდომარემ ჟან-კლოდ იუნკერმა სცადა, კრიზისიდან გამოსავალი მოეძებნა.

გაგრძელება A5 გვერდზე



*ევროკავშირში "დიალოგისა და დებატების" ინტენსიური და ხანგრძლივი პერიოდი იწყება.*

# მაჟორიტართა "ბრწყინვალება და სიღარიბე"

თამარ მჭედლიშვილი

*ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობა ყველაზე მეტ პრეტენზიას მაჟორიტარ დეპუტატებს უყენებს. საქართველოს ნებისმიერ რაიონში ძნელად თუ მოიძებნება ამომრჩეველი, რომელიც სისტემატურად ხვდება საკუთარ მაჟორიტარს და მას კონკრეტული პრობლემების გადაჭრას სთხოვს. მიზეზი მარტივია - დეპუტატები თავად არ ხვდებიან ამომრჩევლებს. თავის მხრივ, მაჟორიტარი დეპუტატები საკუთარ ნაკლებეფექტურ საქმიანობას რამდენიმე მიზეზით ხსნიან. სწორედ ამ მიზეზების გარკვევა სცადა არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ". რა უშლის ხელს ხალხის რჩეულებს საკუთარი მოვალეობის შესრულებაში? - ამ კითხვას მაჟორიტარებმა, დაახლოებით, ერთი და იგივე პასუხი გასცეს.*

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" (ISFED), პროექტის - "აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება" - ფარგლებში საქართველოს ყველა რაიონში, მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის შესწავლის მიზნით, კვარტალურ გამოკითხვას ატარებს. გამოკითხვის პირველ რაუნდში 58-მა, მეორეში - 53-მა მაჟორიტარმა დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა. მესამე რაუნდი კი, ფაქტობრივად, 15 ივნისიდან დაიწყო.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საფინანსო პოლიციას კონტრაბანდისტები გაექცნენ

თეა თედლიაშვილი
გორიდან

*გორის საფინანსო პოლიციის თანამშრომლების მიერ საეჭვო ავტომანქანის დაკავების მცდელობა სროლით დასრულდა. მანქანის დაკავება ვერ მოხერხდა, იმის მიუხედავად, რომ მის შესახებ ინფორმაცია წინასწარ იყო ცნობილი და დაკავების ოპერაცია უშუალოდ გორის ფინანსური პილიციის შენობასთან ჩატარდა. ძებნილი მანქანა რამდენიმე საათში პოლიციას თავად მფლობელმა ჩააბარა.*

გუშინ შუადღისას, საფინანსო პოლიციის თანამშრომლებმა კონტრაბანდით დატვირთული "ოპელის" მარკის ავტომობილის გაჩერება სცადეს, თუმცა მანქანიდან პოლიციელების მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროლეს. სროლას საფინანსო პოლიციელების თანამშრომლებმაც ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლით უპასუხეს. კონტრაბანდული ტვირთით დატვირთული ავტომობილი პოლიციელებს გაექცა და გორის ქუჩებში მიიმალა.

საფინანსო პოლიციის თანამშრომლების თქმით, ავტომობილი, სავარაუდოდ, კონტრაბანდული სიგარეტით, იარაღით და ნარკოტიკებით იყო დატვირთული.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ოპელს" სპეცრაზმის თანამშრომლების ორი ავტომობილი აცილებდა. ასეთ ვერსიას არ უარყოფს საფინანსო პოლიციის უფროსი ზურაბ არსოშვილი: **"წინასწარი მონაცემებით, გასროლა "ოპელიდან" ორი იარაღიდან მოხდა. ჩვენ, პროკურატურის დახმარებით, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დამნაშავეები დაისაჯონ და ციხეში წავიდნენ. არ არის გამორიცხული, რომ საქმეში გარეული იყვნენ სამართალდამცავი**

გაგრძელება A3 გვერდზე

# შპს "საქართველოს ტელეკომის" სასარგებლოდ აღსრულება აკრძალეს

აღსრულება სასამართლოს გადაწყვეტილებისა, ისეთი დიდი ორგანიზაციის წინააღმდეგ, როგორიც სს "საქართველოს ელექტროკავშირია", არ უნდა შეფერხებულიყო, მაგრამ ყველაფერი პირიქით აღმოჩნდა: შპს "საქართველოს ტელეკომი" ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროში მოულოდნელ წინააღმდეგობებს წააწყდა - აღსრულება გაჭიანურდა სამართლებრივად გაუგებარი მიზეზებით და აშკარა ფორმით. როგორც ჩანს, სს "საქართველოს ელექტროკავშირის" საბანკო ანგარიშებიდან დაახლოებით 700 000 ლარის იძულებითი წესით არჩამოწერით ზოგიერთი გავლენიანი პირია დაინტერესებული. საბოლოოდ, მოხდა ის, რომ შპს "საქართველოს ტელეკომის" სასარგებლოდ ქ. თბილისის სააღსრულებო ბიურომ არ შეასრულა კანონით მასზე პირდაპირ დაკისრებული ვალდებულება და იძულებითი აღსრულება დღესაც არ მომხდარა. დღეისათვის უკვე გამოიკვეთა ამ გაჭიანურების რეალური მიზეზები - სს "საქართველოს ელექტროკავშირმა" თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სასარჩელო განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმების თაობაზე, რომელსაც თან ერთვოდა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სააღსრულებო მოქმედებათა შეჩერების შესახებ. მოსამართლე თ. შავერდაშვილმა სარჩელი წარმოებაში მიიღო, მაგრამ 2005 წლის 16 ივნისს გამოიტანა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად სააღსრულებო საბუთის შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ.

ყველაფერი შემდეგნაირად დაიწყო: 2003 წლის 23 მაისს შპს "საქართველოს ტელეკომსა" და სს "საქართველოს ელექტროკავშირს" შორის გაფორმდა მორიგების აქტი, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. ზემოაღნიშნული მორიგების აქტის მიხედვით, სს "საქართველოს ელექტროკავშირმა" იკისრა ვალდებულება შპს "საქართველოს ტელეკომის" წინაშე, რომ გარკვეული დროის მანძილზე დაფარავდა დავალიანებას დაახლოებით 2 000 000 ლარის ოდენობით. ეს ვალდებულება სს "საქართველოს ელექტროკავშირის" მიერ სრულად არ იქნა შესრულებული: მან გადაიხადა თანხის ნაწილი (რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ვალდებულების არსებობა), დარჩენილი თანხის - დაახლოებით 700 000 ლარის გადახდაზე კი უარი განაცხადა და მიმართა სასამართლოს აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულების გაბათილების მიზნით. თუმცა, უსაფუძვლობის გამო, მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და შპს "საქართველოს ტელეკომის" სასარგებლოდ, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, გაიცა სააღსრულებო ფურცელი დარჩენილი თანხის იძულებითი წესით გადახდის თაობაზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ახლად რეფორმირებული სასამართლოს კომპეტენტურობასა და კანონმორჩილებაში და გვჯერა იმისა, რომ იგი არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან უცხოური ინვესტიციებით შექმნილ კომპანიას შეიძლება გამოუსწორებელი მატერიალური ზიანი მიაყენოს, რაც, რასაკვირველია, ნეგატიურად აისახება ქართულ საინვესტიციო გარემოზე და მის ლიბერალიზმს მითად აქცევს.

ჩვენ, ჩვენის მხრივ, დავძენთ, რომ სააღსრულებო ბიუროს მხრიდან შპს "საქართველოს ტელეკომის" ინტერესების უგულებელყოფის შემთხვევაში, მივმართავთ ყველა სამართლებრივ გზას სასამართლოს მიერ მონიჭებული უფლების სრული მოცულობით განსახორციელებლად.

*შპს "საქართველოს ტელეკომის" ადვოკატები:*
*ლევან ჯანაშია*
*ილია წულაია*

# შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა

მოსკოვში 20-21 ივნისს შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა გაიმართება. "სამხრეთ ოსეთის" თვითგამოცხადებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი არ გამორიცხავს, რომ შეხვედრაში საქართველოსა და "სამხრეთ ოსეთის" შინაგან საქმეთა მინისტრებმა მიიღონ მონაწილეობა. შერეული საკონტროლო კომისია, რომელშიც ქართული, ოსური, ჩრდილოეთ ოსეთისა და რუსული მხარეები შედიან, კონფლიქტის ზონაში შექმნილ დაძაბულ ვითარებას განიხილავს.

*მედიანიუსი*


**შ.პ.ს."აჭარის ენერგოკომპანია" , ფილიალების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს: კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო ბალანსების შედგენა(კომპილაცია).**

dato.gogichaishvili@aec.ge



**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:**

**98-57-81**



**"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.**

**პირობები:**

1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

**საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 "საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი". ტ. 34 76 58**


# პარლამენტში "ნიკალაშოუ" არ მოსწონთ

პირველი გვერდიდან

გაოცებას და აღშფოთებას ერთდროულად გამოხატავს ნინო ბურჯანაძე, რომლის აზრითაც, ასეთი "ოპერაციებით", პირველ რიგში, თავად სპეცრაზმელთა ავტორიტეტი ილახება. პარლამენტის სპიკერს მიაჩნია, რომ "ნიკალას" ობიექტების შემოწმება ცივილიზებული ფორმით უნდა მომხდარიყო და ეს რესტორნების დაკეტვის შემდეგ, ღამის 12 საათისთვის გაკეთებულიყო.

პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნით, ახსნა-განმარტებისთვის საკანონმდებლო ორგანოში დავით კეზერაშვილი გამოიძახეს, რომელიც გუშინ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე წარდგა.

შეხვედრა დახურულ კარს მიღმა შედგა, რადგან, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის თქმით, **"საჭირო არ იყო სხდომის შოუდ გადაქცევა."**

სხდომის დახურვამ ოპოზიცია აღაშფოთა. ფიქრია ჩიხრაძის მოწოდებამ, რომ საკითხზე მსჯელობა მასმედიის მონაწილეობით მომხდარიყო, შედეგი არ გამოიღო. დახურულ კარს მიღმა გამართული განხილვიდან კი ჟურნალისტებისთვის მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ კეზერაშვილი 10 დღის განმავლობაში დაასახელებს იმ პირის ვინაობას, ვინც "ნიკალაში" სპეცრაზმის შეყვანის განკარგულება გასცა.

გუშინ პარლამენტის საგაზაფხულო სესიამ მუშაობა დაასრულა, თუმცა არდადეგებზე წასვლა ჯერ ადრეა: სავარაუდოდ, მომავალ კვირაში რიგგარეშე სესია ჩატარდება.



*უმრავლესობა და ოპოზიცია ერთნაირად უარყოფითად შეხვდა "ნიკალაში" მომხდარ ინციდენტს.*

# პრივატიზებულ ქონებას ქალაქი დაიბრუნებს

*შპს "საქნავთობგეოფიზიკის" ლაბორატორიის ბედს ქალაქის მერი, საბოლოოდ, 20 ივნისს გადაწყვეტს. თუმცა, წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ შენობა, ალბათ, კანონიერ მესაკუთრეს, ანუ სახელმწიფოს დაუბრუნდება. ჯერჯერობით კი, ლაბორატორიის შენობის 4 100 კვადრატულ მეტრამდე ფართი "საქნავთობგეოფიზიკის" 23 თანამშრომელს საცხოვრებელ ბინებად აქვს დანაწილებული.*

ნანა ქადაგიშვილი

ვაშლიჯვარში, გოძიაშვილის მეორე შესახვევი №17-ში მდებარე საქნავთობგეოფიზიკის ლაბორატორია (რომელიც, თავის დროზე, მესაკუთრის, საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მიერ 171 ათას ამერიკულ დოლარად იყო შეფასებული), 90-იან წლებში შპს "საქნავთობგეოფიზიკის" კოლექტივს იჯარით გადაეცა. თუმცა, 1998 წელს სამინისტრომ ეს საიჯარო ხელშეკრულება გააუქმა, რადგან მეიჯარემ იჯარის გადახდა ვერ შეძლო. 2002 წლის 9 აგვისტოს ქონების მართვის სამინისტრომ თბილისის ქონების მართვის სამმართველოს აღნიშნული ლაბორატორიის შენობის საკუთრებაში მიღება (შემდგომი პრივატიზების პირობით) დაავალა. ქონების მართვის სამმართველოს აღნიშნული დავალება არ შეუსრულებია. სამაგიეროდ, ქალაქის მაშინდელმა პრემიერმა გია შერაძემ 2002 წლის 17 სექტემბერს გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც, ლაბორატორიის შენობა "საქნავთობგეოფიზიკის" კოლექტივს საბინაო ფონდად, სრულიად უსასყიდლოდ, გადასცა. დაწესებულების ხელმძღვანელობამ ლაბორატორიის 4 100 კვადრატულ მეტრამდე ფართი 23 თანამშრომელზე გადაანაწილა. მათ მომავალი საცხოვრებელი ბინების პროექტი უკვე გაკეთებული აქვთ, თუმცა, უკვე საეჭვოა, რომ ეს პროექტი რამეში გამოადგეთ.

მერიის კანონის დაცვის გენერალური ინსპექციის თანამშრომელმა ჯემალ ამირანაშვილმა აღნიშნული საკითხის კვლევა მაშინვე დაიწყო და დაადგინა, რომ 2002 წლის 17 სექტემბრის №534 განკარგულება პრემიერის მიერ უკანონოდ არის გაცემული. თუმცა, მაშინ ამ კვლევისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მოგვიანებით, ამირანაშვილის მიერ მოძიებული მასალებით გენერალური ინსპექციის დღევანდელი ხელმძღვანელობა დაინტერესდა და, გუშინ, ქალაქის მერს წარუდგინა ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც პრემიერის აღნიშნული განკარგულების ბათილად ცნობას ითხოვს.

როგორც ინსპექციის მიერ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, პრემიერმა გია შერაძემ ლაბორატორიის შენობა "საქნავთობგეოფიზიკის" თანამშრომლებს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადასცა. ამას დაწესებულების ხელმძღვანელი გურამ სანაძეც ადასტურებს. **"საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ლაბორატორია მთლიანად გაიძარცვა. შენობაში დევნილები და სოფლებიდან ჩამოსული მოსახლეობა შეიჭრა. ქალაქის მთავრობას ვთხოვეთ, შენობა ჩვენთვის გადმოეცა. მაშინდელი ვიცე-პრემიერი მეძმარიაშვილი შეგვპირდა, თუკი დევნილებს გამოვიყვანდით, შენობას მოგვცემდა. ვაკე-საბურთალოს რაიონული და საოლქო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, ლაბორატორიაში უკანონოდ შეჭრილი ხალხის გამოსახლება მოვახერხეთ. ქალაქის მთავრობამ პირობა შეასრულა და პრემიერის განკარგულებით, შენობა საბინაო ფონდის სახით გადმოგვეცა. შემდგომში კი საკრებულოს მაშინდელმა თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა ბინის ორდერებიც მოგვცა,"** - აცხადებს სანაძე.

როგორც მერიის კანონის დაცვის გენერალურმა ინსპექციამ დაადგინა, პრემიერმა, აღნიშნული განკარგულებით, საკუთარ უფლებამოსილებას გადაამეტა. **"თბილისის პრემიერმა ქონების მართვის სამინისტროს, ე.ი. სახელმწიფოს და არა ქალაქის კუთვნილი შენობა გააჩუქა. ამიტომ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 193-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული ადმინისტრაციული აქტი ბათილად უნდა იქნას ცნობილი. ქალაქის მერს ვთხოვთ, პრემიერის განკარგულება გააუქმოს,"** - აცხადებს მერიის კანონის დაცვის გენერალური ინსპექციის უფროსი გიორგი ხაბაშვილი. მას მერიის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურის უფროსი ლევან ალაფიშვილიც ეთანხმება. **"ქალაქის პრემიერს ქონების მართვის სამინისტროს კუთვნილი შენობის გასხვისების უფლება არ ჰქონდა. ესეც რომ არა, არასაცხოვრებელი ფართი საბინაო ფონდად მხოლოდ მას შემდეგ გაიცემა, თუკი ამ არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზებაზე კონკურსი გამოცხადდა და იგი არავინ იყიდა. აღნიშნული ლაბორატორიის შენობის გასხვისებაზე კი ტენდერი არ გამოცხადებულა,"** - განმარტავს ალაფიშვილი.

შპს "საქნავთობგეოფიზიკის" ხელმძღვანელობა გენერალური ინსპექციის მოთხოვნას აპროტესტებს. თუკი პრემიერმა კანონი დაარღვია, ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ ქალაქის მთავრობას ვენდეთ, - აცხადებენ დაწესებულების თანამშრომლები. თუმცა, საეჭვოა, რომ მათმა პროტესტმა ქალაქის მერის საბოლოო გადაწყვეტილებაზე იმოქმედოს.

# სიგარეტზე აქციზის შემცირებას ახალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა

*თამბაქოს კონტროლის ეროვნული ცენტრი ბიზნესმენთა ფედერაციას თამბაქოს ინდუსტრიის ლობირებაში ადანაშაულებს. "ფედერაცია აქტიურად ცდილობს სიგარეტის სააქციზო გადასახადის შემცირებას," - აცხადებს ცენტრი და ფედერაციის წევრებს ჯანსაღი ბიზნესის მხარდაჭერას ურჩევს.*

ნანა ქადაგიშვილი

თამბაქოს წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციები ამიერიდან ერთიანი ძალებით იბრძოლებენ. ახლახან, ხუთი ორგანიზაცია ერთ, თამბაქოს კონტროლის ეროვნულ ცენტრში გაერთიანდა. ცენტრის პირველი სამიზნე ბიზნესმენთა ფედერაციაა. **"ბიზნესმენთა ფედერაცია აქტიურად ცდილობს საგადასახადო კოდექსის კორექტირებას სიგარეტის სააქციზო გადასახადის შემცირების მიზნით. ფედერაციის წევრების ავტორიტეტს თუ გავითვალისწინებთ, მათი აქტიურობა მართლაც შემაშფოთებელია. ფედერაცია მთავრობას უქმნის ილუზიას, თითქოს სააქციზო გადასახადის შემცირება საზოგადოების მოთხოვნაა. რეალურად კი, თამბაქოს ინდუსტრიას ლობირებს,"** - აცხადებს ცენტრის ხელმძღვანელობა.

თამბაქოს წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციები ირწმუნებიან, რომ სააქციზო გადასახადის გაზრდის შემდეგ ქვეყანაში მწეველთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. თუმცა, ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორს გიორგი ისაკაძეს ამაში ეჭვი ეპარება. მისი განცხადებით, გაზრდილი სააქციზო გადასახადი თავისტკივილია და მეტი არაფერი, რადგან ამითი კონტრაბანდის გაზრდას ვუწყობთ ხელს და საბიუჯეტო შემოსავლებიც მცირდება. **"წელს, გეგმის მიხედვით, ბიუჯეტში თამბაქოს რეალიზაციიდან 180 მილიონი ლარის შემოსავალი უნდა შევიდეს, თუმცა, ძალიან ვეჭვობ, რომ ამ გეგმის შესრულება შევძლოთ, ისე იმატა კონტრაბადამ,"** - აცხადებს ისაკაძე. თამბაქოს კონტროლის ეროვნულ ცენტრს კი განსხვავებული მონაცემები აქვს. **"ფინანსთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, წელს იანვრიდან მაისამდე თამბაქოს რეალიზაციიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავალი, დაახლოებით, 10-ჯერ გაიზარდა. გადასახადის გაზრდა-შემცირებას კონტრაბანდასთან არავითარი კავშირი არა აქვს. კონტრაბანდა მხოლოდ ადმინისტრირების გააქტიურებით შემცირდება,"** - აცხადებს თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის (თამბაქოს კონტროლის ეროვნული ცენტრის ერთ-ერთი წევრი ორგანიზაცია) ხელმძღვანელი გელა კობეშავიძე.

თამბაქოს კონტროლის ეროვნული ცენტრი ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორთან შეხვედრას ითხოვს. **"ვიმედოვნებთ, რომ ისაკაძე ამაზე უარს არ გვეტყვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფედერაციის ეზოში ფართომასშტაბურ შეხვედრას მოვაწყობთ,"** - აცხადებს ცენტრის ხელმძღვანელობა.

ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი თამბაქოს მოწინააღმდეგე ორგანიზაციებთან საუბარზე უარს მართლაც არ ამბობს. **"მზად ვარ მათთან შესახვედრად, რათა ყველაფერი გაირკვეს,"** - აცხადებს ისაკაძე.

## მოკლედ

### რუსეთის საგარეო უწყება ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებებით კმაყოფილია

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფასებით, მოსკოვში ქართულ-აფხაზურ საკითხზე გამართული მოლაპარაკებები ნაყოფიერი იყო.

"სასიამოვნოა, რომ ჯგუფების მუშაობამ, რომელთა მოწვევაც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მოხდა, ნაყოფიერად ჩაიარა და მიმართული იყო პრაქტიკული შედეგების მიღწევისკენ," - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ დოკუმენტში.

დეპარტამენტში აცხადებენ, რომ მხარეებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო ხაზის აღდგენის მიზნით რკინიგზის ინფრასტრუქტურის შესწავლის საკითხი განიხილეს და რკინიგზის დათვალიერებისას, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, 1 ივლისამდე ექსპერტთა შეხვედრის ჩატარებაზე შეთანხმდნენ.

"შეხვედრის მონაწილეებმა შეათანხმეს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ მომზადებული დოკუმენტები გალის რაიონში დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრაციის მონაცემების გადამოწმების შესახებ. მნიშვნელოვანია მონაწილეთა მიერ გამოთქმული წინადადება, რომ ეს პროცესი მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყოს," - ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების ცნობარში.

დოკუმენტში, ასევე, აღნიშნულია, რომ რუსეთი, როგორც სოჭის შეთანხმების მონაწილე მხარე, ამ პროცესს აქტიურ მხარდაჭერას აღმოუჩენს. **მედიანიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** რუსული გაზეთი "კომერსანტი" აქვეყნებს სტატიას, რომელიც 15-16 ივნისს მოსკოვში ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის გამართულ მოლაპარაკებებს შეეხება. გაზეთის ცნობით, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა კატეგორიული უარი განაცხადა წინადადებაზე, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი გალში დევნილთა დაბრუნების საკითხთან ერთად განხილულიყო. რუსული გაზეთის ცნობით, ქართულმა მხარემ მოლაპარაკებების დროს მდინარე ფსოუზე ერთობლივი ქართულ-აფხაზური საბაჟო პუნქტების გახსნის საკითხი დააყენა. "აფხაზურმა მხარემ ამ წინადადების განხილვაზეც კი უარი განაცხადა, იმ მოტივით, რომ აფხაზეთსა და რუსეთს შორის საზღვარს მხოლოდ აფხაზი მესაზღვრეები და მებაჟეები გააკონტროლებენ," - წერს "კომერსანტი". გაზეთის მონაცემებით, ქართული მხარე, თავის მხრივ, მდინარე ენგურზე საბაჟო პუნქტის გახსნის წინააღმდეგია იმ არგუმენტით, რომ ეს აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის საზღვრის კანონიერი დემარკაციის მანიშნებელი იქნება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ კოკოევი ჩრდილოეთ ოსეთს ესტუმრა. "ვლადიკავკაზში სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს შორის ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების საკითხს განვიხილავთ," - აცხადებს კოკოევი. 10 ივნისს რუსულ გაზეთ "ნოვაია გაზეტა"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ჩრდილოეთ ოსეთის ახლად დანიშნულმა ლიდერმა თეიმურაზ მამსუროვმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთს უნდა შეუერთდეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 20-25 ივნისს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ოფიციალური ვიზიტით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ეწვევა. იგი შეხვედრებს გამართავს ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობის შანხაის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარესთან კუმ სიუე პინთან, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელობასთან. საპარლამენტო დელეგაციაში შედიან: მაია ნადირაძე, ნოდარ გრიგალაშვილი, ირინე ქურდაძე, ვაჟა კილაძე, ზურაბ ცქიტიშვილი, ივლიანე ხაინდრავა, თამაზ ყაჭეიშვილი. დელეგაცია თბილისში 25 ივნისს დაბრუნდება. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ვიქტორ იუშენკო საქართველოში ივლისის მეორე ნახევარში ჩამოვა

კიევში მიმდინარე ეკონომიკური ფორუმის - "მინი-დავოსის" ბოლო ნაწილში ქართულმა მხარემ მონაწილეობა არ მიიღო. "მინი-დავოსის" მეორე დღეს საქართველოს პრეზიდენტი სხვა ღონისძიებებში მონაწილეობდა; მიხეილ სააკაშვილი ხელმეორედ შეხვდა უკრაინის პრეზიდენტს. შეხვედრისას გადაწყდა, რომ ვიქტორ იუშენკო საქართველოში 15 ივლისისთვის ჩამოვა.

შემდეგ პრეზიდენტები ტარას შევჩენკოს სახელობის ბულვარზე საქართველოს საელჩოს ახალი შენობის მშენებლობას დაესწრნენ. მშენებლობა 2007 წელს დასრულდება.

მიხეილ სააკაშვილმა და ვიქტორ იუშენკომ საელჩოს მაკეტი დაათვალიერეს, შემდეგ შენობის საძირკველში საზეიმოდ ჩადეს ის კაფსულა, რომელშიც დავით აღმაშენებლის საფლავიდან წამოღებულ მიწასთან ერთად, უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტების ხელმოწერილი დოკუმენტებია მოთავსებული.

"ეს ისტორიული მომენტია. უკრაინაში ჩემი ცხოვრების პერიოდში ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ კიევის ამ ისტორიულ უბანში დამოუკიდებელი საქართველოს საელჩოს მშენებლობა დაიწყებოდა და მასში მონაწილეობას მეც მივიღებდი," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მშენებარე საელჩოს პრეზენტაციის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი მის მიერ დამთავრებულ, ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტს ესტუმრა და უკრაინელი სტუდენტების წინაშე სიტყვით გამოვიდა.

*მედიანიუსი*

## ირაკლი ოქრუაშვილი აშშ-ს პოლიტიკურ და სამხედრო ელიტას ხვდება

აშშ-ში ერთკვირიანი ვიზიტის დროს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი რუსული ბაზების ქვეყნის ტერიტორიიდან გაყვანის, კონფლიქტების დარეგულირებისა და ნატო-ში გაწევრიანების საკითხებს განიხილავს.

"სენატორ მაკკეინთან და სენატორ ლუგართან ჩვენ რუსული ბაზების გაყვანის საკითხი განვიხილეთ. მხარდაჭერა მივიღეთ იმაში, რომ ეს პროცესი ბოლომდე უნდა მივიდეს... ჩვენ მოვილაპარაკეთ იმის შესახებ, რა სფეროებში გვჭირდება დახმარება საქართველოსა და ნატო-ს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის ვადამდე შესასრულებლად და შემდეგ ეტაპზე გადასვლისთვის - ქვეყნის მიერ ნატო-ს წევრობის კანდიდატობის მიღება," - განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ განიხილა საკითხები, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტებს უკავშირდებოდა.

"აქ მკვეთრად იგრძნობა ამერიკელი კოლეგების პოზიცია - კონფლიქტები მშვიდობიანად უნდა გადაიჭრას, მაგრამ შეუძლებელია ხანგრძლივი დროის მანძილზე სტატუს-კვოს შენარჩუნება. ეს ხელს უშლის საქართველოს განვითარებას და ეწინააღმდეგება ნატო-ში ინტეგრაციის პროცესს," - აცხადებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი და დასძენს: "ჩვენ არ გვსურს, რომ ჩვენთვის არასასურველი ქვეყანა ამ კონფლიქტებით სპეკულირებდეს და ამით ხელს გვიშლიდეს ნატო-სკენ სწრაფვაში. გვინდა დავარწმუნოთ ჩვენი ამერიკელი კოლეგები, რომ საქართველოს შეიძლება გაეწიოს მხარდაჭერა ალიანსში შესვლისას კონფლიქტური ზონების საკითხის გადაუჭრელად."

თავდაცვის მინისტრი პენტაგონში "მრგვალ მაგიდაზე" მოხსენებით გამოვიდა. მან საქართველოში სამხედრო რეფორმების მსვლელობაზე ისაუბრა.

ირაკლი ოქრუაშვილი აშშ-ს თავდაცვის მდივანს დონალდ რამსფელდსაც შეხვდება, რომლის დროსაც განიხილავენ ქართულ-ამერიკული სამხედრო პროგრამის გაგრძელებას, ასევე, ნატო-სთან საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის ("აი-პა-პი") შესრულების საკითხებს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი აშშ-ში ვიზიტს 18 ივნისს დაასრულებს.

*მედიანიუსი*

# საფინანსო პოლიციას კონტრაბანდისტები გაექცნენ

პირველი გვერდიდან

**სტრუქტურების ყოფილი ან ამჟამინდელი თანამშრომლები,"** - ამბობს არსოშვილი.

საფინანსო პოლიციამ ოპერატიული ინფორმაცია 16 ივნისის საღამოს მიიღო, დახმარებისთვის არც ერთი სამართალდამცავი ორგანოსთვის არ მიუმართავს.

**"ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ ავტომანქანა "ოპელ კალიბრა" ცხინვალიდან გორის მიმართულებით უნდა გამოსულიყო, რომელიც დატვირთული იქნებოდა კონტრაბანდული უაქციზო სიგარეტით. ინფორმაციის რეალიზაციის მიზნით, ჯგუფი გავიდა კარალეთის საგუშაგოზე, რათა შემოსული ავტომობილი დაეფიქსირებინა. მაგრამ დამნაშავეები ოპერატიულ ჯგუფს არ დაემორჩილნენ. ჩვენ ვერ დავაკავეთ ისინი, მაგრამ საქმეში ჩართულია ადგილობრივი შინაგან საქმეთა დანაყოფები და ადგილობრივი პროკურატურა, და იმედი გვაქვს, რომ ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ,"** - განაცხადა არსოშვილმა.

კონტრაბანდული საქონლით დატვირთულმა ავტომანქანამ ორი - ტყვიავისა და კარალეთის საგუშაგო ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადმოკვეთა. ავტომობილი ტრანზიტული ნომრებით მოძრაობდა. არსოშვილის თქმით, "ოპელს" გამცილებლად "ვაზ 2109" ტიპის მანქანა ახლდა.

არსოშვილი მიიჩნევს, რომ საგუშაგოს თანამშრომელთა მოქმედების კანონიერებას პროკურატურა დაადგენს. **"ეს იყო ფორსმაჟორული სიტუაცია და ვერც ერთი ორგანოს საქმის კურსში ჩაყენებას ვერ შევძლებდით. საგუშაგოზე დაფიქსირების შემდეგ ავტომობილმა ჩვენს სამსახურამდე 5 წუთში მოაღწია, ამიტომ ვერავის დავუკავშირდით. რატომ გამოიარა ავტომობილმა დაუბრკოლებლად ორი საგუშაგო, ჩემთვის გაუგებარია,"** - ამბობს არსოშვილი.

საფინანსო პოლიციის უფროსი მიიჩნევს, რომ ასეთი კრახით დამთავრებული ოპერაცია მისი სამსახურის რეიტინგზე ცუდად არ იმოქმედებს. ავტომობილის დასაკავებლად ძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი დანაყოფები და ფინანსური პოლიცია ერთობლივად აწარმოებდნენ. მათ დიდი მუშაობა არ დასჭირვებიათ, რადგან ოპერაციიდან რამდენიმე საათში შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში გამოცხადდნენ ძმები გიგი და გოგიტა გოჩაშვილები, რომლებმაც "ოპელ კალიბრა" და ვაზ 21099 საკუთარი ნებით ჩააბარეს სამართალდამცავებს.

გოგიტა გოჩაშვილი პატრულის თანამშრომელია. საპატრულო პოლიციის უფროსი რამაზ ჩოჩიშვილი საკუთარი თანამშრომლის დანაშაულზე ვერ საუბრობს, მისი განცხადებით, პროკურატურა დაადგენს, იყო თუ არა პატრულის მუშაკი დანაშაულში გარეული.

არსოშვილის თქმით, "ოპელი" ოპერაცის დროს გასარეცხი იყო, ხოლო პატრონებმა პროკურატურაში ჩასაბარებლად გარეცხილი მანქანა მიიყვანეს.

**"რატომ მოიყვანეს მანქანა და თანაც გარეცხილი, ამას პროკურატურა დაადგენს. ის ადამიანები, რომლებმაც ავტომობილები ჩააბარეს, არ ადასტურებენ, რომ საჭესთან ისხდნენ, მაგრამ სირთულეს ის ქმნის, რომ არც უარყოფენ. გიგი გოჩაშვილი აცხადებს, რომ "099" მარკის ავტომობილს მართავდა, მაგრამ დაუდგენელია ვინ მართავდა "ოპელ კალიბრას,"**- ამბობს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი ვლადიმერ ჯუღელი.

გუშინ გორში ფინანსური პოლიციის დეპარტამენტის უფროსი დავით კეზერაშვილიც ჩავიდა. კეზერაშვილმა ადგილობრივ ხელმძღვანელობას თათბირი ჩაუტარა და გორი კომენტარის გარეშე დატოვა. მან მხოლოდ ის განაცხადა, რომ საფინანსო პოლიციის არც ერთი თანამშრომელი თანამდებობას არ დატოვებს.

საქმეს შიდა ქართლის პროკურატურა იძიებს.

# მაჟორიტართა "ბრწყინვალება და სიღარიბე"

პირველი გვერდიდან

როგორც ISFED-ის აღმასრულებელი დირექტორი თამარ ჟვანია აცხადებს, გამოკითხვის მიზანი მაჟორიტარი დეპუტატების სამუშაო პირობებისა და ამომრჩევლებთან ურთიერთობის შეფასებაა. **"ჩვენი მიზანი ისიც იყო, რომ მაჟორიტარებისთვის დაკისრებული ვალდებულებები შეგვეხსენებინა,"** - განუცხადა თამარ ჟვანიამ "24 საათს".

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ამომრჩეველთა ნებისმიერ პრეტენზიაზე მაჟორიტარებს თავის გასამართლებელი საბუთები მრავლად აქვთ. ასე, მაგალითად: დეპუტატთა უკმაყოფილებას იწვევს პარლამენტის სასესიო და საკომიტეტო მუშაობის წინასწარ დაუგეგმავი სამუშაო განრიგი; დიდი რაოდენობის კანონპროექტები და მათ განსახილველად სათანადო დროის უქონლობა. მაჟორიტარი დეპუტატების ადგილობრივ ბიუროებში არ არსებობს ნორმალური სამუშაო პირობები. უმრავლესობას არ აქვს კომპიუტერი, გენერატორი, ხშირად - წყალი და გაზი. მაჟორიტარებს უჭირთ საჯარო დაწესებულებებიდან იმ ინფორმაციის მოპოვება, რომელიც მათ ამომრჩევლების კითხვებზე პასუხის გაცემაში დაეხმარება. მაჟორიტარები საპარლამენტო მუშაობის გადატვირთული გრაფიკითაც უკმაყოფილონი არიან, რადგან, როგორც ისინი აცხადებენ, მუშაობის ასეთი ტემპი მათ ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს არ უტოვებს.

ზოგიერთი მაჟორიტარის პასუხი, რბილად რომ ვთქვათ, სიმართლეს არ შეეფერება. მაგალითად, სამართლიანი არჩევნების რეგიონულმა ბიუროებმა მაჟორიტარებთან შეხვედრის ინტენსივობა ამომრჩევლებში გადაამოწმეს. როგორც გაირკვა, დეპუტატებმა შესცოდეს, როცა განაცხადეს, რომ სიძნელეების მიუხედავად, ამომრჩეველს საკმაოდ ხშირად ხვდებიან.

მაჟორიტართა უმრავლესობამ მაშინაც შესცოდა, როცა განაცხადა, რომ დაძაბული საკანონმდებლო საქმიანობა მათ საშუალებას არ აძლევს, რომ ამომრჩევლებს ხშირად შეხვდნენ - როგორც პარტიული სიით გასული, ასევე მაჟორიტარებიც სხდომებს საკმაოდ ხშირად აცდენენ.

თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, "სამართლიანი არჩევნების" წევრები მაინც აღიარებენ, რომ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს და, მთლიანად, ქვეყნის ხელისუფლებას სრულად არ აქვს გაცნობიერებული მაჟორიტართა საქმიანობის მნიშვნელობა. თამარ ჟვანია აცხადებს, რომ ის 250 ლარი, რომელიც მაჟორიტართა ბიუროებისათვის არის გამოყოფილი, ბიუროს საქმიანობისთვის საკმარისი არ არის.

ამ პრობლემების გადასაჭრელად ISFED-ის რეკომენდაციები ასეთია: მაჟორიტართა ბიუროებში სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეტი თანხა უნდა გამოიყოს; ყველა მაჟორიტარს უნდა ჰქონდეს დრო მოქალაქეების მისაღებად; დეპუტატების ამომრჩევლებთან რეგულარული ურთიერთობის ხელშესაწყობად, ასევე, აუცილებელია, განხილულ იქნეს პარლამენტის მუშაობის გრაფიკი.

**"მაჟორიტარებს ბევრი პრობლემა აქვთ და მათ დახმარება მართლაც სჭირდებათ,"** - აცხადებს თამარ ჟვანია.




## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება №6/2005

### საოლქო საარჩევნო კომისიის შექმნის მიზნით კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 128 13 მუხლის მე-11, მე-12 და მე-13 პუნქტების საფუძველზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა კანდიდატურების შესარჩევად.

მუხლი 2. კონკურსის ჩატარების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მუხლი 3. საბუთები მიიღება ღია კონკურსის გამოცხადებიდან 2005 წლის 7 ივლისამდე (მის: ცენტრალური საარჩევნო კომისია, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №29, 09 საათიდან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა).

მუხლი 4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის № 1 ა) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

*კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე*
*კომისიის მდივანი გურამ ჩალაგაშვილი*
*2005 წლის 17 ივნისი*

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ ღია კონკურსს

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია "საოლქო საარჩევნო კომისიის შექმნის მიზნით" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის №6/2005 განკარგულების საფუძველზე აცხადებს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ ღია კონკურსს, რომლის მიზანია საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება.

კონკურსში მონაწილე შეიძლება იყოს უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-18 მუხლის მე-5 პუნქტისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობისათვის განმცხადებელმა პირადად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:

1. განცხადება ცენტრალური საარჩევნო კომისიის სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
   - ა) კონკურსში მონაწილის სახელი, გვარი;
   - ბ) განათლება (უმაღლესი);
   - გ) სპეციალობა;
   - დ) სამეცნიერო ხარისხი (თუ აქვს);
   - ე) სამუშაო ადგილი და თანამდებობა;
   - ვ) საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება, სადაც მას სურს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობა;
   - ზ) მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის შესაბამისად);
   - თ) საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს).
2. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს განმცხადებელი და მას უნდა დაერთოს:
   - ა) განმცხადებლის 2 ფოტოსურათი;
   - ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ქსეროასლი;
   - გ) უმაღლესი განათლების (სამეცნიერო ხარისხის - თუ აქვს) დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
   - დ) კანდიდატის შრომითი ბიოგრაფია და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება).

დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 7 ივლისი.

დოკუმენტაციის მიღება - ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა, 09 საათიდან 18 საათამდე (შესვენება 13-დან 14-მდე), ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მის. ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 29; 98 70 00; 98 70 01.

### საოლქო საარჩევნო კომისიები

ოლქის № ოლქის დასახელება

| | | |
|---|---|---|
| 1 მთაწმინდა | 26 თეთრიწყარო | 53 ვანი |
| 2 ვაკე | 27 მცხეთა | 54 სამტრედია |
| 3 საბურთალო | 28 დუშეთი | 55 ხონი |
| 4 კრწანისი | 29 ყაზბეგი | 56 ჭიათურა |
| 5 ისანი | 30 კასპი | 57 ტყიბული |
| 6 სამგორი | 31 ახალგორი | 58 წყალტუბო |
| 7 ჩუღურეთი | 32 გორი | 59 ქუთაისი |
| 8 დიდუბე | 33 ქარელი | 60 ოზურგეთი |
| 9 ნაძალადევი | 35 ხაშური | 61 ლანჩხუთი |
| 10 გლდანი | 36 ბორჯომი | 62 ჩოხატაური |
| 11 საგარეჯო | 37 ახალციხე | 63 აბაშა |
| 12 გურჯაანი | 38 ადიგენი | 64 სენაკი |
| 13 სიღნაღი | 39 ასპინძა | 65 მარტვილი |
| 14 დედოფლისწყარო | 40 ახალქალაქი | 55 ხობი |
| 15 ლაგოდეხი | 41 ნინოწმინდა | 67 ზუგდიდი |
| 16 ყვარელი | 43 ონი | 68 წალენჯიხა |
| 17 თელავი | 44 ამბროლაური | 69 ჩხოროწყუ |
| 18 ახმეტა | 45 ცაგერი | 70 ფოთი |
| 19 თიანეთი | 46 ლენტეხი | 79 ბათუმი |
| 20 რუსთავი | 47 მესტია | 80 ქედა |
| 21 გარდაბანი | 48 ხარაგაული | 81 ქობულეთი |
| 22 მარნეული | 49 თერჯოლა | 82 შუახევი |
| 23 ბოლნისი | 50 საჩხერე | 83 ხელვაჩაური |
| 24 დმანისი | 51 ზესტაფონი | 84 ხულო |
| 25 წალკა | 52 ბაღდათი | 85 ლიახვი |




## მოკლედ

### იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პირველი ტურის შედეგები გამოცხადდა

**"გამოცდა ობიექტური კრიტერიუმებით ჩატარდა, საკონკურსო კომისიაში შედიოდნენ როგორც საქართველოს იუსტიციის საბჭოს თანამშრომლები, ასევე, ამერიკის იურისტთა ასოციაციის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. შედეგები მეტად არასახარბიელოა - 1154 განაცხადიდან ტესტირება წარმატებით 240-მა კანდიდატმა გაიარა. თუ გავითვალისწინებთ, რომ წინ გვაქვს მეორე ტური, მიღებული შედეგებით კმაყოფილები არ ვართ",** - ასე შეაფასა მოსამართლეობის მსურველთა ტესტირების პირველი ტურის შედეგები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ.

მისივე თქმით, გამოცდის დროს ერთი დარღვევა დაფიქსირდა; კერძოდ, ერთ-ერთ კანდიდატს მიაწოდეს წინასწარ შევსებული პასუხების ფურცელი. ეს საქმე ამჟამად ძიებაშია. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის მეორე წერითი ეტაპი 18 ივნისს საქართველოს პარლამენტში ჩატარდება. საბოლოო შედეგები 21 ივნისს გახდება ცნობილი.

მოსამართლეობის თანაშემწეობის საკვალიფიკაციო გამოცდებს ატარებს სამოსამართლო სწავლების ცენტრი. ტესტირებას სამოცი იურისტი გაივლის, რომლებმაც სამოსამართლო სწავლების ცენტრში მოსამართლის თანაშემწის პრეტენდენტთა სამთვიანი კურსი გაიარეს. სასწავლო პროგრამის მიხედვით, ტესტები 100 კითხვისგან შედგება, 70 სწორი პასუხი კი გამსვლელია. იურისტები მოემზადნენ სამოქალაქო პროცესში, სამოქალაქო სამართალში, ადმინისტრაციულ სამართალში, სისხლის და საკონსტიტუციო სამართალში. როგორც სამოსამართლო სწავლების ცენტრში აცხადებენ, საკვალიფიკაციო გამოცდაზე, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, მეთვალყურეებად დაიშვებიან იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლები. იურისტები, რომლებიც ტესტირებას გაივლიან, სამოსამართლო სწავლების ცენტრის სერტიფიკატს მიიღებენ, რის შემდეგ მათ უფლებამოსილება ენიჭებათ, იმუშაონ მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. **24 საათი**

### სამართალდამცველებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გაუჩინარებულის ცხედარი იპოვეს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რამდენიმე დღის წინ უგზოუკვლოდ დაკარგული გიორგი კახნიაშვილი სამართალდამცველებმა სოფელ კეხვის მიმდებარე ტყეში გარდაცვლილი იპოვეს. კახნიაშვილის ძებნისას კონფლიქტის ზონაში ნაღმის აფეთქების შედეგად მძიმედ დაშავდა რუსი მშვიდობისმყოფელი, რომელიც სამართალდამცველებს დაკარგული გიორგი კახნიაშვილის ძებნაში ეხმარებოდა. დაზარალებული ცხინვალის საავადმყოფოდან ვლადიკავკაზში გადაიყვანეს. აფეთქების შედეგად ჯარისკაცმა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო, კერძოდ - მან დაკარგა ზედა და ქვედა კიდური, ასევე, მხედველობა.

შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მიხეილ ქარელის განცხადებით, ნაღმის აფეთქებისას მცირე დაზიანებები მიიღეს ქურთას პოლიციის უფროსმა და ორმა თანამშრომელმა. ქარელის ინფორმაციით, ქურთის პოლიციის თანამშრომლებმა ორი დღის წინ დაკარგული, 76 წლის გიორგი კახნიაშვილის გვამი ჯავის რაიონის სოფელ ითრაფისში ნაღმზე აფეთქებული იპოვეს, მანამდე კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ კახნიაშვილი გულის შეტევით გარდაიცვალა. კახნიაშვილის ცხედრის გამოტანა გორის საავადმყოფოში, სადაც მას ექსპერტიზა ჩაუტარდება, ჯერჯერობით ვერ ხერხდება, რადგან მიმდებარე ტერიტორია მთლიანად დანაღმულია. შემთხვევის ადგილზე დამატებითი გამნაღმველები იმყოფებიან.

სოფელ კეხვის მკვიდრი, 76 წლის გიორგი კახნიაშვილი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ოთხშაბათს საღამოს დაიკარგა. იგი ტყეში წავიდა, საიდანაც უკან აღარ დაბრუნებულა.

ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში აღნიშნულ ტერიტორიაზე თავისუფლად მიმოდიოდნენ და მაშინ ტერიტორია დანაღმული არ ყოფილა. მოსახლეობა, ისევე, როგორც ქართული ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ტერიტორიის დანაღმვა ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მოხდა. **პრაიმ-ნიუსი**

### უაქციზო სიგარეტი ცხინვალიდან კვლავ შემოდის

ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ ცხინვალიდან თბილისში მიმავალი "გაზ-24" მარკის ავტომანქანა დააკავა. ავტომანქანაში ლიანა ცერცვაძე და ნათელა გოგიაშვილი ისხდნენ, საჭესთან კი - თ. კოდიაშვილი. მათ 1 402 ლარის ღირებულების, უცხოური წარმოების 738 კოლოფი უარქციზო სიგარეტი გადმოჰქონდათ.

ფინანსურმა პოლიციამ ცხინვალიდან თბილისში მიმავალი რანგიზა ასანოღლი დააკავა. მას 1 118 ლარის ღირებულების 800 კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადმოჰქონდა.

გარდა ამისა, ფინანსურმა პოლიციამ ქარელის რაიონში "ურალის" მარკის მოტოციკლეტი დააკავა. ჯერჯერობით დაუდგენელ პირს, რომლის ვინაობაც დგინდება, 4 400 ლარის ღირებულების 2 885 კოლოფი უაქციზო სიგარეტი შემოჰქონდა.

დაკავებულ მოქალაქეებს უაქციზო სიგარეტი ჩამოერთვათ და წინასწარი გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 200-ე მუხლით - მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა. **მედიანიუსი**

### ფინანსურმა პოლიციამ ულიცენზიო აფთიაქები აღმოაჩინა

ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველომ ულიცენზიო აფთიაქები აღმოაჩინა და საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული 192-ე მუხლით - უკანონო სამეწარმეო საქმიანობა - წინასწარი გამოძიება დაიწყო.

ლია მაჩანიკაშვილი და დალი მაისურაძე, ყოველგვარი ლიცენზიისა და ნებართვის გარეშე, ფარმაცევტულ და სამედიცინო პროდუქციას ყიდდნენ. ყვარელში მსგავს საქმიანობას თამარ ბერიაშვილიც ეწეოდა. გარდა იმისა, რომ მათ მედიკამენტების რეალიზაციისთვის შესაბამისი ნებართვა არ ჰქონდათ, ასევე, არ იყო დაცული წამლის შენახვის ელემენტარული პირობები, ზოგი მათგანი საკუთარი საცხოვრებელი ბინიდან ყიდდა მედიკამენტებს, ზოგიც კი - ჯიხურიდან.

დაწყებულია გამოძიება და ფინანსური პოლიცია იმასაც არკვევს, თუ საიდან იღებდნენ აღნიშნული პირები ამ მედიკამენტებს. **მედიანიუსი**

### თამაზ ბაკურაძის საქმეს ეუთო-ს ოფიცერი გააკონტროლებს

ჟურნალისტ თამაზ ბაკურიძის სისხლის სამართლის საქმის არასამთავრობო ორგანიზაციათა მონიტორინგის ჯგუფის წევრები და განსასჯელის ადვოკატი ეუთო-ს მისიის წარმომადგენლებთან ერთად ბათუმში მრგვალ მაგიდას გამართავენ. ბაკურიძის ადვოკატის ნინო კიკალიშვილის ცნობით, მონიტორინგის ჯგუფის წევრები ეუთო-ს მისიის წარმომადგენლებს გააცნობენ იმ მასალებს, რომლებიც ბაკურიძის საქმეზე ათთვიანი სასამართლო განხილვის მონიტორინგის შედეგად მოიპოვეს. ადვოკატის თქმით, შეხვედრაზე შემუშავდება ერთობლივი მიმართვა ბათუმის საქალაქო სასამართლოსადმი, რათა მან გამოიჩინოს ობიექტურობა და განაჩენის გამოტანისას მხოლოდ სასამართლო განხილვის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებებით ისარგებლოს.

პატიმრობაში მყოფი ჟურნალისტი თამაზ ბაკურიძე ხუთშაბათს ბათუმის მესამე საპყრობილეში ეუთო-ს მისიის ოფიცერმა, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში დოქტორმა ირის მუტიმ მოინახულა. ეუთო-ს მისიის ოფიცერი, ჟურნალისტის საქმესთან დაკავშირებით შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციების მონიტორინგის ჯგუფის მიმართვის საფუძველზე, შეხვდა ბაკურიძეს და საქმესთან დაკავშირებული დეტალები გამოიკითხა. ჟურნალისტმა ეუთო-ს მისიის წარმომადგენელთან შეხვედრაზე გამოთქვა იმედი, რომ სასამართლო არ გაიზიარებს ძველი მთავრობის მიერ შედგენილ უსაფუძვლო ბრალდებებს და მხოლოდ სასამართლო გამოძიების მასალებს დაეყრდნობა. მუტიმ განაცხადა, რომ ის, განსასჯელის გარდა, მის ადვოკატს და სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებსაც შეხვდება და სასამართლო განაჩენის გამოცხადების შემდეგ მომზადებს სპეციალურ დასკვნას, რომელსაც ეუთო-ს სათავო ოფისს გადაუგზავნის.

ბათუმის საქალაქო სასამართლო ჟურნალისტის საქმეზე გადაწყვეტილებას 21 ივნისს გამოიტანს. პროკურატურა ბაკურიძისათვის 7 წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვს. თავად განსასჯელი კი თავს დამნაშავედ არ ცნობს. **პრაიმ-ნიუსი**

# იქნება თუ არა მასშტაბური შემცირება უნივერსიტეტში?

დალი კუპრავა

ორ კვირაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალმა დეკანებმა ახალი სამუშაო განრიგი უნდა წარადგინონ.

გუშინ სახელმწიფო უნივერსიტეტის 93-ე აუდიტორიაში უნივერსიტეტის თანამშრომელთა "საუნივერსიტეტო დარბაზის" მორიგი სხდომა გაიმართა. როგორც დარბაზის გამგეობის თავმჯდომარემ, პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, მორიგი შეკრების მიზეზი რექტორის ბრძანება გახდა, რომელმაც ვნებათაღელვა გამოიწვია. ბრძანება უნივერსიტეტის სტრუქტურულ რეორგანიზაციას შეეხება.

ბრძანებაში არის პუნქტი სტრუქტურული ცვლილებებისა და შტატებისა და რიცხოვნობის შემცირების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში, ბრძანებით, 22-ის ნაცვლად ექვსი ახალი ფაკულტეტი შეიქმნა, ამ პუნქტმა კიდევ უფრო აშალა ისედაც აგორებული ეჭვის ტალღა მასშტაბური შემცირების შესახებ. რექტორის მოადგილემ ლევან გორდეზიანმა დარბაზს მოახსენა, რომ შემცირება მხოლოდ ადმინისტრაციულ სეგმენტს შეეხება.

დარბაზმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ამგვარი გადაწყვეტილებები არ უნდა მიიღონ პროფესორ-მასწავლებელთა წარმომადგენლობის გარეშე და პრეზიდენტის ბრძანება რექტორის ერთპიროვნულ უფლებამოსილებაზე კვლავ ცხარე კამათის საგანი შეიქნა.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ნაწილისთვის რეფორმები შემცირების შიშთან ასოცირდება.

ლეიბორისტების წარმომადგენელი, პროფესორი ნესტან კირთაძე შეეცადა, დარბაზში პოლიტიკური განცხადება გაეკეთებინა ხელისუფლებისა და უნივერსიტეტის მმართველობის წინააღმდეგ. კირთაძის განცხადება დარბაზმა არ მიიღო და დარბაზის ქმედების სწორედ იურიდიულ და კანონიერ მხარეს გაუსვა ხაზი, რაც ხელისუფლებასთან დაპირისპირებას კი არა, თანამშრომლობას ისახავს მიზნად.

# რამდენიმე სიახლე საზაფხულო საკურორტო სეზონისთვის

*"წელს საქართველო, ისე როგორც არასდროს, ზაფხულის საკურორტო სეზონისთვის განსაკუთრებულად მზად არის," - დაახლოებით ამ შინაარსის განცხადება გააკეთა ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარემ საბა კიკნაძემ. მას ამის თქმის საფუძველს, მისივე შეფასებით, ის აგრესიული სარეკლამო კამპანია აძლევს, რომელსაც ხსენებული დეპარტამენტი გასული ერთი წლის განმავლობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ აწარმოებდა.*

მარიამ ჭაჭვაძე

ამ სარეკლამო კამპანიის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი აჭარაზე კეთდებოდა, რამაც, როგორც ადგილობრივი ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი თემურ ზოიძე ამბობს, ქვეყნისთვის და რეგიონისთვის სასურველი შედეგი გამოიღო. მისი თქმით, წელს, მთელი ზაფხულის განმავლობაში აჭარაში 6 ათასზე მეტ დამსვენებელს ელიან, როგორც ქვეყნის სხვადსხვა რეგიონებიდან, ასევე უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და სხვადასხვა სარეკლამო ღონისძიებებისთვის წელს გაღებული თანხები მიზერულია. თემურ ზოიძის ინფორმაციით, უკვე დახარჯულია 30 ათასი ლარი, ერთი ამდენიც უახლოეს კვირებში დაიხარჯება. მართალია, დაზუსტებული მონაცემები ჯერ არ არსებობს, თუმცა სახელმწიფოს მიერ გაღებულზე გაცილებით მეტია კერძო სექტორის მიერ ტურიზმში დაბანდებული კაპიტალი. ამ სექტორში ფულის ჩადებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ უცხოელი ინვესტორები, თუმცა, როგორც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე ირწმუნება, მომავალი საკურორტო სეზონისთვის უცხოური კაპიტალი ტურიზმის სექტორში აუცილებლად ჩაიდება.

მოკლედ, თუკი ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირების ნათქვამს ვენდობით, წელს აჭარაში ჩასულ დამსვენებელს ძალიან ბევრი სიახლე და სიურპრიზი ელოდება. "24 საათი" დაინტერესდა იმ სიახლეებით, რაც შარშანდელისგან განსხვავებით, აჭარაში ჩასულ ტურისტს აქ დახვდება. საბა კიკნაძის თქმით, ეს, პირველ რიგში, არის სწრაფმავალი გემის "კომეტას" რეგულარული რეისები ბათუმი-ხოფა-ტრაბზონი-ბათუმის მიმართულებით. მისივე ინფორმაციით, პირველი რეისი 18 ივნისს შესრულდება, რომლის ღირებულება 50 ლარს არ აღემატება. საბა კიკნაძე ამბობს, რომ "კომეტა" მოემსახურება როგორც ქართველ და თურქ, ასევე სხვა ქვეყნების ტურისტებს. **"აღსანიშნვია, რომ ამ კრუიზის ფარგლებში მგზავრებისთვის, როგორც საქართველოს, ასევე თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოფნა სამი დღის განმავლობაში იქნება უვიზო, რაც ამ ტურებს საკმაოდ კომფორტულსა და იაფს გახდის,"** - აღნიშნა საბა კიკნაძემ.

მორიგი სიახლე იმ ტურისტებს გაახარებს, რომლებიც უპირატესობას აქტიურ დასვენებას ანიჭებენ. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ შემუშავებულია 15-მდე ახალი რეისი, რომელიც აჭარის სხვადასხვა ღირსშესანიშნაობის დათვალიერებასა და გაცნობას ისახავს მიზნად.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც ყველაზე მეტად, ალბათ, ბათუმში ჩასული დამსვენებლისთვის იქნება სასიამოვნო. დაახლოებით, 4 კილომეტრით გაიზარდა ქალაქის ბულვარის სიგრძე, სადაც, თემურ ზოიძის თქმით, უკვე ძალიან ბევრი ახალი გასართობი ადგილი განთავსდა.

**"მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დაგეგმილი ტურისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. უკვე შემუშავებულია ღონისძიებათა გრაფიკი, რომელიც ითვალისწინებს პატრულის ეკიპაჟებისა და მანქანების რაოდენობის ზრდას, შექმნილია მუდმივმოქმედი შტაბი,"** - ნათქვამია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

# მოულოდნელი შემოწმებები გაგრძელდება

*კვარტალში მინიმუმ ერთხელ, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი - უწყება, რომელიც ბიუჯეტის თითქმის მესამედს განკარგავს, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეთვალყურეო საბჭოს. საბჭოს წევრები სხვადასხვა უწყებრივი დაწესებულებების წარმომადგენლები არიან და, ხშირ შემთხვევაში, სხდომებზე ბევრი კრიტიკული შეკითხვა ჩნდება.*

ნონა მაისურაძე

სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე წარმოდგენილი იყო საკითხები 2005 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესყიდვებისა და ტენდერების მიმდინარეობის შესახებ, სამედიცინო და დასაქმების პროგრამის ფარგლებში წინა წლების დავალიანების დაფარვის მდგომარეობის შესახებ, სოციალური კანონმდებლობით განსაზღვრულ კონტინგენტზე ელექტროშელავათების კომპენსაციის გაცემის მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოში ბოლო პერიოდში გახშირებული წყალდიდობების გამო, რამაც რეგიონებს სერიოზული ზარალი მიაყენა, წინა წლებში წარმოქმნილი, ჯანდაცვის პროგრამების დავალიანების გადარიცხვა დროებით შეჩერებულია. ფინანსთა სამინისტროდან შესაბამისი განკარგულების გაცემის შემდეგ, ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ყველა სახის დავალიანებების გადარიცხვის პროცესი განახლდება.

სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კვლავ გაგრძელდება საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამების ადგილებზე მონახულება და შემოწმება, რასაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც დაესწრებიან.

ნინო ოკრიბელაშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: **"პროგრამები, რომელსაც საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი აფინანსებს, ჩვენი მეთვალყურეობის გარეშე არ რჩება. ბოლო პერიოდში საბჭომ აქტიური მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა აქციაში, განვახორციელეთ საპრეზიდენტო პროგრამის (უფასო 03) ამოქმედების მონიტორინგი. ჩვენივე ინიციატივა იყო ონის რაიონში სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად აქციის ჩატარება, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით განხორციელდა. მოვინახულეთ ფონდის პროგრამაში მონაწილე ინვალიდთა სახლები, პანსიონატები. მივუთითეთ და გამოვასწორეთ ბევრი ხარვეზი. ჩვენი მოქმედების ეფექტურობა იმითაც არის განპირობებული, რომ პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციებს მაშინ ვსტუმრობთ, როდესაც იქ ნამდვილად არ გველიან. ასეთ ღონისძიებებს კვლავაც გავაგრძელებთ და მასში მონაწილეობას საბჭოს წევრებიც მიიღებენ."**

**გარდაბნის რაიონის გამგეობის სხდომის 2005 წლის 25 თებერვლის N 17 დადგენილებით ცალმხრივად გაუქმებულ იქნა აგთაკლიის საკრებულოს ტერიტორიაზე, საიჯარო ხელშეკრულება 3434 ჰა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე შ.პ.ს. "დუზდუ"-სთან. აღნიშნულიდან გამომდინარე გარდაბნის რაიონის გამგეობა აცხადებს კომერციულ კონკურსს ზემოთ აღნიშნული ფართობის დროებით სარგებლობაში გადაცემაზე**

| № | საკრებულოს დასახელება | გაცემის ფორმა | სარგებლობის ფორმა | მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა | მიწის ნაკვეთის ფართი სახნავი(კატეგორია კარგი) მიწის გადასახადი ჰა-ზე 52ლ. | მიწის ნაკვეთის ფართი სახნავი (კატეგორია მწირი) მიწის გადასახადი ჰა-ზე 27ლ. | მიწის ნაკვეთის ფართი სათიბი მიწის გადასახადი ჰა-ზე 6ლ. | მიწის ნაკვეთის ფართი საძოვარი მიწის გადასახადი ჰა-ზე 3ლ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აგთაკლია | კონკურსი | იჯარა | სასოფლო-სამეურნეო | 263 | – | 504 | 2667 |

**კონკურსში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა განცხადებით უნდა მიმართონ მუდმივმოქმედ კომისიას, საინფორმაციო ცნობის პრესაში გამოქვეყნებიდან 20 კალენდარულ დღეში. საიჯარო ქირის საწყისი რაოდენობა საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადზე ნაკლები არ უნდა იყოს. კონკურსი გაიმართება 2005 წლის 19 ივლისს მისამართზე: ქ. გარდაბანი დ. აღმაშენებლის ქ. N73. (დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე)**

# არატრადიციული არჩევნები - "რელიგიური დემოკრატიის" სიმბოლო

*ისლამური რევოლუციის შემდეგ (1979წ.) ირანის საპრეზიდენტო არჩევნები პირველად ტარდება მეტ-ნაკლებად კონკურენტულ გარემოში - მონაწილე კანდიდატებიდან რამდენიმეს გამარჯვების ერთნაირი შანსი აქვს. მართალია, წინასწარი გამოკითხვებით, ყოფილი პრეზიდენტი (მას 1989-97წწ ეკავა ეს თანამდებობა), ზომიერი კლერიკალი, აკბარ ჰაშემი რაფსანჯანი ლიდერობს, მაგრამ ისლამური რესპუბლიკის ისტორიაში პირველად, შესაძლოა, გამარჯვებული პირველივე ტურის შედეგებით ვერ გამოვლინდეს. მიუხედავად დაძაბულობისა, კვლავაც გაურკვეველი რჩება, შეიცვლება თუ არა ირანის სახელმწიფო კურსი რომელიმე კანდიდატის გამარჯვების შემდეგ. არჩევნების ოფიციალური შედეგები დღეს გახდება ცნობილი.*

ნიკა თარაშვილი

უშუალოდ, არჩევნების დღეს წინ უსწრებდა კონსერვატიული მუსლიმური საზოგადოებისთვის მეტად უჩვეულო წინასაარჩევნო კამპანიის ციებ-ცხელება. **"უცხო დამკვირვებელს, შესაძლოა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ ირანი ლიბერალური და პლურალისტული დემოკრატიის ქვეყნად გადაიქცა - ისეთად, როგორებადაც ახლოაღმოსავლური სახელმწიფოები ჯორჯ ბუშს სურს, იხილოს,"** - წერდა არჩევნების წინ ბრიტანული ჟურნალი "ეკონომისტი".

მართლაც, თეირანი უჩვეულო სანახაობას წარმოადგენდა - სხვადასხვა კანდიდატის მომხრეებით გადაჭედილი ქუჩები; წინასაარჩევნო მოწოდებებით მოძრავი მანქანები; თავშებურული გოგონები, რომლებიც საარჩევნო ბუკლეტებს არიგებდნენ; ტელეარხები გადასცემდნენ "ბრჭყვიალა", ჰოლივუდის სტილში გადაღებულ საარჩევნო კლიპებს; მაშინ, როცა სახელმწიფო მაუწყებლობა საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებდა მოვლენებს.

და რაც ყველაზე მთავარია, ბოლომდე გაურკვეველი იყო, რომელი კანდიდატი გაიმარჯვებდა.

17 ივნისს საარჩევნო უბნები მთელი ქვეყნის მასშტაბით, ადგილობრივი დროით, დილის ცხრა საათზე გაიხსნა. ქვეყნის დედაქალაქ თეირანში დილიდანვე გრძელი რიგები შეიმჩნეოდა. ასეთივე ხალხმრავლობა იყო რეგიონებშიც. წინასწარვე ცხადი გახდა, რომ ზოგიერთი ლიბერალის მოწოდება არჩევნების ბოიკოტის შესახებ ნაკლებად გაიზიარეს.

## ვის (რას) აძლევენ ხმას ირანელები?

**"მე ხმას ვაძლევ, რათა გამოვხატო ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება ამერიკისადმი. ჩვენ არ უნდა გავახაროთ ჩვენი მოწინააღმდეგეები არჩევნების ბოიკოტით,"** - ერთ-ერთი თეირანელი ქალის ციტირებას ახდენს "ჰერალდ ტრიბუნი" და, ალბათ, ეს სიტყვები ზუსტად გამოხატავს განწყობას, რომელიც მეტწილად სუფევდა გუშინ ირანში.

მართალია, ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ირანის პრეზიდენტი არ გახლავთ უმაღლესი თანამდებობის პირი (ირანის ისლამური რესპუბლიკის ყველაზე დიდი ფიგურა უმაღლესი სულიერი წინამძღოლი - აიათოლა გახლავთ. სწორედ მას ეკუთვნის პოლიტიკურ საკითხებზე საბოლოო სიტყვა), მაგრამ წინასაარჩევნო პერიოდში ფავორიტმა კანდიდატებმა არაერთი განცხადება გააკეთეს, რითაც ხალხს ცვლილებების იმედი ჩაუსახეს. გარდა ამისა, ეს ერთადერთი არჩევითი უმაღლესი თანამდებობაა და, ბუნებრივია, ის, თუ ვინ დაიკავებს პრეზიდენტის სავარძელს, მნიშვნელოვნად მეტყველებს ირანელი ხალხის განწყობაზე, ისევე როგორც იმაზე, თუ რა გზას დაადგება ეს ქვეყანა მომავალში.



*"უჩვეულო" საპრეზიდენტო არჩევნების მიუხედავად, კვლავაც უცნობია, რა შეიცვლება მის შემდეგ.*

ირანის უმაღლესმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ, რომელიც ერთ-ერთი პირველი მივიდა საარჩევნო ურნასთან, თანამემამულეებს განუცხადა, რომ ისინი არა რომელიმე კანდიდატის მხარდასაჭერად მონაწილეობენ არჩევნებში, არამედ მთლიანად მათი ქვეყნის ისლამური სისტემის დასაცავად. **"ვისაც უნდა მისცეთ ხმა ამ შვიდი კანდიდატიდან, ეს ისლამური რესპუბლიკისა და კონსტიტუციის მხარდაჭერა იქნება,"** - განაცხადა ხამენეიმ ხმის მიცემის შემდეგ.

პრეზიდენტობის კანდიდატი შვიდია, თუმცა, რასაკვირველია, არსებობენ ფავორიტებიც. აკბარ ჰაშემი რაფსანჯანი, თითქმის, ყველა სოციოლოგიური გამოკითხვით ლიდერობს (თუმცა, ასეთი გამოკითხვები წარსულში ხშირად არასწორი პროგნოზების საფუძველი გამხდარა). **"მე ხალხს რეფორმების გაგრძელებას დავპირდი და დარწმუნებული ვარ, შევასრულებ ამ პირობას,"** - განაცხადა მან ხმის მიცემის შემდეგ. რამდენად შეძლებს ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი დანაპირების შესრულებას, ძნელი სათქმელია. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ ქვეყნის რეფორმირების თაობაზე 8 წლის წინ დაწყებული ეიფორია დღეს უკვე ნაკლებადაა შესამჩნევი.

ყოფილი პრეზიდენტის ძირითად კონკურენტებად რეფორმატორი მუსტაფა მოინი და ირანის პოლიციის ყოფილი უფროსი ბაკერ ქალიბაფი გვევლინებიან.

მუსტაფა მოინი, რომელსაც მოქმედი პრეზიდენტის, მუჰამედ ხათამის მთავრობაში ერთ დროს განათლების მინისტრის პოსტი ეკავა, რეფორმისტული მოძრაობის ბაირაღით გამოდის. ხატამის ხელმძღვანელობით რეფორმისტები რვა წლის განამავლობაში ცდილობდნენ სასულიერო პირთა ზეგავლენის შემცირებას ეკონომიკასა და, საერთოდ, ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მოინი, შეიძლება, ხათამის მემკვიდრედაც ჩაითვალოს - ამჟამინდელი პრეზიდენტი მმართველობის უკვე მეორე ვადას ასრულებს და, ქვეყნის კანონმდებლობით, ხელახლა კენჭისყრა აკრძალული აქვს. ასე რომ, რეფორმისტებმა მოინის კანდიდატურა წამოაყენეს.

მესამე კანდიდატი, რომელსაც რეალურად შეუძლია კონკურენცია გაუწიოს რაფსანჯანის (ყოველ შემთხვევაში, ხმებს მაინც წაართმევს მას), ირანის პოლიციის ყოფილი უფროსი ბაკერ ქალიბაფია. დღეს რეფორმისტული იდეების დამცველად წარმოჩენილი ქალიბაფი საკმაოდ დიდი მხარდაჭერით სარგებლობს კონსერვატორთა შორის. ნიშანდობლივია, რომ ბოლო დროს გამართულ არჩევნებში რეაქციული წრეებიდან გამოსული კანდიდატები ელექტორატის 10-20-იან მხარდაჭერას იღებდნენ ხოლმე. ეს მაჩვენებელი კი, სავარაუდოდ, საკმარისი იქნება, რათა პირველ ტურში გამარჯვებული არ გამოვლინდეს და ხმები გაიყოს. თუ იმისაც გავითვალისწინებთ, რომ არჩევნებში მონაწილეობას იღებს თეირანში პოპულარული ქალაქის მერი მაჰმუდ აჰმადინეჯადი, ხმების "გაყოფა" აუცილებლად მოხდება; თითქოს, მეორე ტური გარდაუვალი უნდა იყოს...

## რა შეიცვლება არჩევნების შემდეგ

თუმცა, მთავარი კითხვა კვლავ უპასუხოდ რჩება - რა შეიძლება შეიცვალოს არჩევნების შემდეგ?

ხათამის მმართველობას ირანის მოსახლეობის ფართო ფენების იმედგაცრუება მოჰყვა, რადგანაც რეფორმისტებმა ქვეყანას "ნანატრი" გარდაქმნები ვერ მოუტანეს. მაგრამ, მეორე მხრივ, ქვეყნაში, ასევე დიდია უკმაყოფილება სასულიერო პირების ერთპიროვნული მმართველობის გამო.

ქვეყნის უმაღლესი ორგანოს - ისლამური რევოლუციის გუშაგთა საბჭოს უფლებამოსილება, ფაქტობრივად, განუსაზღვრელია - მათ, დაახლოებით, ათასი საპრეზიდენტო კანდიდატიდან მხოლოდ რვა მამაკაცს მისცეს მონაწილეობის უფლება (მათგან ერთმა ოთხშაბათს მოხსნა კანდიდატურა.),

საგულისხმოა, რომ გუშაგთა საბჭომ პრეზიდენტობის მოსურნე ყველა ქალის კანდიდატურა დაბლოკა.

ცვლილებები, თითქოს, გარდაუვალია, მაგრამ ჯერჯერობით ის ხალხი, ვინც უდავოდ რეგრესულ სასულიერო წრეებს დაუპირისპირდება, ჰორიზონტზე არ ჩანს.

სხვათა შორის, მუჰამედ ხათამიმ ასეთი რამაც კი ბრძანა: "ხალხის აქტიური მონაწილეობა არჩევნებში დააჩქარებს ისლამური რევოლუციის მონაპოვრის - რელიგიური დემოკრატიის დადგომას".

საოცარია, რომ ელექტორატის აქტივობას თავისთვის ხელსაყრელ ფაქტორად მიიჩნევენ რეფორმატორებიც.

ასე რომ, იქნებ მართლაც იქმნება ირანში კაცობრიობისთვის დღემდე უცნობი რელიგიური დემოკრატია?

# გადავადებული კონსტიტუცია და ჩიხში მყოფი ბიუჯეტი

პირველი გვერდიდან

მან ევროგაერთიანების ლიდერებს შესთავაზა, რომ საერთო ბიუჯეტის შენატანების შეღავათი ბრიტანეთისთვის (4,6 მლრდ ევრო) ძალაში დარჩენილიყო 2013 წლამდე, ხოლო სოფლის მეურნეობისთვის დოტაცია წლიურად 6 მილიარდი ევროთი შემცირებულიყო. სოფლის მეურნეობისთვის დოტაციის შემცირება შეეხება ბულგარეთსა და რუმინეთსაც. აღნიშული დოტაციის შემცირებას მიუღებლად მიიჩნევს საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი. ამასთანავე, იგი ეწინააღმდეგება სოფლის მეურნეობის პოლიტიკის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების შეცვლას, რომელიც მიღებულ იქნა 2002 და ძალაშია 2013 წლამდე.

ბრიტანული მხარე კი თვლის, რომ სოფლის მეურნეობისთვის ევროკავშირის ბიუჯეტიდან დიდი რაოდენობით თანხა გამოიყოფა, კერძოდ - ბიუჯეტის 40 პროცენტი ხმარდება ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტს. **"აუცილებელია, ევროგაერთიანების ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის პროცესი დავიწყოთ, რათა იგი შეესაბამებოდეს დღევანდელ მოთხოვნილებებს,"** - განაცხადა ტონი ბლერმა. იგი თანახმაა, გადაიხადოს საერთო ბიუჯეტის შენატანების შეღავათი ბრიტანეთისთვის, თუკი ბიუჯეტის რეფორმის გარანტიას მიიღებს.

მხოლოდ საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი არ არიან უკმაყოფილონი ევროკავშირის საბჭოს მოქმედი თავმჯდომარის ჟანკლოდ იუნკერის მიერ შეთავაზებული წინადადებით. შვედეთი და ნიდერლანდები ევროგაერთიანების საერთო ბიუჯეტში შენატანის შემცირებას მოითხოვენ.

სამაგიეროდ, გერმანია მხარს უჭერს ჟან-კლოდ იუნკერის წინადადებას. **"ჩვენ გვესაჭიროება ურთიერთშეთანხმება, რომ თავი დავაღწიოთ ამ კრიზისს, რომელშიც აღმოჩნდა ევროპა საფრანგეთსა და ნიდერლანდებში ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ,"** - განაცხადა პარასკევს გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა.

საბოლოოდ სამიტზე ევროკავშირის ახალ ბიუჯეტზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, სამაგიეროდ, ევროგაერთიანების 25 წევრმა ქვეყანამ ერთხმად დაუჭირა მხარი ევროპული კონსტიტუციის რატიფიცირების გადავადებას. ეს საშუალებას მისცემს ევროკავშირს, თავი დააღწიოს კრიზისს. თუმცა, კონსტიტუციის რატიფიკაციის პროცესი უნდა გაგრძელდეს. **"ჩვენ ვთავაზობთ ევროგაერთიანების წევრ-ქვეყნებს ახალ სტრატეგიას, ეს არის "დიალოგი და დებატები" ევროკავშირის მომავლის შესახებ,"** -განაცხადა ევროკომისიის თავმჯდომარემ ჟოზე მანუელ ბაროზუმ.




მისი აზრით, იმ ქვეყნებს, სადაც კონსტიტუციის რატიფიცირება რეფერენდუმის გზით უნდა მოხდეს, განსაკუთრებით ესაჭიროებათ ინტენსიური და ხანგრძლივი პერიოდი "დიალოგისა და დებატებისთვის".

ევროგაერთიანების 10-მა წევრმა-ქვეყანამ უკვე მოახდინა კონსტიტუციის რატიფიცირება საპარლამენტო თუ რეფერენდუმის გზით. პორტუგალიასა და დანიაში გაურკვეველი ვადით გადაიდო რეფერენდუმი, რომელიც უნდა ჩატარებულიყო სექტემბერსა და ოქტომბერში. შვედეთში კი არ მოხდება კონსტიტუციის რატიფიცირება, სანამ საფრანგეთსა და ნიდერლანდებში ხელახლა არ დაინიშნება რეფერენდუმი.

ასე რომ, შესაბამისად, ევროკონსტიტუციის რატიფიცირება ვერ მოხდება 2006 წლის პირველ ნოემბერს, რადგან ის ქვეყნები, რომელთაც ჯერ არ მოუხდენიათ კონსტიტუციის რატიფიცირება, საბოლოო პოზიციის დაფიქსირებას შეძლებენ 2007 წელს.

# სერგეი ლავროვი: დსთ-ში "დემოკრატიის ექსპორტის" ხელშეწყობა დესტაბილიზაციას გამოიწვევს

**"დსთ-ს ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო და სამართლებრივი სტრუქტურები ჯერ არ შემდგარა, ხოლო შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა არასახარბიელოა, არაკანონიერი გზით "დემოკრატიის ექსპორტის" მცდელობა დესტაბილიზაციისა და ახალი კონფლიქტების წარმოშობის საფრთხეს ქმნის,"** - აღნიშნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გაზეთ "ტრიბუნა"-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

**"დემოკრატია ქვეყანაში არსებული ნაციონალური ღირებულებებისა და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით უნდა მყარდებოდეს,"** - ამბობს რუსეთის დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელი. ხოლო კითხვაზე, აპირებს თუ არა რუსეთი ბელარუსში აშშ-ს მზარდ გავლენასთან შერიგებას, მინისტრმა აღნიშნა: **"რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობებში არსებულ სირთულეთა მიუხედავად, ამ ქვეყნებს საერთო ინტერესთა ფართო სფერო აქვთ და კონფრონტაცია პრობლემების მოგვარებაში ვერ დაგვეხმარება. რაც შეეხება ბელორუს ხალხს, რუსეთი პატივს სცემს მათ მიერ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში გაკეთებულ არჩევანს. ჩვენ იმ ხელმძღვანელობასთან ვითანამშრომლებთ, რომელსაც სახელმწიფოს მოსახლეობა აირჩევს. რუსეთი არ აპირებს პოსტსაბჭოთა ქვეყნების არჩევანის წინაშე დაყენებას - ან რუსეთი ან დასავლეთი."**

სერგეი ლავროვის თქმით, რუსეთი მზადაა პოსტსაბჭოთა სივრცეში საერთო ინტერესთა დაცვით დასავლეთთან თანამშრომლობისათვის. **"ჩვენ, დსთ-ს სივრცეში არსებული დასავლეთის ინტერესთა აღქმის პარალელურად, აღნიშნულ ინტერესთა რეალიზაციის მეთოდების გაცნობიერებაც გვსურს. აღნიშნულ ტერიტორიაზე, სადაც ჩვენ თანასწორუფლებიანი და მხარეებისთვის ხელსაყრელი თანამშრომლობის დამყარებას ვცდილობთ, დასავლეთს რუსეთის ინტერესები და უფლებები არ დაურღვევია; ხელშეუხებელია ხალხის უფლებაც, თავად განკარგოს საკუთარი ბედი,"** - აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

*რია-ნოვოსტი*

# კომუნისტური კორეის ლიდერის დაუგეგმავი შეხვედრა მეზობელი კორეის პოლიტიკოსთან

*17 ივნისი კომუნისტური კორეის პოლიტიკოსთათვის უჩვეულო განრიგით მიმდინარეობდა. ქვეყნის ლიდერმა კიმ ჩენ ირმა ჩვეულ პოლიტიკას უღალატა და ყველასათვის მოულოდნელად შეხვდა გაერთიანებათა საკითხების მინისტრს მეზობელი კორეიდან. თავდაპირველად აღნიშნული შეხვედრის დეტალები არ ხმაურდებოდა. თუმცა, სეულში ჩასულმა მინისტრმა მსოფლიოსთვის სასიხარულო და ამავდროულად საეჭვო განცხადება გააკეთა - ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ მოლაპარაკებებში შესაძლო დაბრუნების შესახებ.*

ნანა ნასყიდაშვილი

კომუნისტური კორეის დედაქალაქში ქვეყნის ლიდერ კიმ ჩენ ირსა და სამხრეთ კორეის მინისტრს გაერთიანებათა საკითხებში ჩუნ დონ იუნას შორის მოულოდნელი შეხვედრა შედგა. სამხრეთკორეელი პოლიტიკოსის თქმით, კიმ ჩენ ირმა სამხრეთ კორეის ბირთვული განიარაღების ექვსმხრივ მოლაპარაკებებში დაბრუნების შესახებ ვარაუდი გამოთქვა. **"იმ შემთხვევაში, თუ აშშ პატივისცემით მოეპყრობა სამხრეთ კორეას და დიალოგში მისი პარტნიორი გახდება, კიმ ჩენ ირი მზადაა, ექვსმხრივ მოლაპარაკებებს ივლისში დაუბრუნდეს,"** - აღნიშნა სეულში დაბრუნებულმა ჩუნ დონ იუნამ.

სამხრეთ კორეის პოლიტიკოსი ფხენიანში ორ კორეას შორის ისტორიულ მოლაპარაკებათა განახლების ხუთი წლის აღსანიშნავად ჩავიდა. კიმ ჩენ ირთან შეხვედრამდე მინისტრი, ბირთვული განიარაღების მოლაპარაკებათა მაგიდასათან კომუნისტური კორეის დაბრუნების მიზნით, ამ ქვეყნის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს შეხვდა.

აღსანიშნავია, რომ კიმ ჩენ ირი მასზე დაბალი რანგის უცხოელ პოლიტიკოსებს იშვიათად ხვდება. შექმნილ მდგომარეობაში, როდესაც კომუნისტური კორეა აშშ-ს მხრიდან სულ უფრო ძლიერ ზეწოლას განიცდის, ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა აღნიშნული შეხვედრა, შესაძლოა, სამხრეთ მეზობელთან ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლებლობად მიიჩნია. კიმის განცხადებით, მისი ქვეყანა მზადაა აშშ მეგობრად ჩათვალოს, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი კორეის კომუნისტურ წყობას ცნობს. ლიდერის თქმით, მსგავსი ტენდენცია ჯერ არ შეინიშნება.

კომუნისტურმა კორეამ, მის მიმართ "მტრული პოლიტიკის" გატარების ბრალდებით, აშშ არაერთხელ დაადანაშაულა. ოფიციალური ფხენიანის განცხადებით, მას ბირთვული იარაღი ამერიკის მხრიდან თავდასხმისგან დასაცავად სჭირდება. ჩრდილოეთ კორეის მტკიცებით, ის ასეთი ტიპის იარაღს ფლობს და ახლის შექმნაზეც მუშაობს.

ვაშინგტონი ჩრდილოეთ კორეას ექვსმხრივ მოლაპარაკებებში სასწრაფო დაბრუნებისკენ მოუწოდებს და, წინააღმდეგ შემთხვევაში, მკაცრი ზომების მიღებითაც იმუქრება. ოფიციალური სეული კი ფხენიანის მიმართ სანქციების გამოყენების წინააღმდეგ გამოდის.


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**2005 წლის ოქტომბერში ქ. თეირანში ჩატარდება ბავშვებისა და მოსწავლე-ახალგაზრდების ნახატების მესამე საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი თემაზე: "წყლის კონსერვაცია"**

(სასმელი წყლის მომჭირნეობით ხარჯვა-გამოყენება, მტკნარი წყლების მნიშვნელობა ბუნებაში, მისი სულ უფრო მზარდი დეფიციტი, წყლის ეკოლოგიური და რეალური ღირებულებები და ა. შ.)

**ნამუშევრები შეიძლება შესრულდეს ფანქრით, აკვარელით, ზეთის საღებავებით.**

სკოლები დამოუკიდებლად შეარჩევენ ერთ ან ორ საუკეთესო ნახატს **და 2005 წლის 25 აგვისტომდე** გააგზავნიან ფოსტით ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, შემდეგ მისამართზე:

Teheran Province end Wastewater Company
P. O. Box 14155-1595
Teheran water @ yahoo.com

წერილობითი ინფორმაცია თეირანში გაგზავნილი ბავშვთა ნახატების შესახებ (ნახატის სათაური, ავტორის ვინაობა, კლასი, პედაგოგის გვარი) სკოლებმა და ინტერნატულმა დაწესებულებებმა უნდა გამოაგზავნონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში **2005 წლის 1-ლ სექტემბრამდე მისამართზე:**

**ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. 52**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე:
95-08-79 (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვთა ზრუნვის დეპარტამენტი)

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

**თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ: 99 60 00, ფაქსი: 96 98 31 ელ.ფოსტა: gakheladze@wanex.net, ვებ-გვერდი: www.mes.gov.ge**



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდი საშუალო სკოლის მასწავლებლებს იწვევს სასწავლო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად**

პროგრამის მიზანია იაპონიის კულტურისა და საგანმანათლებლო სისტემის გაცნობა. პროგრამაში მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობებია:
- მინიმუმ 5 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება საზოგადო მეცნიერებათა სფეროში
ინგლისური ენის ცოდნა
- მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 50 წელს

პროგრამის ხანგრძლივობა - 2 კვირა.

**საბუთების შეტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 22 ივნისი.**

დამატებითი ინფორმაციისა და სააპლიკაციო ფორმებისათვის უნდა მიმართოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს

**მისამართი: თბილისი, დ. უზნაძის 52, ოთახი N129**

**ტელ: 95 70 10**

*მოკლედ*

### სიღნაღში "საქართველოს ფერმერთა სახლი" გაიხსნება

დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მირიან დეკანოიძე სიღნაღის რაიონში მიემგზავრება, სადაც დაგეგმილია საქართველოს ფერმერთა სახლის სათავო ოფისის გახსნა. ფერმერთა სახლის მიზანია ფერმერებში არსებული პრობლემების გაანალიზება და დახმარება. დღესვე წნორში გაიხსნება, აგრეთვე, მანქანა-ტრაქტორთა პარკი, შეიქმნება კომპიუტერულ-საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ფერმერებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაციას მიაწვდის. ჩატარდება კონსულტაციები შხამქიმიკატების მოხმარების წესებზე და მათი შეღავათიანი ფასებით შემოტანის თაობაზე. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "ირაოს" ხელმძღვანელობა კი საზოგადოებას ფერმერთა მეურნეობების დაკრედიტების და დაზღვევის ფორმებს და პირობებს გააცნობს; "ირაო" ფერმერთა დასახმარებლად შესაბამისი ბანკებიდან კრედიტის აღებისა და ტექნიკის შემოტანის საკითხების ორგანიზებას აპირებს. ამასთანავე, წნორში იწყება ქერის მოსავლის აღება, რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან ერთად, მეწარმეებიც დაესწრებიან. **მედიანიუსი**

### უკანონოდ გასხვისებულ მიწებზე თბილისის მერია საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას იწყებს

დედაქალაქში უკანონოდ გასხვისებულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით პარასკევს თბილისის მერია საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას იწყებს. როგორც პრაიმ-ნიუსს მერიიდან აცნობეს, კონკრეტულად, ქალაქის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია ვაშლიჯვარში მდებარე 4 100 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის მფლობელისთვის ჩამორთმევას და მუნიციპალიტეტისთვის გადაცემას ითხოვს. ინსპექციის სამსახურის მტკიცებით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი თავის დროზე უკანონოდ იქნა შესყიდული. ინსპექციის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი პარასკევს, დღის მეორე ნახევარში მიიღებს. მიწის ჩამორთმევის შემთხვევაში მფლობელს გადახდილი თანხა დაუბრუნდება. **პრაიმ-ნიუსი**

### ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში უცვლელი დარჩა

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე (თბსბ) პარასკევს, მოთხოვნა-მიწოდების არარსებობის მიზეზით, სესია არ შედგა, რის გამოც ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში უცვლელი დარჩა და 1,8150 ლარით განისაზღვრა, - აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში. სებ-მა 18 ივნისიდან ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსები დაადგინა. 1 ევრო - 2,2061 ლარი; 1 რუსული რუბლი - 0,0636 ლარი, 1 ინგლისური გირვანქა - 3,3180. **24 საათი**

### ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური განახევრებული სიმძლავრით მუშაობს

დუშეთის რაიონში მომხდარი წყალდიდობის გამო დაზიანებული ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური განახევრებული სიმძლავრით მუშაობს. როგორც პრაიმ-ნიუსს ჰესის ტექნიკურმა დირექტორმა დავით არაბულმა განუცხადა, ამის მიზეზი ნიაღვარს მოყოლილი მიწით ჰესის საბუფერო აუზის მიმყვანი არხის გავსებაა. მისი ინფორმაციით, ამ პრობლემის გამო, ორი დღეა, ჟინვალჰესი 30-35 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, მაშინ, როდესაც მას წყალსაცავში არსებული წყლის მოცულობით 70-80 მეგავატის გამომუშავება შეუძლია. **პრაიმ-ნიუსი**

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

საქართველოს მთავრობასა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით აღმოსავლეთ საქართველოს ზონაში (შიდა ქართლი - ხაშურის რაიონის გარდა, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი) შემდეგი საკონსულტაციო მომსახურება:

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური განვითარება - ტრენინგები;
- ადვოკატირების ტრენინგები.

ამ განცხადებით სსიფ იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს წინასაკვალიფიკაციო შერჩევისათვის, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება, კვალიფიკაცია და რამოდენიმე რეგიონში ერთდროულად მუშაობის რესურსი. საკვალიფიკაციო ფორმების მიღება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი 380079, საქართველო,
ტელ: (995 32) 23 07 79, 25 04 42, 25 04 43;
ფაქსი: (995 32) 23 01 03
ელ ფოსტა: gsif@gsif.ge , nchichinadze@gsif.ge

2005 წლის 22 ივნისიდან, 10-დან 18 საათამდე. საბუთების ჩაბარების ბოლო ვადაა 2005 წლის 6 ივლისი.

## სახაზინო ვალდებულებებით ვაჭრობის შეჩერებას ექსპერტები არაერთგვაროვნად აფასებენ

*სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე შექმნილმა სიტუაციამ, რომლის შედეგადაც, როგორც "24 საათი" უკვე იტყობინებოდა, ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთის გაორმაგება მოხდა, ექსპერტულ წრეებში საკმაოდ სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია. ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ ეს გახლდათ ლოგიკური შედეგი იმ პროცესისა, რასაც სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე მოთამაშეთა რიცხვის შემცირება ჰქვია. ეს კი, თავის მხრივ, საპროცენტო განაკვეთების სერიოზულად და ძალიან სწრაფად შემცირებამ მოიტანა. ამიტომ, ამ პროცესის პრევენცია, მათი აზრით, წინასწარ უნდა მომხდარიყო. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ შექმნილ სიტუაციაში ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტრო იძულებული გახდა, უკვე "პოსტ-ფაქტუმ" "სიტუაციის გარკვევამდე" სახაზინო ვალდებულებებით ვაჭრობა შეეჩერებინა.*

თამარ ივანიძე

ექსპერტების მხრიდან ამ გადაწყვეტილებასაც, ცხადია, არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. გადაწყვეტილებას გაუმართლებლად მიიჩნევს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ექსპერტი გიზო სანაძე. როგორც მან აღნიშნა, **"სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება მუდმივი პროცესია, რის მიხედვითაც კომერციული სტრუქტურები სტრატეგიას აგებენ."**

ეს გადაწყვეტილება უარყოფითად შეაფასა "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტმა ლადო გურგენიძემაც. მისი განმარტებით, ბაზარს სჭირდება დინამიურობა და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დროებით შეჩერება ამ პროცესს აფერხებს. თუმცა, გურგენიძე არ გამორიცხავს, რომ ერთთვიანი პაუზა სახელმწიფოსა და ცენტრალური ბანკის მიერ გამოყენებული იყოს ვაჭრობის პროცედურის დახვეწისთვის.

აქვე, ალბათ, ლოგიკურია იმის გახსენება, რომ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შეჩერების მიზეზი გახდა 364-დღიანი სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე საპროცენტო განაკვეთის 10%-იანი ზრდა, რაც კომერციულ ბანკებს შორის ("საქართველოს ბანკსა" და გქბ-ს) შორის დადებული "საეჭვო გარიგებით" ახსნეს.

ლადო გურგენიძემ ამ საკითხის კომენტირებისას აღნიშნა, რომ **"აუქციონზე, სადაც 2 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებები იყო გამოტანილი, "საქართველოს ბანკმა" მხოლოდ 200 000 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა, აქედან 60 000 ლარის სახაზინო ვალდებულებები შეისყიდა 10,9 პროცენტით. ამის შემდეგ აუქციონზე დაკმაყოფილდა არაკონკურენტული განაცხადები და, შესაბამისად, დანარჩენი 140 000 შეძენილ იქნა საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით."**

მიუხედავად აღნიშნული განმარტებისა, ცხადია, ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის 100%-იანი ზრდა საკმარისი საფუძველი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ფინანსთა სამინისტროს და ეროვნულ ბანკს განგაშის ზარი შემოეკრათ.

ექსპერტთა ნაწილი ამ გადაწყვეტილებას აბსოლუტურად გამართლებულად მიიჩნევს: საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის ანალიტიკოსების აზრით: **"სიტუაციის გარკვევამდე ფინანსთა სამინისტრომ ტაიმ-აუტი აიღო და სახაზინოების ემისიის განახლებას მხოლოდ ახალი სტრატეგიის შემუშავების შემდეგ აპირებს. ჩვენ მივესალმებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ამ სწორ გადაწყვეტილებას. ჩვენი აზრით, მხოლოდ აუქციონის წესების კარდინალური შეცვლა ვაჭრობების (როგორც პირველადი განთავსების ასევე მეორადი ვაჭრობის) ღიად და გამჭვირვალედ წარმართვა საფონდო ბირჟაზე შეძლებს ამ შექმნილი ფინანსური ვაკხანალიის მოსპობას და საქართველოს საფინანსო სისტემა ცივილურ და ევროპულ სახეს მიიღებს. უბრალოდ, სირცხვილია, რომ 21-ე საუკუნეში არსებობს ისეთი ქვეყანა, რომლის საფინანსო სისტემის შემადგენელი ატრიბუტი - სახაზინო ვალდებულება - შუასაუკუნოვანი მეთოდოლოგიით და ოლიგოპოლიური სისტემით არსებობს,"** - ნათქვამია "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის" მიერ გავრცელებულ კომენტარში. აქვე აღნიშნულია, რომ: **"ყოველივე ეს და კომერციული ბანკების მხრიდან წარმოებული "ქართული კონკურენტული ტექნოლოგია" ხელს უშლის საქართველოში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას, რაც უდიდეს ზიანს აყენებს ქვეყნის სამომავლო განვითარებას და მის ინტეგრირებას მსოფლიო საფინანსო სისტემებში. ამასთანავე, ასეთი სიმახინჯის არსებობა ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის სურვილის - მიიღოს ქვეყნის სუვერენული რეიტინგი, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოსვლას საქართველოში."**

## "შაჰდენიზის" გაზს საბერძნეთი და იტალიაც მოიხმარენ

ბაქოში ბერძნული გაზის კომპანიის DEPA-ს გენერალური დირექტორი ვისილიოს ცომბანოპულოსი იმყოფებოდა. ვიზიტის დროს თურქეთი-საბერძნეთის გაზსადენის მშენებლობის საკითხი განიხილებოდა.

ვასილიოს ცომბანოპულოსის განცხადებით, ამ გაზსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ შესაძლებელი გახდება თურქეთის გავლით საბერძნეთში აზერბაიჯანული გაზის ექსპორტი.

როგორც სააგენტო "მედია-ნიუსი" იუწყება, 5 ივლისს აღნიშნული გაზსადენის საბერძნეთის ნაწილის პრეზენტაცია მოხდება. ამასთან, იგეგმება ბერძნულ-იტალიური გაზის სისტემების დამაკავშირებელი წყალქვეშა გაზსადენის მშენებლობაც.

წყალქვეშა გაზსადენი ხმელთაშუა ზღვის მაქსიმალური, ოთხასი მეტრის სიღრმეზე აშენდება. მშენებლობა ოთხ წელიწადს გაგრძელდება. გაზს იტალიური კომპანია "დისონ გას" მიიღებს. იტალია მზადაა, წელიწადში 7-8 მილიარდი კუბური მეტრი აზერბაიჯანული გაზი მოიხმაროს.

"შაჰდენიზის" პროექტის "სტადია-1" ფარგლებში თურქეთი საბერძნეთს 750 მილიონ კუბ/მეტრ აზერბაიჯანულ გაზს მიჰყიდის, მეორე ეტაპზე კი საბერძნეთი წელიწადში სამ მილიარდ კუბ/მეტრ გაზს შეისყიდის.

პროექტის "სტადია-1" ფარგლებში, გაზის პირველი ნაკადი 2006 წლის შემოდგომაზე მიიღება, რომელიც აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს მიეწოდება.

"შაჰდენიზის" პროექტის "სტადია-2" ფარგლებში გაზის მიღება 2011-2012 წლებში დაიწყება და აღნიშნული ქვეყნების გარდა, გაზის ექსპორტი აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე მოხდება.

"შაჰდენიზის" გაზის საერთო რეზერვი ერთი ტრილიონი კუბური მეტრია. პირველ ეტაპზე "შაჰდენიზიდან" ყოველწლიურად 8,4-8,5 მილიარდი კუბ/მეტრი გაზის მოპოვება მოხდება, რომლიდანაც 6 მილიარდზე მეტი კუბ/მეტრი თურქეთს მიეწოდება.

*24 საათი*

## ვენის საფონდო ბირჟა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სავაჭრო ბირჟების გაერთიანებას გეგმავს

*ვენის საფონდო ბირჟა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სავაჭრო ბირჟების ერთი ჰოლდინგის ქვეშ გაერთიანებას გეგმავს. ამის შესახებ ბირჟის ხელმძღვანელობამ რამდენიმე დღის წინ განაცხადა. როგორც გაირკვა, რუსულ ბირჟებს ამ ალიანსში არავინ ელის.*

დიანა ჩაჩუა

ბირჟების სახელმწიფოთაშორისი ალიანსის პრეცედენტი ვენის საფონდო ბირჟას უკვე გააჩნია. 2004 წელს, ავსტრიული ბანკების კონსორციუმთან ერთად, ვენის ბირჟამ 32 მილიონ ევროდ ბუდაპეშტის ბირჟის აქციათა 68,5 პროცენტი შეიძინა. ამ გარიგებას ავსტრიელები ბირჟების ალიანსის შექმნაში საწყის პუნქტს უწოდებენ. ბუდაპეშტის კვალდაკვალ მას შეიძლება ბრატისლავას ბირჟაც შეუერთდეს, რომელიც წელს პრივატიზებულ უნდა იქნეს.

**"ბირჟების გაერთიანების შემდეგ, ბალტიის ქვეყნებში საგრძნობლად გაიზარდა ადგილობრივი ბაზრის მიმზიდველობა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ასევე იქნება ჩვენს შემთხვევაშიც,"** - განაცხადა ბრატისლავას ბირჟის გენერალურმა დირექტორმა მარია ხურაიოვამ. სხვათა შორის, ეს ბირჟა ევროპაში ყველაზე სუსტად ითვლება: 2004 წელს ყოველდღიური გარიგებების მოცულობა საშუალოდ 2,25 მილიონ ევროს არ აღემატებოდა.

ვენის ბირჟის თანათავმჯდომარე მიხაელ ბული აღნიშნავს, რომ ბრატისლავას პარალელურად, პრაღის, ვარშავის და ლუბლიანას ბირჟების შემოერთების ვარიანტებიც განიხილება. ამას გარდა, მისივე თქმით, ალიანსში ბუქარესტის, სოფიას, ზაგრების და ბელგრადის ბირჟების მოწვევაც იგეგმება.

**"საბოლოო მიზანი - ერთიანი ჰოლდინგური კომპანიის შექმნაა, რომელიც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა ბაზარს გააერთიანებდა,"** - ხაზი გაუსვა ბულმა. ასეთი ჰოლდინგური კომპანია შეიძლება 2-3 წელიწადში გამოჩნდეს.

მიხაელ ბულის თქმით, კონკრეტული გეგმა ჯერ არ არსებობს, თუმცა შესაძლო აქციონერებს შორის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, იტალიური ბანკები Intesa და Unicredito, უნგრული OTP Bank და ხორვატიული ფარმაცევტული ფირმა Pliva მოიაზრებიან.

ამასთან, საუბარი სულაც არ მიმდინარეობს ყველა სავაჭრო ბირჟის ერთ ბირჟად გარდაქმნაზე. ვენის ბირჟის ხელმძღვანელების თქმით, ალიანსის მიზანი რეგიონული ბაზრების განვითარების სტიმულირება, ვაჭრობების მოცულობის გაზრდა და, შესაძლებელია, ერთიანი პლატფორმის შექმნაა. **"ხუთი ან ექვსი სხვადასხვა სავაჭრო სისტემის ნაცვლად, ჩვენ ერთი სისტემის შექმნა გვსურს. ეს ჩვენს ბირჟებზე ბროკერებისთვის და ინვესტორებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გამარტივებაში დაგვეხმარება,"** - დასძინა ბულმა.

გარკვეული მხარეებიდან უკვე გაჩნდა ვენის ბირჟის მიერ საბირჟო ალიანსის შექმნასთან დაკავშირებული სკეპტიკური განცხადებები. მაგალითად, როგორც პრაღის ბირჟის შემსრულებელმა დირექტორმა პიოტრ კობლიჩმა "Financial Times"-თან საუბარში განაცხადა, **"ერთიანი პლატფორმის შექმნის ხარჯზე სავაჭრო მოედნების ბრუნვის გაზრდა - ეს ჯერჯერობით რთული დასაჯერებელია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი რეგიონის ყველა ქვეყანაში საკმაოდ განსხვავებული კანონმდებლობა მოქმედებს."**

ავსტრიელების გეგმებს, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ორმა უმსხვილესმა ევროპულმა ბირჟამ - OMX-მა და Euronext-მა, რომლებიც გაერთიანებასთან დაკავშირებით ასევე აწარმოებენ მოლაპარაკებებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სავაჭრო მოედნებთან.

თუმცა, ავსტრიელებმა მიზნის მიღწევა რომც მოახერხონ, რუსეთზე ეს ზეგავლენას არანაირად არ მოახდენს, - წერს რუსული პრესა.

საქმე ის არის, რომ **"აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ბირჟები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, ვაჭრობაში მონაწილე კომპანიებთან და აქციის მყიდველებთან. რუსული ბაზარი კი საკმაოდ იზოლირებულია, რაც სწორედ მთავარი მიზეზია იმისა, რომ მოსკოვის ბირჟა ალიანსის შესაძლო კანდიდატად არ განიხილება,"** - განაცხადა საინვესტიციო კომპანია "რენესანს კაპიტალის" მთავარმა ეკონომისტმა ვლადიმირ პანტუშინმა.

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით **გარდაბნის რაიონის სოფ. ახალი სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია** საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. **ახალი სამგორის** საკრებულოს სათემო კავშირთან **"ახალი სამგორი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ახალი სამგორი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, გარდაბნის რაიონი,**
**ახალი სამგორის საკრებულო სოფ.** ***ახალი სამგორის გამგეობის*** **შენობაში.**

საკონტაქტო პირი **გურამ ქავთარაძე**, სათემო კავშირი **"ახალი სამგორის"**-ს თავმჯდომარე.

**2005** წლის **20** 06 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, გარდაბნის რაიონი,**
**სოფ. ახალი სამგორის საკრებულოს გამგეობის შენობა.**

საკონტაქტო პირი **გურამ ქავთარაძე**, სათემო კავშირი **"ახალი სამგორის"**-ს თავმჯდომარე.

**2005 წლის 19 07 13 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს 13:00 საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით **თეთრიწყაროს რ-ნის ბორბალოს საკრებულოს სოფ. ვაშლოვანი-ერტისის საშ. სკოლის შენობის რემონტი.** საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. **ბორბალოს** საკრებულოს სათემო კავშირთან **"ბორბალო-2004"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ბორბალო-2004"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, თეთრიწყაროს რაიონი,**
**ბორბალოს საკრებულო სოფ. ბორბალოს გამგეობის შენობაში.**

საკონტაქტო პირი **ლია მენთეშაშვილი**, სათემო კავშირი **"ბორბალო-2004"**-ს თავმჯდომარე.

**2005** წლის **20** 06 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1600** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, თეთრიწყაროს რაიონი,**
**სოფ. ბორბალოს საკრებულოს გამგეობის შენობა.**

საკონტაქტო პირი **ლია მენთეშაშვილი**, სათემო კავშირი **"ბორბალო-2004"**-ს თავმჯდომარე.

**2005 წლის 20 07 14 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს 14:00 საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით **თეთრიწყაროს რ-ნის ბორბალოს საკრებულოს სოფ. ღოუბნის წყალსადენის რეაბილიტაცია** საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. **ბორბალოს** საკრებულოს სათემო კავშირთან **"ბორბალო-2004"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ბორბალო-2004"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, თეთრიწყაროს რაიონი,**
**ბორბალოს საკრებულო სოფ. ბორბალოს გამგეობის შენობაში.**

საკონტაქტო პირი **ლია მენთეშაშვილი**, სათემო კავშირი **"ბორბალო-2004"**-ს თავმჯდომარე.

**2005** წლის **20** 06 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1500** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, თეთრიწყაროს რაიონი,**
**სოფ. ბორბალოს საკრებულოს გამგეობის შენობა.**

საკონტაქტო პირი **ლია მენთეშაშვილი**, სათემო კავშირი **"ბორბალო-2004"**-ს თავმჯდომარე.

**2005 წლის 20 07 13 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს 13:00 საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

*მოკლედ*

### სამომხმარებლო ფასები 1,04 პროცენტით გაიზარდა

მიმდინარე კვირაში, გასულთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები 1,04 %-ით გაიზარდა. ამის შესახებ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში განაცხადეს. მათი ინფორმაციით, მიმდინარე კვირას სასურსათო საქონელი 2,29 %-ით გაძვირდა, ხოლო არასასურსათო საქონლის და მომსახურების ფასები უცვლელი დარჩა.

სტატისტიკური მონაცემებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) 10 - 16 ივნისის პერიოდში 101,4 % შეადგინა, ხოლო გასულ კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 98,37 % იყო.

დეპარტამენტის მონაცემებით, გასულ კვირასთან შედარებით, ფასები გაიზარდა სტაფილოზე (15,4%-ით), ჭარხალზე (15,4%-ით), ყველზე (14,3 %-ით), ხმელ ლობიოზე (10,0%-ით), ღორის ხორცზე (7,1 %-ით) და სიგარეტზე (2,9%-ით); ამასთან, ფასები შემცირდა ხახვზე (22,2 %-ით) და ფოთლოვან კომბოსტოზე (14,3%-ით).

*პრაიმ-ნიუსს*

### "თბილგაზი" პროფილაქტიკურ სამუშაოებს იწყებს

ზამთრის სეზონისთვის მოსამზადებელი გეგმითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, "თბილგაზი" 15.00 საათამდე გაზმომარაგებას გამორთავს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე - მარჯანიშვილის ხიდიდან ორთაჭალჰესამდე და მარცხენა სანაპიროზე სამასი არაგველის და ბოჭორმის ქუჩებზე.

"თბილგაზი" ქალაქის მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე, პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების მიზნით, სამ დღემდე ვადით კორპუსების გამორთვასაც გეგმავს.

იმ მობინადრეებს, რომელთაც ზამთრის დავალიანება აქვთ, "თბილგაზი" დავალიანების დასაფარად ორსამთვიან გრაფიკს სთავაზობს.

*მედიანიუსი*

# ინციდენტი მართლმსაჯულების ომბუდსმენსა და საპყრობილის დირექტორს შორის

*თუ აქამდე წინასწარი დაკავების საკნებსა და სხვა საპატიმრო დაწესებულებებში მხოლოდ დაკავებულებს უსწორდებოდნენ - ფიზიკური ძალადობისა თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის გზით, ახლა უკვე ადამიანის უფლებების დამცველის - მართლმსაჯულების ომბუდსმენის ფიზიკური შეურაცხყოფის მომსწრენიც გავხდით.*

ინგა ალავიძე

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულს გიორგი ონიანს ორთაჭალის N7 საპყრობილეში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მართლმსაჯულების ომბუდსმენი გიორგი ონიანი საპყრობილეში პატიმრების ცემის ფაქტთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შევიდა, ნაცემი პატიმრები მოინახულა და ვიდეოკამერით გადაიღო, რის გამოც, ციხის ადმინისტრაციამ ის დასაჯა.

გიორგი ონიანის განცხადებით, ციხის ადმინისტრაციამ, კონკრეტულად, საპყრობილის უფროსმა გელა კიკილაშვილმა მას საპყრობილეში გადაღებული ვიდეომასალის, კასეტის დატოვება მოსთხოვა, რაზეც მან უარი განაცხადა. გიორგი ონიანის უარმა საპყრობილის უფროსი განარისხა და თანამშრომლებს მართლმსაჯულების ომბუდსმენისთვის კასეტის წართმევა უბრძანა. გარდა იმისა, რომ გიორგი ონიანს ფიზიკურად გაუსწორდნენ, მას კარები ჩაუკეტეს და გარეთ გამოსვლის საშუალებაც არ მისცეს.

**"როდესაც ციხის ადმინისტრაციამ გაიგო ომბუდსმენის რწმუნებულის ვიზიტის მიზეზი, ჩაუკეტა კარი და მას გარეთ გამოსვლის საშუალება არ მისცა. ამის შემდეგ ციხის დირექტორი ფიზიკურად გაუსწორდა გოგა ონიანს"**, - განაცხადა საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ ბაჩო ახალაიამ.

N7 საპყრობილის დირექტორის მიერ დატყვევებული გიორგი ონიანი მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც საქმეში ომბუდსმენის მოადგილე, არასამთვრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის", იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები ჩაერთვნენ.

**"რამდენჯერმე მკრეს ხელი და მითხრეს, რომ არ მქონდა გადაღების უფლება, მაგრამ მე ვმოქმედებდი ორგანული კანონით სახალხო დამცველის შესახებ, ხოლო ის მეთოდები, რომლითაც ისინი მუშაობენ, უკვე მოძველებულია. კიკილაშვილის მითითებით, ორმა თანამშრომელმა იატაკზე წამაქცია, ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენეს და ჯიბიდან კასეტის ამოღებას შეეცადნენ,"** - განაცხადა საპყრობილიდან გამოსულმა გიორგი ონიანმა.

თავად გელა კიკილაშვილს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია, არაფერი უთქვამს არც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს შოთა კოპაძეს. ორივემ ჟურნალისტებისგან თავდასაცავად უსაფრთხოების ზომებს მიმართა - კიკილაშვილი სასწრაფო დახმარების მანქანით გამოიყვანეს საპყრობილიდან, ხოლო კოპაძე დეპარტამენტიდან გაიპარა. თუმცა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა მოგვიანებით კომენტარი მაინც გააკეთა, ოპერატიულად გავრცელებული ვიდეომასალით. საპყრობილის პერანგშემოხეული თანამშრომლის ჩვენების შემდეგ მის ცემაში მართლმსაჯულების ომბუდსმენი დაადანაშაულეს.

მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით საქმე უკვე აღიძრა. **"მიმდინარეობს შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ძირს ყრია მობილურები და სხვადასხვა ნივთმტკიცება. გამოძიება დაწყებულია 333-ე მუხლით, რაც გულისხმობს თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას. გამოძიება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დაადგინოს, რა მოხდა სინამდვილეში"**, - განაცხადა "შემთხვევის ადგილიდან" გამოსულმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზედამხედველმა პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გელა კიკილაშვილს ომბუდსმენის აპარატს ერთხელ უკვე ჰქონდა შეხება. დაახლოებით, ერთი წლის წინ სოზარ სუბარმა მაშინ ორთაჭალის საპყრობილის უფროსი კიკილაშვილი თავის კაბინეტში სამი მსჯავრდებულის - ხვიჩა შოთაშვილის, ზვიად ჯანგებაშვილისა და დუნიამ ალიევის ცემაში დაადანაშაულა. ამის თაობაზე მსჯავრდებულებმა გენერალურ პროკურატურასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტსაც მიმართეს საჩივრით. აღიძრა საქმე, დაიწყო გამოძიება და კიკილაშვილი გამართლდა - მსჯავრდებულებმა ჩვენებები შეცვალეს თუ შეაცვლევინეს. მოგვიანებით მართლმსაჯულების ყოფილმა ომბუდსმენმა ვახო კომახიძემ გელა კიკილაშვილის საქმიანობა, უფრო ზუსტად, ორთაჭალის საპყრობილეში არსებული სიტუაცია დეტალურად შეისწავლა და იქ აღმოჩენილი სერიოზული დარღვევების, მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევის გამო, ომბუდსმენმა სოზარ სუბარმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს წარდგინებით მიმართა და გელა კიკილაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვა. კიკილაშვილის საქმე იმით დასრულდა, რომ ის მე-7 საპყრობილის დირექტორად გადაიყვანეს.

როგორ კვალიფიკაციას მისცემს მართლმსაჯულების ახალ ომბუდსმენსა და საპყრობილის დირექტორს შორის მომხდარ ინციდენტს პროკურატურა, ძნელი სათქმელია. თუმცა, არ შეიძლება არ დაეთანხმო არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელს თეა თუთბერიძეს: **"როცა ასეთ რამეს უკეთებენ მართლმსაჯულების ომბუდსმენს, ფიზიკურად უსწორდებიან მას, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რას გაუკეთებენ ჩვეულებრივ პატიმრებს."**

# შს მინისტრი ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში არ დაიღლება

*"ჩვენ არ გავჩერდებით და იგივე შემართებით გავაგრძელებთ ბრძოლას, რათა თბილისი და მთელი საქართველო ნარკომოვაჭრეებისგან გავწმინდოთ", - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ფონიჭალაში ჩატარებული უკვე მეთორმეტე სპეცოპერაციის შემდეგ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე.*

შს სამინისტროს თანამშრომლებმა ფონიჭალაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი ქალი დააკავეს. ნარიმანა ჯაფაროვა ნარკოტიკული საშუალება ჰეროინის რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს. სამინისტროს ინფორმაციით, ჯაფაროვას ნარკოტიკებით ვაჭრობაში ჩართული ჰყავდა თავისი მცირეწლოვანი შვილებიც. ეჭვმიტანილი ერთ ბაშ "ჰეროინს" 80 ლარად ყიდდა.

გარდა ფონიჭალისა, შს სამინისტროს თანამშრომლებმა სპეცოპერაცია ჩაატარეს სარფის საბაჟოზე და 200 ათასი ლარის ღირებულების ნარკოტიკული საშუალებები ამოიღეს. ვანო მერაბიშვილის განცხადებით, დაკავებულია ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი ორი ქალი, რომლებსაც საქართველოში 700 გრამი ჰეროინი და 200 გრამი ოპიუმი შემოჰქონდათ.

მინისტრი გარანტიას იძლევა, რომ აჭარაში მთელ საზაფხულო სეზონზე სამართალდამცველები კონსტროლს გაამკაცრებენ. **"არ ვურჩევ ნარკოტიკების გამსაღებლებსა და ნარკოტიკების მომხმარებლებს, რომ აჭარაში დასასვენებლად ჩავიდნენ. იქ გაძლიერებული სპეცჯგუფები იმუშავებენ, რომლებიც ნარკოტიკების რეალიზაციისა ან მოხმარების ყველა მცდელობას აღკვეთენ"**, - განაცხადა მინისტრმა, რომელმაც ჟურნალისტებს ამოღებული ნარკოტიკები წარუდგინა. მინისტრის ინფორმაციით, ბოლო ორ თვეში 350 ათას დოლარზე მეტი ღირებულების ნარკოტიკია ამოღებული. **"თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მცირე ნაწილია იმ დიდი ნარკობრუნვისა, რომელიც საქართველოში ჯერჯერობით არსებობს"**, - აცხადებს ვანო მერაბიშვილი, რომლის ინფორმაციითაც, ზოგიერთ ჯგუფს ნარკოტიკები აზერბაიჯანიდან შემოაქვს და ფონიჭალაში, თბილისში და ქვემო ქართლის ზოგიერთ რაიონში ასაღებს, ზოგიერთს კი - თურქეთიდან და ერთ-ერთი არხი სარფზე გადიოდა. **"სამწუხაროდ, არსებობს ევროპიდან სუბოტექსის შემოტანის მრავალრიცხოვანი არხი, რაშიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოების ფართო მასები, მათ შორის, ავტომობილების მყიდველები ან ჩვეულებრივი მგზავრები. მათ წინააღმდეგაც ხორციელდება წარმატებული სპეცოპერაციები აეროპორტებსა და საბაჟოებში"**, - აცხადებს ვანო მერაბიშვილი.

*24 საათი*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მინისტრი გარანტიას იძლევა„ რომ აჭარაში მთელ საზაფხულო სეზონზე სამართალდამცველები კონტროლს გაამკაცრებენ.*

# შსს-ს ოპერატიული დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ყოფილი ქვეშევრდომები ბრალდებებს უყენებენ

*შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის ხელმძღვანელს ირაკლი კოდუასა და მის მოადგილეს კახა მისირელს ამავე დეპარტამენტის თანამშრომლები - გიორგი ხუხია და თამაზ რევაზიშვილი შანტაჟში, ფიზიკურ შეურაცხყოფასა და მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებენ. საქმე ისაა, რომ ხუხიასა და რევაზიშვილის მიერ დეპარტამენტის უფროსის ირაკლი კოდუასა და მისი მოადგილის კახა მისირელის წინააღმდეგ გენერალურ პროკურატურაში შეტანილი სარჩელი, უკვე ერთი თვეა, გენერალური პროკურორის მოადგილის მაგიდაზე დევს, თუმცა, როგორც ირკვევა, ამ საქმესთან დაკავშირებით გენერალურ პროკურატურას დღემდე არანაირი საგამოძიებო მოქმედებები არ ჩაუტარებია.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლების მიერ პროკურატურაში შეტანილ სარჩელს თან ერთვის სამედიცინო ექსპერტიზის შედეგებიც, რომლებიც სხეულის დაზიანებებს აღწერს და მათი სასტიკად ცემის კვალს ადასტურებს.

ხუხია და რევაზიშვილი სასწრაფო და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარებას ითხოვენ. ამასვე მოითხოვს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციისგან "თავისუფლების ინსტიტუტი". ის, რაც შსს-ს ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილ თანამშრომლებს შეემთხვათ, გუშინ სწორედ "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრმა თეა თუთბერიძემ გაახმაურა.

ანგარიშსწორება ქვეშევრდომებზე - ასეთი შეფასება ეძლევა მომხდარს, რომლითაც, როგორც უკვე გითხარით, გენერალური პროკურატურა ჯერ არ დაინტერესებულა.

**"პროკურატურას არც კი უცდია, გაერკვია, რა მოხდა სინამდვილეში. არსებობს ინფორმაცია, რომ საქმე გამოსაძიებლად იმავე დეპარტამენტს გადასცეს, რომლის ხელმძღვანელობასაც დაზარალებულები საკმაოდ სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ. ეს სრული უკანონობაა"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას თეა თუთბერიძემ. ამასვე აცხადებენ დაზარალებულების ადვოკატებიც. პროკურატურა მათი საჩივრით ნამდვილად რომ არ დაინტერესებულა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დაზარალებულები დღემდე არც კი დაუკითხავთ.

ორივე დაზარალებულის - გიორგი ხუხიასა და თემურ რევაზიშვილის მონაყოლიდან ირკვევა, რომ უფროსები იმის გამო გაუსწორდნენ ასე სასტიკად, რომ მათგან ნარკოტიკების გასაღებაში მონაწილეობისა და მექრთამეობის აღიარება ვერ შეძლეს.

**"21 მაისს, საღამოს რვა საათზე ჩემმა თანამშრომელმა და მეგობარმა კახა მირუაშვილმა წყნეთისკენ მოტყუებით წამიყვანა. მოგვიანებით ადგილზე დეპარტამენტის ხელმძღვანელი და მისი მოადგილეც მოვიდნენ სხვა თანამშრომლებთან ერთად. კოდუა და მისირელი ჩემგან ნარკოტიკების გასაღებაში მონაწილეობისა და მექრთამეობის აღიარებას ითხოვდნენ. შვიდი ადამიანი სასტიკად მცემდა. მას შემდეგ, რაც ჩემგან უარი მიიღეს, მოკვლა დამიპირეს. თავს რაღაცნაირად გაქცევით ვუშველე - ხევში გადავხტი და გზაზე პირველივე შემხვედრი ავტომანქანა გავაჩერე. გაქცევისას ჩემმა თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღის ჯერი მომაყოლეს, რამდენჯერმე დამიზნებით მესროლეს. ტკივილის მიუხედავად, მაინც მივრბოდი და ვგრძნობდი, როგორ მომდევდა თავთან ტყვიები"**, - ასე იხსენებს მომხდარს თემურ რევაზიშვილი. მისივე ინფორმაციით, ამ ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე ოპერატიული დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კოდუამ მას ნარკოტიკების ერთ-ერთი გამსაღებლის წინააღმდეგ საგამოძიებო მოქმედებების შეწყვეტა, ნარკოტიკის რეალიზატორთან თანამშრომლობა და შემდეგ რეალიზაციიდან შემოსული თანხის განაწილება შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო. **"ამ შეთავაზების შემდეგ მე პატაკი დავწერე სამსახურიდან წამოსვლის თაობაზე. თუმცა, ერთი კვირის შემდეგ, თანამშრომლების თხოვნით, იქ კვლავ დავბრუნდი"**, - აცხადებს რევაზიშვილი.

ერთი სიტყვით, წყნეთთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ რევაზიშვილმა სამედიცინო ექსპერტიზა გაიარა, რომლის შედეგადაც ცემის ფაქტი დადასტურდა.

მსგავს ბრალდებას უყენებს ოპერატიული დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, ასევე, ამავე დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი გიორგი ხუხიაც. მისი თქმით, დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ კახა მისირელმა მას კაბინეტში იარაღის კონდახით სცემა. **"ცოტა ხნით ადრე ერთ-ერთმა ინფორმატორმა, რომელიც შსს-ყოფილი თანამშრომელი და ამჟამად ნარკოტიკების მომხმარებელია, ინფორმაცია მომაწოდა, რომ კახა მისირელი ნარკოტიკის გამსაღებლებს მფარველობდა. მე ეს ინფორმაცია შსს-ს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსს ლაშა არველაძეს მივაწოდე. რამდენიმე დღეში მისირელის კაბინეტში დაიმაბარეს, სადაც ირაკლი კოდუა, მისი მოადგილე, დეპარტამენტის ორი თანამშრომელი და ის ინფორმატორი დამხვდნენ. ინფორმატორმა მისირელის ნარკორეალიზატორებთან თანამშრომლობის შესახებ ჩემთვის ინფორმაციის მოწოდება უარყო. მისირელმა სატაბელო იარაღის კონდახი თავში მირტყა. ხელმძღვანელობა ჩემგან ნარკოტიკების გამსაღებლებთან თანამშრომლობის აღიარებას და სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადების დაწერას მაიძულებდა"**, - აცხადებს გიორგი ხუხია, რომლის ექსპერტიზის დასკვნაც, რევაზიშვილის ექსპერტიზის დასკვნის მსგავსად, მის სხეულზე დაზიანებებსა და ცემის ფაქტს ადასტურებს. ხუხიას ინფორმაციითვე, სასტიკადაა ნაცემი ინფორმატორი, რომელმაც მას რეალიზატორებთან მისირელის თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ის სამართალდამცველებმა დააკავეს.

**"დაკავებულების ცემა აღარ ჰყოფნით, ახლა საკუთარ თანამშრომლებს აწამებენ, ბოლოს და ბოლოს, ერთხელ მაინც ხომ უნდა ვნახოთ დასჯილი დამნაშავე მაღალჩინოსანი პოლიციელი. გენერალური პროკურატურა ვალდებულია, გამოიძიოს შსს-ს ოპერატიულ დეპარტამენტში დატრიალებული ამბები, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ამის სურვილიც კი არ არსებობს. ჩვენ მივმართავთ გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციას, კეთილი ინებოს და ამ საქმეზე მიუკერძოებელი, ობიექტური გამოძიება ჩაატაროს"**, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრმა თეა თუთბერიძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლების მხრიდან ხმამაღლა გაკეთებული განცხადებებისა და "თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ ამ ამბის გახმაურების შემდეგ გენერალური პროკურატურა თუ მაინც მოახდენს რეაგირებას დაზარალებულების საჩივარზე, ალბათ უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

# კოლონიიდან კოლონიაში გადაყვანილი მსჯავრდებული უკანონო პატიმარი აღმოჩნდა

გუშინწინ გეგუთის კოლონიიდან კიდევ ერთი უკანონო პატიმარი გათავისუფლდა. უშანგი ჭუმბურიძემ კოლონია გენერალური პროკურატურის ადამინის უფლებების დაცვის სამმართველოს უფროსის ლაშა მაღრაძის უშუალო ჩარევით მოახერხა.

როგორც გაირკვა, წვრილმანი ხულიგნობისთვის მსჯავრდებულმა უშანგი ჭუმბურიძემ თავისუფლების აღკვეთის ვადის ამოწურვის შემდეგ გეგუთის კოლონიაში კიდევვ ორი თვე გაატარა. რაც მთავარია, ჩვენი ინფორმაციით, ის ამ კოლონიაში რუსთავის კოლონიიდან სწორედ იმ დღეს გადაუყვანიათ, როდესაც მას პატიმრობის ვადა ამოეწურა.

უშანგი ჭუმბურიძე 2003 წლის 12 იანვარს წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს, 15 იანვარს კი ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ მას წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. მოგვიანებით, ამავე სასამართლომ ჭუმბურიძეს აღმკვეთი ღონისძიება - პატიმრობა - სხვა აღმკვეთი ღონისძიებით - პოლიციის ზედამხედველობით შეუცვალა. თუმცა, იმის გამო, რომ ჭუმბურიძე სასამართლოს დაემალა, პოლიციის ზედამხედველობა მას ისევ დაპატიმრებით შეეცვალა.

უშანგი ჭუმბურიძეზე ძებნა გამოცხადდა. ის ხელმეორედ უკვე 2004 წლის 29 მარტს დააკავეს და ორი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, პატიმარს სასჯელის მოხდაში უნდა ჩათვლოდა წინასწარი სამთვიანი პატიმრობის ვადაც, რომელიც მან ციხეში გაატარა. ესე იგი, მას მოსახდელი დარჩა ერთი წელი და შვიდი თვე.

ამის შემდეგ ძებნის პერიოდში ჩადენილი დანაშაულისთვის ჭუმბურიძე თბილისის ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომაც გაასამართლა და ამ დანაშულისთვის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. "სასჯელის მოხდის ვადა დაეწყოს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით განსაზღვრული ვადიდან", - ასეთი გახლდათ მოსამართლის ვერდიქტი.

კანონში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით მსჯავრდებულ უშანგი ჭუმბურიძეს უზენაესმა სასამართლომ სასჯელის ზომა ექვსი თვით შეუმცირა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჭუმბურიძე, რომელიც სასჯელს რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში იხდიდა, გასული თვის 20 მაისს უნდა გაეთავისუფლებინათ, თუმცა, რატომღაც, გათავისუფლების ნაცვლად, გეგუთის კოლონიაში გადაიყვანეს. როგორც უკვე გითხარით, მან თითქმის ორი თვე გეგუთის მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაატარა. ის, რომ ჭუმბურიძე უკანონო პატიმარი იყო, გენერალური პროკურატურის ადამიანის დაცვის სამმართველომ აღმოაჩინა, რის შემდეგაც ყოფილმა მსჯავრდებულმა კოლონია დატოვა.

ჩვენი ინფორმაციით, მომხდარ უკანონობასთან დაკავშირებით, მოკვლევა დაწყებულია. გენერალურ პროკურატურაში ირწმუნებიან, რომ მკაცრად დაისჯება ის, ვინც ყოფილი მსჯავრდებული ორი თვის მანძილზე უკანონო პატიმრობაში ამყოფა.

*24 საათი*

## სოფიკო ჩხაიძის სვეტი

### ბოდიში რომ საქმეს შველოდეს

სულ ცოტა ხნის წინათ ჩვეულებრივად ქცეულ მოვლენას - თბილისის ქუჩებში და, შესაბამისად, ტელეეკრანებზე ნიღბიანი სპეცრაზმელების გამოჩენას - გადავჩვეულვართ. კარგა ხანია, ქართველ სამართალდამცველებს მსგავსი სპეცოპერაციებით აღარ გაუნებივრებია საზოგადოება. გუშინ კი გამოჩნდნენ - საღამოს, თბილისის ცენტრში, "ნიკალას" ქსელის კაფეებში იქაურ ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებთან ერთად მუდმივად ხალხმრავალი დაწესებულების სტუმრები, მათ შორის, დიდი რაოდენობით ბავშვებიც დააფეთეს. შენობაში შევარდნილმა ათობით შეიარაღებულმა სპეცრაზმელმა კაფეში ყავის დასალევად მისულ ხალხს კარი ჩაურაზა და შენობიდან გასვლის საშუალება მოუსპო. მერე გაირკვა, რომ ეს საგანგებო აურზაური, საშიში დამნაშავეების დასაპატიმრებლად კი არა, ერთი კომპიუტერული პროგრამის შესამოწმებლად მოეწყო. შეიარაღებულ-"შენიღბული" სანახაობის დამდგმელებად ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნები დასახელდნენ. ამის თაობაზე თვით მათმა უშუალო ხელმძღვანელმა, ფინანსური პოლიციის უფროსმა დავით კეზერაშვილმა ამცნო საზოგადოებას, რითაც მომხდარზე პირადი პასუხისმგებლობა თავიდან აიცილა. იმ ხალხს კი, ვისაც გუშინწინ საღამოს "ნიკალაში" დასასვენებლად მისულთ ფინანსური პოლიციის შეიარაღებულ სპეცრაზმთან მოუწია შეჯახება და ცოტა ხნით, მაგრამ მაინც აღუკვეთეს თავისუფლება, გუშინ დილით პარლამენტარებისა და თვით პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან მომხდარის გამო აღშფოთების გამოთქმის შემდეგ დავით კეზერაშვილმა ბოდიში მოუხადა.

"ბოდიში რომ წამალი იყოს, აფთიაქში გაიყიდებოდა", - ფინანსური პოლიციის 27 წლის თავკაცს ბავშვებს შორის გავრცელებული ეს ფრთიანი გამონათქვამი, წესით, უნდა ახსოვდეს. მაგრამ, გაცილებით ახლო წარსულის მაგალითი, როგორც ჩანს, უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდა - პარლამენტის დაცვის თანამშრომლის ცემისთვის ნაციონალი პარლამენტარის დავით კირკიტაძის მიერ საჯარო ბოდიშის მოხდას ხომ საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან მისი გმირად გამოცხადება მოჰყვა. აღიარებენ თუ არა გმირად კეზერაშვილს, რომლის დაცვაც ოპოზიციონერთა თავდასხმებისგან საქართველოს პრეზიდენტს არაერთხელ მოუხდა, გუშინ არ თქმულა. თუმცა, თუ საქართველოს ხელისუფლებაში კიდევ გამოჩნდებიან გმირის წოდების იოლად მოპოვების მსურველნი, საბოდიშოს რა გამოლევს - იმდენია, რომ საქართველოს მთელ ხელისუფლებას გასწვდება. მაგალითად:

**ბოდიში იმისათვის, რომ** ქართული მართლმსაჯულება ბრალდების მხარის სურვილის უსიტყვო შემსრულებლად იქცა და იმისთვისაც, რომ მოხერხდა ასობით ისეთი მოსამართლის შერჩევა, რომელთა შორისაც ამდენი ხნის მანძილზე არ გამოჩნდა არც ერთი, რომელიც სამართალდამცველთა ნების ნოტარიალურად დამმოწმებლის ფუნქციით აღჭურვას მოსამართლის მანტიის შეურაცხყოფად მიიჩნევდა და საკუთარი და, საერთოდ, სასამართლო სისტემის ღირსების დასაცავად ხმას საჯაროდ აიმაღლებდა;

**ბოდიში იმისათვის, რომ** ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები სასამართლოზე საჯარო ზეწოლას ახდენენ: განსასჯელებისთვის სასამართლომდე გამოაქვთ განაჩენი და ამის გაცხადებას საჯარო გამოსვლებშიც არ ერიდებიან;

**ბოდიში იმისათვის, რომ** თავისუფლება ყიდვა-გაყიდვის საგნად იქცა, სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებას კი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის სრულიად მისაღები, მაგრამ ქართულ სინამდვილეში მახინჯი ფორმით გადმოღებული საპროცესო შეთანხმების დადება დაერქვა. კიდევ იმისთვის, რომ ამ ვაჭრობის შედეგად გადახდილი თანხების ასავალ-დასავალს ვერავინ მიაგნო;

**ბოდიში იმისათვის, რომ** ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელს მათიას იორშს, ყველა ქართველის ნაცვლად რცხვენია, რადგანაც საქართველოს ხელისუფლებამ მის მიერვე ქვეყნის დამანგრევლებად და გამძარცველებლად მონათლულ ადამიანებს ქვეყნის დანგრევა ასეული ათასი ან, თუნდაც, მილიონობით დოლარის ხათრით აპატია;

**ბოდიში იმისათვის, რომ** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ქვეყნის მთავარი ექსპერტის ფუნქციებს ითავსებს და გამოძიების შედეგებსა და ექსპერტიზის დასკვნებს გამოძიების დაწყებამდე და ექსპერტიზის ჩატარებამდე აქვეყნებს, გამოძიებას და ექსპერტიზას კი ისღა დარჩენია, მას დაეთანხმოს;

**ბოდიში იმისათვის, რომ** ხშირად მავანთა კერძო ინტერესები ან ოდესღაც გულში ჩადებული წყენა ადამიანის ციხეში გამოკეტვის საფუძველი გამხდარა;

**ბოდიში იმისათვის,** რომ მათ, ვინც ხელისუფალთა ნებას არ დაჰყვება, საპატიმროებში არაადამიანური მოპყრობით უსწორდებიან;

**ბოდიში იმისათვის, რომ** დასაპატიმრებლად განწირულ ადამიანს დაუფარავად უდებენ ჯიბეში ნარკოტიკს ან იარაღს და შემდეგ ამ ნარკოტიკის და იარაღის შენახვას მას ბრალდებად უყენებენ;

**ბოდიში იმისათვის, რომ** საქართველოში ცრუ მოწმეები სამართალდამცველ სტრუქტურებში იღებენ ხელფასს;

**ბოდიში იმისათვის, რომ**, მართალია, ვარდების, მაგრამ მაინც რევოლუციის გზით, დემოკრატიის მშენებლობისა და კანონიერების დაცვის დაპირებებით მოსული ხელისუფლების მმართველობის პირობებში ხშირად სწორედ დემოკრატიის პრინციპები და კანონი ირღვევა...

მოკლედ, ბოდიშის მომხდელი გამოჩნდეს და ზემოთ ჩამოთვლილი მხოლოდ ზღვაში წვეთია - მიზეზს რა გამოლევს.

თუმცა, ბოდიში რომ საქმეს შველოდეს...

## მოკლედ

### ფინანსური პოლიცია ობიექტების შემოწმებას სპეცრაზმის გარეშე გააგრძელებს

ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი, სწრაფი კვების ობიქტ "ნიკალაში" ჩატარებული სპეცოპერაციის გამო, საზოგადოებას ბოდიშს უხდის.

როგორც დავით კეზერაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ფინანსურ პოლიციაში დანიშნულია შიდა სამსახურებრივი მოკვლევა, რომელიც გაარკვევს მიზეზებს და იმ პირებს, რომლებმაც "ნიკალაში" სპეცდანიშნულების რაზმის შეყვანის გადაწყვეტილება მიიღეს. კეზერაშვილი არ გამორიცხავს, რომ მათი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

მისი განმარტებით, სპეცდანიშნულების რაზმი შენობასთან მანქანებში უნდა დარჩენილიყო, თუ ობიექტის დაცვა სერიოზულ წინააღმდეგობას არ გაწევდა. **"ღონისძიების ხელმძღვანელებმა, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, იქ რაზმის შეყვანის გადაწყვეტილება მიიღეს"**, - აღნიშნა ფინანსური პოლიციის უფროსმა. აღნიშნულ ღონისძიებას ხელმძღვანელობდნენ ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის და ქალაქის მთავარი სამმართველოს ხელმძღანელები. დავით კეზერაშვილის განცხადებით, ფინანსური პოლიცია ობიექტების შემოწმებას კვლავ გააგრძელებს, თუმცა სპეცდანიშნულების რაზმს აღარ გამოიყენებს.

როგორც ცნობილია, ფინანსური პოლიცია სწრაფი კვების ობიექტ "ნიკალაში" 2 საათის განმავლობაში ატარებდა შემოწმებას, რომლის დროსაც იქ მოქალაქეები, მათ შორის, ბავშვები იმყოფებოდნენ. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, "ნიკალაში" სალარო აპარატები გამართულად არ მუშაობდა და ხელმძღვანელობა გადასახადებს სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით მალავდა. **"ასეთივე ოპერაცია 2 კვირის წინ ჩატარდა სწრაფი კვების ობიექტ "მარენოში", სადაც ანალოგიური პროგრამის მეშვეობით ფინანსურმა პოლიციამ 600 ათასი ლარის დამალვის ფაქტი გამოავლინა, "ნიკალა"კი ამ ობიექტზე 5-6 ჯერ დიდი ობიექტია,"** - განაცხადა დავით კეზერაშვილმა. *პრაიმ-ნიუსი*

### დავით უსუფაშვილი "ნიკალაში" ჩატარებულ სპეცოპერაციას ძალის დემონსტრირების მცდელობად მიიჩნევს

ფინანსური პოლიციის მიერ სწრაფი კვების ქსელ "ნიკალაში" ჩატარებულ სპეცოპერაციას იურისტი დავით უსუფაშვილი ხელისუფლების მხრიდან ძალის დემონსტრირების მცდელობად მიიჩნევს. **"გუშინდელი ფაქტი ხელისუფლების მხრიდან ძალის მორიგი დემონსტრირება და დაშინების პოლიტიკის გამოვლენა იყო. მსგავსი ფაქტი რომ ერთი წლის წინათ მომხდარიყო, მაშინ შეგვეძლო, ის დაუდევრობად მიგვეჩნია. მაგრამ, როცა ერთი წელია, ლაპარაკობენ იმაზე, რომ ფინანსურმა პოლიციამ თუ სხვა სამართალდამცველმა სტრუქტურამ თავიანთ მოქმედებებში ძალა დოზირებულად უნდა გამოიყენონ, დაუდევრობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთ სპეცოპერაციას იმ შემთხვევაში გავამართლებდი, თუ იქ შეიარაღებული ბანდა იქნებოდა. კომპიუტერის ამოღება კი ისე შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ეს რესტორანში მყოფებს ვერც კი ეგრძნოთ. გუშინდელი ქმედება მოქალაქეების სრული უპატივცემულობის გამოვლენაა"**, - განუცხადა "მედიანიუსს" დავით უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, ფინანსური პოლიციის უფროსის დავით კეზერაშვილის ბოდიში საზოგადოებისადმი ის იქნება, თუ ამ არასწორი განკარგულების გამცემი პირი თანმდებობიდან გათავისუფლდება. **მედიანიუსი**

### ვენაში ქართველ კრიმინალთა ჯგუფის წევრები დააკავეს

ავსტრიის პოლიციამ ქართველ კრიმინალთა ჯგუფის წევრები დააკავა. წინასწარი ინფორმაციით, 41 ქართველისგან შემდგარი კრიმინალური დაჯგუფება ვენაში მოქმედებდა. მათ ნახევარი მილიონი ევროს ღირებულების საიუველირო ნაწარმი, მობილური ტელეფონები და სხვა ტექნიკა ჰქონდათ მოპარული.

ავსტრიაში საქართველოს კონსულის მერაბ ღვინაძის თქმით, დაკავებული ქართველები სადეპორტაციო ციხეში გადაიყვანეს. ამჟამად პოლიცია მათი ვინაობის დადგენაზე მუშაობს. ავსტრიულმა მხარემ შეგროვილი მონაცემების შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურად უნდა შეატყობინოს. ავსტრიაში საქართველოს კონსულის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, აღნიშნულ პირებს ავსტრიაში მოთხოვნილი აქვთ პოლიტიკური თავშესაფარი და სარგებლობენ საერთაშორისო სტატუსით. ქართული კრიმინალური ჯგუფის დაკავების შესახებ ვენაში გამომავალი ყველა წამყვანი გაზეთი იტყობინება. თუმცა ჯერჯერობით კონკრეტული დეტალები არ ხმაურდება. ამჟამად საქართველოს კონსული ავსტრიაში დაკავების დეტალებს და ეჭვმიტანილთა ვინაობებს არკვევს. **24 საათი**

# უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი - ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

დიმიტრი შველიძე

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებისა და მიღების იდეას საქართველოში თავისი ისტორია აქვს. დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს იგი 15 თუ არა, 10 წლის წინ მაინც უნდა მიეღო, ყოველ შემთხვევაში, კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ ახლო ხანებში მაინც. უსაფრთხოების კონცეფციის მიღების საჭიროების შესახებ ჩვენს საზოგადოებაში არაერთხელ წამოუჭრიათ საკითხი. რამდენიმე ინტელექტუალმა საკუთარი ვარიანტებიც გამოაქვეყნა. მათგან საყურადღებო კონცეპტუალური სისტემები ჩამოაყალიბეს მიხეილ ქურდიანმა, გიორგი გაჩეჩილაძემ.

სულ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია "14 აპრილის" საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოთავაზებული მოსაზრებები სახელწოდებით: "პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზები." სხვათა შორის, აქ ვკითხულობთ, რომ ისტორიულ გზაჯვარედინზე მდგომი ქვეყნის ჩიხიდან გამოსასვლელად აუცილებელია თავად საზოგადოების მიერ ინიცირებული ერთიანი, გააზრებული, შეთანხმებული კონცეფციის არსებობა.

ასეთი ინიციატივები იყო, მაგრამ წინა ხელისუფლება დუმდა, როგორც სხვა არაერთ შემთხვევაში და ეს სავსებით ბუნებრივი გახლდათ იმ ხელისუფლებისათვის, რომელსაც არ ჰქონდა გაკეთებული არჩევანი. ჩვენ ვგულისხმობთ პატარა ქვეყნისათვის გადამწყვეტ იმ დილემას, რომელსაც საგარეო ორიენტაცია ჰქვია და ძლიერი პოლიტიკური მოკავშირის ფაქტორში გამოიხატება. ყოფილმა ხელისუფლებამ სცადა პროდასავლური მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ - სანახევროდ. იგი ორმაგი თამაშებისა და ბალანსირების გზას დაადგა. ერთ დღეს საქართველოს ხელისუფლება აშშ-ს აცხადებდა თავის სტრატეგიულ მოკავშირედ, ხოლო მეორე დღეს იგი ამავე ტიტულით აწყნარებდა გაღიზიანებულ ყოფილ მეტროპოლიას. "ბაბრსა" და "ფოცხვერს" შორის მოქცეულმა საქართველოს კუნქტატორულმა ხელისუფლებამ საბოლოო არჩევანის გაკეთება ვერ გაბედა.

ელემენტარული ანბანაა - ამგვარ სახელმწიფოებრივ დოკუმენტში პირველ რიგში სწორედ საგარეო ორიენტირები უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული. სწორედ ამ მიზეზით, ყველაზე იდეალურად შემუშავებული უსაფრთხოების კონცეფციაც კი თაროზე შემოდებისთვის იყო განწირული.

2003 წლის ნოემბრის მოვლენებმა, უპირველეს ყოვლისა, წერტილი დაუსვა საქართველოს ორიენტაციულ ორჭოფობას. ახალი ხელისუფლება მტკიცედ დაადგა პროდასავლურ კურსს. და აი, 10 წლის ყოყმანის შემდეგ, ქართველმა საზოგადოებამ და ქვეყნის მოსახლეობამ მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტი - "საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია." როგორც პრესა იუწყებოდა, აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც ჯერჯერობით პროექტის სახეს ატარებს, ახლო მომავალში უნდა მიიღოს ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ, უნდა დავასკვნათ, რომ კონცეფციის შემუშავება ქართველი საზოგადოების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი შედეგია. ქართულმა სახელმწიფომ პირველად აუწყა თავის ხალხს და მსოფლიოს საკუთარი მსოფლმხედველობა, ღირებულებები, მიზნები, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურულ-ინტელექტუალური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პერსპექტივები და იდეალები.

სანამ უფალი პარლამენტარები საბოლოო ვერდიქტს გამოიტანენ, თვალი გადავავლოთ ამ დოკუმენტის პროექტს.

## საგარეო-საერთაშორისო ორიენტირები

ნიშანდობლივია, რომ საგარეო პოლიტიკისადმი მიძღვნილი თერთმეტი ქვეთავი, ოცდახუთგვერდიანი "საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის" ყველაზე ნათლად გამოკვეთილი და თანამიმდევრულად დასაბუთებულ-არგუმენტირებული ნაწილია. ძირითადი პრიორიტეტები ქვეთავების სათაურებიდანაც კარგად ჩანს და ზედმეტ ახსნა-განმარტებას არც საჭიროებს:

6.5. ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევროკავშირში ინტეგრაცია.

ამ ორგანიზაციებში გაერთიანება კონცეფციის პროექტისთვის საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის "უპირველეს პრიორიტეტს" წარმოადგენს. ნატო-ს წევრობა **"საქართველოს მოუტანს სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოების აქამდე უპრეცედენტო ხარისხს."** საქართველო მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს, რომლებიც ამ ორგანიზაციებში ინტეგრაციის წინაპირობას წარმოადგენს: ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობა; თანამშრომლობა ნატო-ს წევრ სახელმწიფოებთან და წევრობის მსურველ ქვეყნებთან "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამისა და ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში; ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილეობა.

6.6. საგარეო კავშირების განმტკიცება.

6.6.2. სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ქვეპუნქტში დადასტურებულია აშშ-ს "უწყვეტი დახმარება" საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან. უკანასკნელ წლებში ქართული შეიარაღებული ძალების შექმნის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა შეერთებული შტატების მიერ განხორციელებულმა წვრთნისა და აღჭურვის პროგრამამ. კონცეფციაში აღნიშნულია, რომ ამჟამად მიმდინარე სტაბილურობის შენარჩუნების პროგრამას (ssop), რომელიც, აგრეთვე, აშშ-ს დახმარებით ხორციელდება, **"თვისობრივად მაღალ დონეზე აჰყავს საქართველოს თავდაცვისუნარიანობა. ამ პროგრამებით გაწვრთნილი ნაწილები საქართველოს არმიის ბირთვს წარმოადგენენ."**

6.6.3. სტრატეგიული პარტნიორობა უკრაინასთან;

6.6.4.სტრატეგიული პარტნიორობა თურქეთთან;

6.6.5. პარტნიორობა რუსეთის ფედერაციასთან.

"კონცეფცია" ასახავს რუსეთთან "კეთილმეზობლობის, თანასწორუფლებიანობის და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დაფუძებულ თანამშრომლობას." მაგრამ ჩანს, რომ ყველაფერი მაინც რუსეთზეა დამოკიდებული. **"რუსეთის ფედერაციამ განუხრელად უნდა შეასრულოს მის მიერ ეუთოს სტამბოლის 1999 წლის სამიტზე ნაკისრი ვალდებულებები და დროულად გაიყვანოს თავისი სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიიდან, რაც უდავოდ გააუმჯობესებს ურთიერთობებს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის"** - ჩაწერილია პროექტში. ქართველი ხალხი, საზოგადოება და ქვეყნის მოსახლეობა გულწრფელად მოსურნეა ორი სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი კეთილმეზობლობისა, რომლის პირობებშიც ორი ხალხის დიდი პოტენციის შემცველი კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობანი ყოვლისმომცველად განვითარდება.

6.6.6. პარტნიორობა აზერბაიჯანთან და სომხეთთან;

6.6.7. თანამშრომლობა შავი ზღვის რეგიონის ფარგლებში;

ქვეთავში დადასტურებულია საქართველოს მისწრაფება ყოველმხრივი ურთიერთობისაკენ ისეთ რეგიონულ ორგანიზაციებში, როგორებიცაა: სუამი; შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ბისეკი); შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფი.

6.6.8. რეგიონთაშორისი თანამშრომლობა.

აქ იგულისხმება ახლო და აქტიური თანამშრომლობა ბალტიისპირეთის ქვეყნებთან და "საქართველოს ახალ მეგობართა" ქვეყნების ჯგუფთან (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და პოლონეთი). მეორე მხრივ - თანამშრომლობა ცენტრალური აზიის ქვეყნებთან.

6.6.9. მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორუმები.

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის "მნიშვნელოვან პრიორიტეტს" წარმოადგენს ურთიერთობები: გაეროსთან; ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (ეუთო). საქართველოს მიაჩნია, რომ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულება "რჩება ევროპის უსაფრთხოების ქვაკუთხედად." აქვე, კონცეფცია" კვლავ "განსაკუთრებულ მნიშვნელობას" ანიჭებს სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილებების განხორციელებაში ეუთო-ს ძალისხმევას. აქვე, "კონცეფცია" აფიქსირებს, რომ საქართველო მოწოდებულია, შეასრულოს "ევროსაბჭოს რეკომენდაციები," როგორიცაა: **"დემოკრატიის განვითარება ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, ეროვნული უმცირესობების და ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობისათვის აუცილებელი მექანიზმების განმტკიცება ქვეყანაში."**

## ღირებულებები, ინტერესები, საფრთხეები და გამოწვევები

საგარეო პოლიტიკის პრობლემები "კონცეფციის" მეექვსე თავის ნაწილია. დასაწყისიდან კი "კონცეფცია"აყალიბებს იმ კატეგორიებს, რომლებიც ფუნდამენტს უქმნიან სახელმწიფოს სიმტკიცეს, უზრუნველყოფენ დამოუკიდებლობას, ქვეყნის საშინაო სტაბილურობას და საზოგადოების, მოსახლეობის ყოველმხრივ განვითარებას. 2. საქართველოს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები.

იგულისხმება და განმარტებულიცაა: სუვერენიტეტი; ქვეყნის საშინაო და საგარეო უსაფრთხოება; მშვიდობა; დემოკრატია და კანონის უზენაესობა; ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა; კეთილდღეობა.

ჩამოთვლილი ექვსი ეროვნული ღირებულებისადმი საწინააღმდეგო არაფერი გაგვაჩნია, გარდა იმისა, რომ ერთი - უმთავრესი და უპირველესი ღირებულებაა დასამატებელი - ქართველი ხალხისა და საქართველოს მოსახლეობის ეროვნული თვითმყოფადობა და ყოველმხრივი განვითარება. განვმარტავთ კიდეც: ქართველი ხალხი მრავალი საუკუნის მანძილზე თავგანწირულად იბრძოდა და დღესაც ილვწის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და კუტურულ-ეთიკური იდენტობის განვითარებისათვის. ამავე დროს, საქართველო უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული უმცირესობების ეროვნულ-კულტურულ განვითარებას, რაც ქვეყნის მოსახლეობის ურთიერთსოლიდარობისა და ერთიანობის საფუძველია. ამ პუნქტს "კონცეფცია" შემდეგ განყოფილებაში ითვალისწინებს, რომელსაც როგორღაც მეორადი ხარისხი ენიჭება.

3. საქართველოს ეროვნული ინტერესები.

უპირველესი ხარისხი მაინც "ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს" ეკუთვნის, რომელსაც "ეფუძნება" ეროვნული ინტერესები. ამ განყოფილებასა თუ თავში შვიდი "ინტერესია" ჩამოთვლილ-განმარტებული. ჩვენთვის საინტერესოა მეშვიდე - "ეროვნული ინტერესი" - ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის უზრუნველყოფა." განმარტებულია, რომ **"საქართველო, როგორც მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონე სახელმწიფო, ქვეყნის კულტურული და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ელემენტად მიიჩნევს."**

ბევრად ჯობს, ეს პუნქტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, "ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებში" განთავსდეს და ამით "მნიშვნელოვანი ელემენტის" არაფრისმთქმელი მდგომარეობიდან უმნიშვნელოვანეს კატეგორიად ამაღლდეს. იმედს გამოვთქვამთ, რომ "კონცეფციის" ავტორები, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს, ამ გარემოებას კარგად აცნობიერებენ.

რაც შეეხება დანარჩენ "ეროვნულ ინტერესებს", ისინი შემდეგია: ტერიტორიული მთლიანობა; ეროვნული ერთიანობა; რეგიონული სტაბილურობა: თავისუფლების და დემოკრატიის განმტკიცება მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონებში; ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განმტკიცება და ენერგიის მოწოდების ალტერნატიული წყაროების უზრუნველყოფა; ქვეყნის და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოება.

4. საფრთხეები.

ასეთი რვა საფრთხეა დაფიქსირებულ-განმარტებული: დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა და აქედან წარმოქმნილი რიგი პრობლემები; მეზობელ ქვეყნებში არსებული კონფლიქტების "გადმოღვრა"; კონტროლის არარსებობა რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე; სამხედრო ინტერვენცია; არალეგალური სამხედრო ფორმირებების არსებობა უკონტროლო ტერიტორიებზე და მათი საზღვრების ახლოს და აქვე, საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობისათვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მინიჭება; რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები; კონტრაბანდა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობანი; საერთაშორისო ტერორიზმი. ამ განყოფილებაში ხომ არაა გვერდავლილი (რა თქმა უნდა, გარკვეული მოსაზრებით) პუნქტი, რომელიც უნდა ეხებოდეს რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების ყოფნას ენგურზე? უკვე რამდენი წელია, წინა და ამჟამინდელი ხელისუფლების განცხადებებით, ეს ძალები ვერ ან არ ასრულებენ დეკლარირებულ მისიას. პირიქით, ისინი სეპარატისტული რეგიონის კონსერვაციას უწყობენ ხელს. ამდენად, რუსეთის სამშვიდობო ძალები საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ ფაქტორად შეიძლება იქნეს განხილული და ერთ-ერთ საფრთხედაც - მიჩნეული.

5. გამოწვევები

კორუფცია და არაეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემა; ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები; ენერგეტიკული გამოწვევები; საინფორმაციო; ეკოლოგიური გამოწვევები.

არ ვიცით, "კონცეფციის" ჩვენ მიერ მოპოვებულ ეგზემპლარშია გრამატიკულ-სტილისტური და აზრობრივი უზუსტობანი, თუ ორიგინალშიც იგივე სურათია. მაგალითად, ბუნდოვანია წინადადება: **"მმართველობის დემოკრატიული სისტემის და წონასწორობისა და შეპირისპირების მექანიზმის არსებობის სუსტმა ტრადიციამ ხელი შეუწყო კორუფციის დრამატულ ზრდას."**

## ეროვნული ინტერესების დაცვა

6. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

პოლიტიკის მიზანია ეროვნული ინტერესების დაცვა. კერძოდ: სახელმწიფო მართვის გაძლიერება და დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება; ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება; არასამთავრობო სექტორის და მასმედიის განვითარება. გარდა ამისა:

6.3. სახელმწიფო თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება

აქაც ვერ დავემდურებით "კონცეფციის" ავტორებს. ჩამოთვლილია ის, რაც ამ მიმართულებით მეტ-ნაკლები წარმატებით კეთდება, ზოგი ჩვენი მონდომებით, უფრო მეტი კი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეების დახმარებით. კერძოდ: შეიარაღებული ძალების გაძლიერება ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სტანდარტების საფუძველზე; შეიარაღებულ ძალებზე ეფექტური დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლის დაწესება; სამოქალაქო თავდაცვის განვითარება, რეზერვისტების მომზადების და სამობილიზაციო სისტემების შექმნის გზით.

6.4. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა.

"კონცეფცია" თანამიმდევრულად მოიცავს ეროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა მიმართულებებს. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უსაფრთხოების პოლიტიკის **"ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს."** ზოგიერთი თეზისი ზედმეტად ფრთხილად გამოიყურება, მაგალითად: **"უკონტროლო ტერიტორიების არსებობა ხელს უშლის საქართველოს ფუნქციონირებად დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას."** ეს ფრაზა თითქოს ჩვენი დასავლელი მეგობრების გასაგონად არის გამიზნული: აი, ჩვენ "ფუნქციონირებადი დემოკრატიული სახელმწიფო" გვინდა ავაშენოთ, უკონტროლო ტერიტორიები კი "ხელს გვიშლის." ევროპელები მაშინვე დაიძრებიან "ფუნქციონირებადი დემოკრატიის" საშველად. სჯობს საგნებს და მოვლენებს თავისი სახელები დავარქვათ. უკონტროლო ტერიტორიები, პირველ რიგში, სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებას არღვევს, ლახავს მის სუვერენიტეტს, პერმანენტულად არანორმალურ ვითარებაში აყენებს ქვეყნის მოსახლეობას და ა.შ.

ამ არანორმალური მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, საქართველო აფხაზეთის და ცხინვალის მხარეებს (სამხრეთ ოსეთი), სთავაზობს დიალოგის გზით პრობლემების მოგვარებას, **"საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურყევობის და ფართო რეგიონული ავტონომიურობის პრინციპებზე დაყრდნობით."** აფხაზეთთან დაკავშირებით მდგომარეობა უფრო არაერთგვაროვანია. ერთი მხრივ, ამ საკითხში, ჩარჩოდ მიიჩნევა გაერო-ს ეგიდით, გენერალური მდივნის ყოფილი განსაკუთრებული წარმომადგენლის დიტერ ბოდენის მიერ შემუშავებული დოკუმენტი - "თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის ძირითადი პრინციპების შესახებ," - "საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის ავტონომიურ ერთეულად ჩამოსაყალიბებლად." მაგრამ, მეორე მხრივ, იქვე, მომდევნო წინადადებაში ვკითხულობთ: "ეს დოკუმენტი ითვალისწინებს ფედერალური შეთანხმების საფუძველზე აფხაზეთისათვის ფართო უფლებამოსილების და განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას და აფხაზეთის მრავალეროვნული მოსახლეობის უფლებების და ინტერესების უზრუნველყოფას." ძნელია ითქვას, რა გამოდის ამ სტილისტური თუ დიპლომატიური კომბინაციიდან - ბოდენის დოკუმენტი "ჩარჩოა" ავტონომიისთვის, მაგრამ "ითვალისწინებს" ფედერაციულ სახელმწიფოსაც.

## სახელმწიფო თუ ხალხი?

"კონცეფციის" ძირითადი ნაწილი სახელმწიფოსა და ხალხს ათანაბრებს, ანუ როცა სახელმწიფოსთვის ზრუნვაზეა საუბარი, იგულისხმება ქვეყნის მოსახლეობისთვის ზრუნვაც. მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით "კონცეფციის" სოციალ-ეკონომიკურ ნაწილზე. 6.8. ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა

ამ განყოფილების შესავალში საკითხი ნათლად არის დასმული: ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია **"აუცილებელი ეკონომიკური პირობების შექმნა საქართველოს განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებისათვის. ეკონომიკის შეუქცევადი გამოცოცხლება წარმოადგენს მიმდინარე პოლიტიკის შედეგს."** აქ შეიძლება მეტი გარკვეულობისთვის ჩაემატოს: **"მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კეთილდღეობისათვის."**

რისთვის და ვისთვის გვჭირდება სახელმწიფოც, დამოუკიდებლობაც, დემოკრატიაც, ეკონომიკაც და სხვა ყველაფერი, რაც თანამიმდევრულადაა ჩამოყალიბებული "კონცეფციაში"?

საფრანგეთის კონსტიტუციაში წერია, რომ რესპუბლიკის პრინციპია: "ხალხის მმართველობა, ხალხის მიერ, ხალხისათვის." ეს ღრმად დემოკრატიული და ლამაზი ტრიადა გვასწავლის, რომ ხალხია უპირველესი ღირებულება და ყველაფერი მისთვის უნდა კეთდებოდეს. "კონცეფცია"'კი ან ტყუის, ან არაადეკვატურია, როცა გვარწმუნებს, რომ **"ხელფასებმა მოიმატა."** ვისმა? პარლამენტარების, სახელმწიფო მოხელეების... ეს არაა ხალხი. ეს ხალხის უმცირესი ნაწილია. "კონცეფციამ" პირიქით, უნდა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის სიტუაციური ანალიზი გააკეთოს და ხალხს აუხსნას, რომ ეკონომიკური რეფორმების საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის ფართო ფენების მდგომარეობის გაუარესება. ამან გამოიწვია სამუშაო ადგილების დაკარგვა, უმუშევრობის ზრდა, შემოსავლების კლება, სწორედ ამ უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში, როცა ქვეყანაში დაიწყო რეფორმების რეალური გატარება. დიახ, რეფორმები მიმდინარეობს და არაერთ დარგში, მაგრამ იგი ჯერჯერობით არ შეხებია მოსახლეობის ფართო ფენების მდგომარეობას, ჯერჯერობით. მანამდე კი ჩამოთვლილი და განმარტებულია ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებები: მიკროეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცება; სამუშაო ადგილების შექმნა; მრეწველობის ტრადიციული დარგების განვითარება და ხელშეწყობა; რეგიონებსა და დედაქალაქს შორის სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება; ქვეყნის შედარებითი უპირატესობების, განსაკუთრებით სატრანზიტო, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პოტენციალის რეალიზაცია; საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობა; ჯანსაღი კონკურენციის გარემოს შექმნა.

ერთ-ერთი პრიორიტეტი ითვალისწინებს **"საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებას გლობალურ ეკონომიკაში."** მაგრამ საიდუმლოება აღარაა, რომ გლობალიზაციის პროცესს დადებითთან ერთად ახასიათებს უარყოფითი შედეგებიც და განსაკუთრებით პატარა, სუსტი ქვეყნებისთვის. "საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია" საერთოდ ვერ ამჩნევს ან განზრახ გვერდს უვლის ამ მოვლენას. იქნებ აქაც ჩვენს დიდ მოკავშირეთა განაწყენებას ვერიდებით, რომელნიც გლობალიზმის მთავარი აქტორები არიან? ამას არ ერიდებიან პოლონელები, ბალტიისპირელები, ჩეხები და სხვა. მათ გადაწყვეტილი აქვთ ჩაერთონ კიდეც გლობალიზაციის პროცესში და წინააღმდეგობაც გაუწიონ მათი ეკონომიკისათვის განსაკუთრებით საზარალო გლობალურ პროცესებს, როცა ეს შესაძლებელია.

6.9. სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა

მთავარი პრიორიტეტები ნუგეშის მომცემია: სიღატაკისა და სოციალური გარიყულობის დაძლევა; უმუშევრობის მაღალი დონის შემცირება; განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება; პენსიებისა და სოციალური დაცვის სისტემის რეფორმა; ჯანდაცვის სისტემის რეფორმა.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დარგში პროგრესი სერიოზულია, საერთოდ, სოციალური უსაფრთხოების მთლიან სისტემას და პოლიტიკას ჯერ დასაკვეხი არაფერი აქვს. "კონცეფცია" ამაოდ გვიქმნის ილუზიას, თითქოს საქართველოში **"ხორციელდებოდეს სოციალური უსაფრთხოების აქტიური პოლიტიკა."** როდესაც ამგვარი პოლიტიკის სასიკეთო ნიშნებს ცხადად იგრძნობს საქართველოს მოსახლეობის გაწამებული უმრავლესობა, მაშინ ბარაქალა "კონცეფციაში" დეკლარირებულ სოციალურ-ეკონომიკურ დაპირებებსაც და ამ დაპირებების შემსრულებლებსაც. ხაზს ვუსვამთ: მხოლოდ სოციალ-ეკონომიკურ პოლიტიკას ვგულისხმობთ, რომელსაც, ჩვენი აზრით, "საფრთხეებში" ან "გამოწვევებში" რამდენიმე პრიორიტეტი უნდა დაემატოს: ქვეყნის მოსახლეობის დიდი რაოდენობის გადინება და ყოფნა უცხოეთში; ფიზიკური და ინტელექტუალური რესურსებისაგან დაცლის საშიშროება; მწვავე დემოგრაფიული მდგომარეობის გააზრება; უცხოეთის, განსაკუთრებით ქვეყნისადმი არაკეთილგანწყობილი სახელმწიფოების, სპეცსამსახურების და მათგან პოტენციურად გამოსაყენებელი კერების განეიტრალების პრობლემა.

დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი შემუშავდა. ეროვნული უსაფრთხოების კონცეეფცია სახელმწიფოსა და ხელისუფლების მსოფლმხედველობრივი სისტემა და მოქმედების გეგმაა. ახლა საჭიროა ამ დოკუმენტის სრულყოფა, რაც საზოგადოებრივი განხილვისა და საპარლამენტო აპრობაციის გზით მოხდება. "კონცეფცია" გვარწმუნებს, რომ **"ქართველი ხალხის და საქართველოს მთავრობის მიზანმიმართული ძალისხმევით და საერთაშორისო თანამეგობრობის ხელშეწყობით, საქართველო შეძლებს, შექმნას ისეთი სახელმწიფო, რომელიც სიამაყეს აღუძრავს მის მოქალაქეებს, იხელმძღვანელებს მშვიდობიანი თანაცხოვრების და დემოკრატიული ღირებულებების პრინციპებით და ღირსეულ ადგილს დაიკავებს ერთა საერთაშორისო თანამეგობრობაში."**

### უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი

საკონტაქტო ტელეფონი

იურიდიული ოფისი "გაპი" - ნერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დაწერს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მდებარე ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" ([illegible]);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "[illegible]";
5. მეტროს სადგური "[illegible] II";
6. მეტროს სადგური "[illegible]";
7. მეტროს სადგური "[illegible] II", ([illegible] მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "[illegible]";
10. [illegible] 45 "[illegible]" შენობის [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი.

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0111 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

ჯონი სკოფილდი და კრის პოტერი



B2

უეინ რუნი - მანჩესტერელი რუნალდო



B4

ბურული მხედრები ამერიკაში



B6

# კახა ცხადაძე: „პირველი ბარიერი უნდა დავძლიოთ"

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელის, კახა ცხადაძის საფეხბურთო კარიერასთან ერთად დაიწყო, განვითარდა და დასრულდა 90-იანების ეპოქა ქართულ ფეხბურთში. ეს წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქა ზუსტად ცხადაძის კარიერის მსგავსი იყო - წარმატებები და ჩავარდნები, პოპულარობის ზენიტი და ჩრდილში ყოფნა, შთამბეჭდავი გამარჯვებები და კურიოზული მარცხები... ცხადაძე იმ ფორმაციის საქართველოს ეროვნული ნაკრების უცვლელი კაპიტანი იყო, "დაკარგულ, არარეალიზებულ თაობად" რომ შერაცხეს ჩვენში. თუმცა, თუ კახას კარიერას გავიხსენებთ, პირადად მას ეს განსაზღვრება ნამდვილად არ ეხება. ცხადაძის მიერ განვლილი საფეხბურთო გზის გამეორებას მართლაც ბევრი ფეხბურთელი ინატრებდა.

პროფესიონალური კარიერა 1985 წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე ლიგაში, რუსთავის "მეტალურგში" დაიწყო. ერთ წელიწადში იგი თბილისის "დინამოს" სელექციონერებმა შენიშნეს და დუბლშემადგენლობაში აიყვანეს, თუმცა, იმის გამო, რომ პირველ გუნდში გადასვლის პერსპექტივა არ გამოჩნდა, კახამ ისევ "მეტალურგში" დაბრუნება არჩია. 1988 წლის სეზონის დასაწყისიდან ცხადაძე ისევ თბილისის "დინამოშია" და სისტემატურად თამაშობს ძირითად შემადგენლობაში.

1991 წელს იგი რუსეთში მიემგზავრება. ცხადაძის გადაწყვეტილებას კარიერის უცხოეთში გაგარძელების თაობაზე საქართველოში არაერთგვაროვანი რეაქცია მოყვა. ზოგიერთებმა იგი სამშობლოს მოღალატედაც კი გამოაცხადეს. ცხადაძემ ანგარიში გაუწია საზოგადოებრივ აზრს და ისევ თბილისში დაბრუნდა, თუმცა, მალე შვედეთში გაემგზავრა და კარიერა გააგრძელა ამ ქვეყნის უმაღლესი ლიგის კლუბ "სუნდსვალში", სადაც კიდევ ერთი ყოფილი დინამოელი სოსო ჭედია თამაშობდა. მალე ის შეამჩნია სვენ გორან ერიქსონმა, რომელიც მაშინ "ბენფიკას" ედგა სათავეში, თუმცა, პორტუგალიაში სინჯებზე ჩასულს პრობლემები შეექმნა და ტრანსფერი ჩაიშალა.

1992 წელს იგი დსთ-ს ნაკრებში მიიწვია ანატოლი ბიშოვეცმა და ცხადაძემ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე ითამაშა.

1992 წელს კახა გრძელვადიან კონტრაქტს აფორმებს რუსეთის "სახალხო გუნდთან", თუმცა, რომანცევთან მისმა ურთიერთობამ მხოლოდ 4 თვეს გასტანა და ცხადაძე ვალერი გაზაევთან, მოსკოვის "დინამოში" გადადის. დსთ-ს თასი "სპარტაკთან" ერთად და რუსეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები - ასეთი გახლდათ ამ სეზონისთვის ცხადაძის მონაგარი.

1993 წლიდან ცხადაძე იმ პერიოდის ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში - ფრანკფურტის "აინტრაჰტში" გადადის და ბუნდესლიგაში სამ არაჩვეულებრივ სეზონს ატარებს. ბუნდესლიგის ვიცე-ჩემპიონის ტიტული - ასეთი მაღალი მიღწევა იმ პერიოდში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთაგან არავის ჰქონია.

1996 წელს ფინანსურ კრიზისში მყოფი "აინტრაჰტი" იძულებულია, წამყვან ფეხბურთელებს შეელიოს, რაც პირდაპირპროპორციულად აისახა გუნდის სპორტულ მიღწევებზე - ფრანკფურტელები ბუნდესლიგას ტოვებენ, ცხადაძე კი მეორე ბუნდესლიგაში თამაშზე უარს ამბობს და რუსეთში, "ალანიაში" აგრძელებს კარიერას. მთელი ამ ხნის განმავლობაში კახას განუწყვეტლივ თან სდევს ტრავმები, რამაც მას სტაბილურად თამაშის საშუალება მოუსპო.

1997 წელს ცხადაძე ინგლისში მიემგზავრება და "მანჩესტერ სიტიში" ირიცხება, თუმცა, ტრავმების გამო აქაც თითქმის მთელი სეზონი უცდება (ერთხანს კარიერის დამთავრებაზეც კი ფიქრობda).

2000 წელს ცხადაძე ჯერ თბილისის "ლოკომოტივის" მოთამაშე მწვრთნელია, შემდეგ რუსეთში, "ანჟიში" აქტიურ საფეხბურთო კარიერას აგრძელებს, 2002 წლიდან კი საბოლოოდ უარს ამბობს მწვანე მინდორზე, თუმცა, ფეხბურთთან განშორებაზე არც ფიქრობს.

2005 წელი ცხადაძის მეორე საფეხბურთო ბიოგრაფიის, ამჯერად სამწვრთნელო კარიერის პირველი და ღირსეული ფურცელია - იგი თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი ხდება და ეს გუნდი საქართველოს ჩემპიონის ტიტულამდე მიჰყავს. შესაძლოა, ეს ბევრმა დიდ მიღწევად არც ჩათვალოს, მაგრამ, სიტუაციაში, რომელშიც კახამ გუნდი ჩაიბარა, უფრო მოსალოდნელი იყო საპრიზო სამეულს მიღმა დარჩენა, ვიდრე ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. კახამ სწრაფად შეცვალა გუნდში არსებული უარყოფითი ფსიქოლოგიური განწყობა, მიაგნო ოპტიმალურ შემადგენლობას, გუნდს საკუთარი ძალების რწმენა დაუბრუნა და ჩემპიონატის ფინიშზე შთამბეჭდავი სერიით (8 მოგება, 2 ფრე და 1 მარცხი) მიუწვდომელი გახდა კონკურენტებისთვის.

**- თქვენი საფეხბურთო კარიერა სულ სხვაგვარად წარიმართებოდა, 1992 წელს "ბენფიკასთან" კონტრაქტი რომ გაგეფორმებინათ. რა მოხდა მაშინ?**

- "ბენფიკას" მაშინდელი მწვრთნელის სვენ გორან ერიქსონის ინტერესი ჩემი თამაშის თაობაზე შვედური პრესის დადებითმა გამოხმაურებამ გამოიწვია. იმ პერიოდში "ბენფიკას" ორი ცნობილი ბრაზილიელი მცველი, ალდაირი და მოზერი ტოვებდა. ალდაირი იტალიის "რომასთან" აფორმებდა კონტრაქტს, მოზერიც უფრო პოპულარულ ლიგაში აპირებდა გადაბარგებას. "ბენფიკას" ამ ფეხბურთელების სრულფასოვანი შემცვლელები ესაჭიროებოდა. ჩემი სერიოზული საფეხბურთო კარიერის სტარტზე ვიყავი, მაღალ დონეზე თამაშის გამოცდილება ნაკლებად მქონდა და არც იყო გასაკვირი. მე ვიყავი ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელი და რამდენიმე წელიწადში თუ შევძლებდი მათ შეცვლას. ერიქსონს იმ მომენტისთვის სჭირდებოდა უმაღლესი კვალიფიკაციის მცველი. ამიტომ ტრანსფერი არ შედგა და ჩავედი მოსკოვში, სადაც "სპარტაკის" ხელმძღვანელები დამხვდნენ და კონტრაქტი გამიფორმეს.

**- გრძელვადიანი კონტრაქტის მიუხედავად, "სპარტაკში" მხოლოდ ოთხ თვეს დარჩით. რომანცევთან შეგექმნათ პრობლემები?**

- "სპარტაკში" სტაბილურად ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი, ამასთან, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის სამზადისში მყოფი დსთ-ს ნაკრების ყველა ამხანაგურ მატჩში მივიღე მონაწილეობა. შემდეგ ევროპის ჩემპიონატზეც ვითამაშე. ასეთი დიდი ტურნირიდან დაბრუნების შემდეგ, ალბათ, ფსიქოლოგიურადაც ვერ განვეწყვე სათანადოდ. ჩემს თავსაც ვადანაშაულებ იმაში, რომ რომანცევთან ურთიერთობა დამეძაბა. თუმცა, ყველამ კარგად იცის, რომ ის ძალზე მძიმე პიროვნებაა და ამის გამო ბევრი პრობლემა შეჰქმნია როგორც კლუბში, ისე რუსეთის ნაკრებში მუშაობის დროსაც. რომანცევი ვერ ეგუებოდა ისეთ ფეხბურთელებს, რომლებსაც საკუთარი აზრის გამოთქმა შეეძლოთ. იგი ფეხბურთელებისგან მონურ მორჩილებას მოითხოვდა. ამ დაძაბულობით ისარგებლა ვალერი გაზაევმა და მოსკოვის "დინამოში" გადასვლა შემომთავაზა, თან ძალზე სარფიანი კონტრაქტიც დამიდო წინ. ბევრი არ მიფიქრია და "დინამოში" გადავედი.

**- თუმცა, "დინამოშიც" ცოტა ხანს დარჩით და 1993 წლის დასაწყისიდან ფრანკფურტის "აინტრაჰტში" გადახვედით. ასე მცირე დროში რით მოხიბლეთ გერმანელები?**

- 1992 წლის შემოდგომაზე მოსკოვის "დინამოსთან" ერთად უეფას თასის სამი ეტაპი გავიარე. იტალიის "ტორინო" გამოვთიშეთ გათამაშებას, შემდეგ ნორვეგიის "როსენბორგიც" გავიარეთ და შემდეგ ორი მატჩი "ბენფიკასთან". ამ თამაშებში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დავტოვე. "აინტრაჰტის" წარმომადგენლები მოსკოვში ჩამოვიდნენ და კლუბთან გარიგების შემდეგ ყველა პარამეტრით მისაღები კონტრაქტი შემომთავაზეს. იმ პერიოდისთვის ფრანკფურტული კლუბი ბრწყინვალე ფორმაში იყო - ჩემპიონატში პირველი ადგილისთვის იბრძოდა და თასის ნახევარფინალში იყო გასული. ჩემთვისაც დიდი პატივი იყო ასეთ გუნდში გადასვლა და კონტრაქტი გავაფორმე.

**- სამი წარმატებული სეზონის შემდეგ ისეთი დიდი ტრადიციების მქონე გუნდი, როგორიც "აინტრაჰტია", ბუნდესლიგიდან მეორე ბუნდესლიგაში ჩაქვეითდა. რამ გამოიწვია კრიზისი?**

- "აინტრაჰტში" მართლაც ფანტასტიკური წლები გავატარე. ეს სამი სეზონი ჩემი საკლუბო კარიერის ყველაზე ნათელი მოგონებებია. სამწუხაროდ, 1994-95 წლების სეზონის შუაში მუხლის ტრავმა მივიღე და მეორე წრე პრაქტიკულად გამოვტოვე. ამ პერიოდში გუნდი დატოვეს წამყვანმა ფეხბურთელებმა - უვე ბაინმა, მაურიციო გაუდინომ, მანებილცმა, იებოამ, ოკოჩამ... სათანადო შემცვლელები ვერ მოინახა და გუნდი ბუნდესლიგას დაემშვიდობა. მეორე ბუნდესლიგაში არ გავჩერდი და რუსეთს მივაშურე. ჩავირიცხე "ალანიაში", მაგრამ ქრონიკული ტრავმების გამო თითქმის მთელი სეზონი გამიცდა. როცა მოვმჯობინდი, "მანჩესტერ სიტისთან" გავაფორმე კონტრაქტი, რამდენიმე თამაში მაღალ დონეზე ჩავატარე, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამი უმძიმესი ტრავმა მივიღე და გადავწყვიტე, თამაშისთვის თავი დამენებებინა. სხეულის არც ერთი ნაწილი, არც ერთი სახსარი საღი აღარ მქონდა.

**- თქვენი სამწვრთნელო კარიერა თბილისის "ლოკომოტივში" დაიწყო.**

- ხსენებული ტრავმების შემდეგ ერთწლიანი სარეაბილიტაციო პერიოდი დამჭირდა. რომ მოვმჯობინდი, გივი ნოდიამ მიმიწვია თბილისის "ლოკომოტივში" და მეც მწვანე მინდორს დავუბრუნდი. ძალიან მალე ბატონი გივი თბილისის "დინამოში" მიიწვიეს და "ლოკომოტივის" მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტი შემომთავაზა. ვთვლი, რომ მწვრთნელად ჩამოყალიბების თვალსაზრისით ის პერიოდი ჩემთვის ძალზე ნაყოფიერი გამოდგა.

**- თქვენ უეფას B კატეგორიის ლიცენზირებული მწვრთნელი ხართ. რა უფრო მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ - ამ ლიცენზიის მიღებისას შეძენილი ცოდნა თუ ის ცოდნა, რომელიც ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის მანძილზე არაერთ მაღალი კლასის მწვრთნელთან ურთიერთობისას მიიღეთ?**

- ჩემი ყველაზე დიდი მასწავლებლები იყვნენ ის მწვრთნელები, რომელთა ხელმძღვანელობითაც წლების განმავლობაში მიწევდა თამაში. ამ მწვრთნელების მარტო ჩამოთვლაც კი საკმარისი იქნება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ყველა ძირითად სამწვრთნელო სკოლასთან მომიხდა ურთიერთობა. რუსული - ბიშოვეცი, გაზაევი, რომანცევი; გერმანული - იუპ ჰაინკენსი, რომელმაც "რეალთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო, კლაუს ტოპმიოლერი; ყველასგან გამორჩეული იუგოსლავიური სკოლა - ვლადოსლავ სტაპანოვიჩი; ბრიტანული - ჯო როილი... არ მინდა ვინმე გამომრჩეს. საქართველოში ძალიან დიდი ცოდნა შევიძინე დავით ყიფიანთან ურთიერთობით, რომელიც უდიდესი ინტელექტუალი იყო და ფეხბურთი ბრწყინვალედ ესმოდა. ამ მწვრთნელებთან ურთიერთობამ ჩაუყარა საფუძველი ჩემს სამწვრთნელო ცოდნას. ყველაზე მთავარი ის არის, რომ თავად ვითამაშე დიდი ფეხბურთი და შიდა სამზარეულო კარგად ვიცი (დატვირთვების დოზირება, სპორტული ფორმის პიკამდე მიყვანა შესაბამისი პერიოდისთვის და ასე შემდეგ). თუმცა, ვფიქრობ, რომ სპეციალური სემინარების გავლა და ლიცენზიის აღება აუცილებელია. ანატომია, ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია, ტაქტიკური, სტრატეგიული სიახლეები... სწავლა ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია. თან, B ლიცენზია მხოლოდ საწყისი ეტაპია და, რა თქმა უნდა, ჩემი სამწვრთნელო ცოდნის გაღრმავებას, კვალიფიკაციის ამაღლებას აუცილებლად ვგეგმავ. ამას ახლავე გავაკეთებდი - წავიდოდი გერმანიაში ან იტალიაში შესაბამისი ცოდნის მისაღებად და A ლიცენზიის მოსაპოვებლად, მაგრამ უფრო საშური საქმე მაქვს. "დინამო" პრაქტიკულად ახალი ფეხბურთელებით დავაკომპლექტეთ და გუნდის შენების პროცესის დაწყება ნულიდან გვიწევს. სეზონი 12 ივლისს გვეწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდის მოსამზადებლად, შესათამაშებლად და შემადგენლობის დასაბალანსებლად ძალიან ცოტა დრო გვაქვს. ბევრი სამუშაო გვაქვს, ასე რომ, ამ ეტაპზე გუნდის დატოვება არარეალურია. ამის დრო მხოლოდ ზამთარში, პირველი ეტაპის შემდეგ დაწესებულ არდადეგებზე მექნება. მაშინ გადავწყვეტ, რომელ ქვეყანაში გავემგზავრო. თუმცა, როგორც ვიცი, მიმდინარეობს მუშაობა და არ არის გამორიცხული, იმ პერიოდისთვის საქართველოშიც გახდეს შესაძლებელი A ლიცენზიის მისაღები კურსების გავლა და გამოცდის ჩაბარება.

**- ფეხბურთი მუდმივად პროგრესს განიცდის და წლიდან წლამდე ვითარდება. 60-იანი წლების ფეხბურთი განსხვავებულია 70-იანების ფეხბურთისგან და ასე შემდეგ. თქვენ 90-იანების წარმომადგენელი ხართ. როგორ ფიქრობთ, თქვენს ეპოქასთან შედარებით, დღეს რამდენად სახეცვლილია ფეხბურთი?**

- რომ ვთქვა, 90-იანებთან შედარებით ფეხბურთმა განსაკუთრებული ტრანსფორმაცია განიცადა და საგრძნობლად შეიცვალა-მეთქი, არ ვიქნები მართალი. მცირე ცვლილება ნამდვილად არის და ეს ძირითადად თამაშის ტემპის მომატებაში, სისწრაფის გაზრდაში გამოიხატა.

**- სწორედ ეს კომპონენტები - ტემპი, სისწრაფე, ფიზიკური გამძლეობა ქართული ფეხბურთის და, შესაბამისად, თბილისის "დინამოს" "აქილევსის ქუსლია". რა ზომებს უნდა მიმართოთ ამ კომპონენტების დასახვეწად?**

- ჩემი შეხედულება მაქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ჩამორჩა ქართული ფეხბურთი. ეს იმიტომ მოხდა, რომ უბურთოდ თამაში და მოედანზე უბურთოდ გადაადგილება არ ვიცით. იმის გამო, რომ ფეხბურთელებმა სწორად არ იციან პოზიციის შერჩევა, უწევთ ამ ხარვეზის აღმოფხვრა ზედმეტი მოძრაობების ხარჯზე, რაც გაცილებით მეტ ფიზიკურ ენერგიას მოითხოვს. მერე კი რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ფიზიკურად სხვებზე ცუდად ვართ მომზადებული.

**- "დინამოში" რომ დაბრუნდით, გუნდი აშკარა კრიზისში იყო და მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტა მოგიხდათ. რომელ პრობლემას გამოარჩევდით?**

- პრობლემები ერთმანეთზე იყო გადაბმული. გუნდში რომ მივედი, ბოლო 8 მატჩიდან "დინამოს" ხუთი წაგებული ჰქონდა. ამის გამო ფეხბურთელებს არარ გააჩნდათ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, შეიქმნა უარყოფითი ფსიქოლოგიური ფონი, არ არსებობდა სტაბილური ძირითადი შემადგენლობა. ეს კი არასწორი სატრანსფერო პოლიტიკის შედეგი იყო - "დინამოდან" გაიყიდა ის ფეხბურთელები, რომელთა გასხვისებაც სეზონის დასაწყისში არ იგეგმებოდა. ამასთან, გამოჩნდა, რომ ფეხბურთელები ფიზიკურად არ იყვნენ მზად. ყველა ეს პრობლემა ერთმანეთს გადაეჯაჭვა და შეიქმნა კრიზისული ვითარება. თუმცა, შევძელით ამ კრიზისისთვის თავის დაღწევა, თამაში გამოვასწორეთ და ჩემპიონები გავხდით. ვთვლი, რომ ეს იყო ყველა იმ ადამიანის დამსახურება, ვინც ამ პერიოდში "დინამოში" მოღვაწეობდა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს თანაშემწეებს - ზაურ სვანაძეს და გელა ჭანტურიას. ფიზიკური კონდიციების ამაღლებაში ძალიან დაგვეხმარა რიკარდო, ფიზმომზადების ბრაზილიელი მწვრთნელი, რომელთან ერთადაც დავგეგმეთ ვარჯიშების კომპლექსი. პირველი ორი კვირა ძალიან მძიმე იყო ფიზიკური დატვირთვების თვალსაზრისით, მაგრამ ფეხბურთელები გაგებით მოეკიდნენ ამას და გადალახეს ყველა სირთულე.

**- "დინამომ" შარშან უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა და სრული ფიასკო განიცადა. 4 მატჩში 0 ქულა და 13 გაშვებული გოლი. ასეთი სუსტები ვართ, როგორც გამოჩნდა?**

- რა თქმა უნდა, "ნიუკასლი", "სპორტინგი" და "სოშო" ევროპული საზომებით ძლიერი გუნდებია, მაგრამ არა იმდენად, რომ "დინამო" მათ გვერდით ასეთი უსუსური გამოჩენილიყო. პოლონეთის "ვისლა", რომლის ბარიერიც "დინამომ" წარმატებით დაძლია ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე, მიმაჩნია, რომ დიდად არ ჩამოუვარდებოდა ზემოთ ჩამოთვლილ გუნდებს. ვფიქრობ, "დინამოს" კრიზისი შემოდგომაზე დაიწყო. ეს კიდევ უფრო მარწმუნებს, რომ გუნდი სწორად ვერ მოემზადა სეზონის წინ.

**- 24 ივნისს გაიმართება კენჭისყრა და გამოვლინდება "დინამოს" მეტოქე ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე. რა რესურსებით მივა "დინამო" ამ თამაშებამდე?**

- ბევრი ახალი ფეხბურთელი მოვიყვანეთ. სამწუხაროდ, ცოტა დრო გვაქვს იმისთვის, რომ ახალი გუნდის ჩამოყალიბება, ფეხბურთელების შეთამაშება მოვასწროთ. ამას დრო სჭირდება.

**- ვის ისურვებდით ლიგის პირველ ეტაპზე მეტოქედ?**

- ამაზე მარჩიელობა არ მსურს. რა თქმა უნდა, ამ პირველ ეტაპზეც არიან განსაკუთრებით სუსტი გუნდები. არიან შედარებით უფრო ანგარიშგასაწევი გუნდები, მაგრამ რეიტინგითაც, ძალითაც "დინამოს" ჩამორჩებიან, რასაც თუნდაც უეფას განთესვა ადასტურებს. ვინც არ უნდა შეგვხვდეს პირველ ეტაპზე, ეს ბარიერი აუცილებლად უნდა დავძლიოთ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

კახა ცხადაძე სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.



### თეატრები

**თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
პრემიერა
გაეტანო დონიცეტი
“დონ პასკუალე”
(ოპერა სამ მოქმედებად)
დირიჟორი: გოგი ჭიჭინაძე
რეჟისორი: მაია გაჩეჩილაძე
მხატვარი: გიორგი ნადირაძე
ქორეოგრაფი: ირაკლი შენგელია
დას: 19:00 სთ.
ფასი: 5-30 ლარი.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
“მეფე ლირის თავშესაფარი”
რეჟისორი: ოთარ ბაღათურია
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
გოეთე
“ფაუსტი-1”
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.
ფასი: 5 ლარი.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პრემიერა
ფრიდრიხ შილერი
“მარიამ სტიუარტი”
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
სეზონის დახურვა
ფერმო
“ზინა ყიფშიძის ქუჩაზე”
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ.

### კინოთეატრები

**“რუსთაველი”**
“მადაგასკარი”
დას: 12:30, 13:30, 15:15, 17:00
“მისტერ და მისის სმიტები”
დას: 19:00, 21:30

**“ამირანი”**
“ბეტმენი”
დას: 12:00, 15:00, 17:30
“მისტერ და მისის სმიტები”
დას: 20:00, 22:15

### გამოფენები

**TMS**
ალექს ბერდიშევის გამოფენა (ფერწერა)

**“ვერნისაჟი”**
70-იანი წლების ქართველ ავანგარდისტთა ჯგუფური გამოფენა “რეპრესირებული ხელოვნება 17 წლის შემდეგ. კოლაჟი, ობიექტი”

**“ბაია”**
ვალიდა ქუთათელაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**“შარდენი”**
გოგა კუპრაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა

**თბილისის ისტორიის მუზეუმი “ქარვასლა”**
“სპეციალურად მარტივი”

**“ჰობი”**
“თავისუფალი თემა”
კონკურსში გამარჯვებული ბავშვების ნამუშევრების გამოფენა

**მეგრული სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი ხობში**
ფესტივალის “სიმღერა სამეგრელოზე” პრეზენტაცია ხობის კულტურის სასახლეში, მეგრული სიმღერის მუზეუმის დაარსება
დას: 10:00 სთ.

**კლასიკური მუსიკის შემსრულებელთა კონცერტი ხობის კულტურის სასახლეში**
დას: 17:00 სთ.

**ახალგაზრდული შოუ ხობის ცენტრში**
დას: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

### თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ “საჩუქრის” პროგრამა

**18 ივნისი**

კინოთეატრი “რუსთაველი”
“მეფე უბუ”, ფილმი
პოლონეთი

# რუსთაველი რუსთაველზე „რუსთაველში“

## წაიკითხეთ "ვეფხისტყაოსანი" ზეპირად, შეცდომით, უშეცდომოდ

ია ვეკუა

კინოთეატრ “რუსთაველის” აფიშა ამერიკული მასკულტურის ჩინებული მაგალითების - ანიმაციური “მადაგასკარისა” და ჯაშუშურ-ეროტიკული “მისტერ და მისის სმიტების” ჩვენებას იუწყება. თუმცა, გუშინ ეს თანამედროვე დიზაინით დამშვენებული სივრცე “გაგიჟდა” და სრულიად ქართულ მოვლენას - რუსთაველობას დაეთმო.

ესპანელებისთვის ყველაზე ძვირფასი ლიტერატურული ქმნილება “დონ კიხოტია”. ყოველ წელს, 23 აპრილს (ამ დღეს, 400 წლის წინ, დაიბეჭდა ნაწარმოების პირველი ეგზემპლარი), მადრიდში სერვანტესის ქმნილების საჯარო კითხვა იმართება. წლების განმავლობაში ამ ღონისძიებამ საერთო ეროვნული დღესასწაულის ფორმა შეიძინა და ესპანეთის ფარგლებსაც გასცდა.

ჩვენ, ქართველებს, უკვე 800 წელია, “ვეფხისტყაოსანი” გვაქვს, თუმცა მისი ავტორის სახელობის დღე მხოლოდ შარშან დააარსეს. 2004 წლის თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე პირველად გაიმართა “ვეფხისტყაოსნის” საჯარო კითხვა, რომელშიც, ძირითადად, ფესტივალის სტუმრები მონაწილეობდნენ. რუსთაველის დღის დამაარსებლად გამომცემლობა “ლიტერა” და მწერალი დათო ტურაშვილი მიიჩნევიან. შესაბამისად, “ვეფხისტყაოსნის” კითხვასაც ისინი ხელმძღვანელობენ.


ბავშვები და რუსთაველი.
გოგიტა ბახიაძის ფოტო

წლევანდელი 17 ივნისი კვლავ აღინიშნა, თუმცა ამჯერად ყველანაირი ფესტივალების გარეშე და მხოლოდ რუსთაველის სახელით. საჯარო კითხვის დირიჟორი კვლავ დათო ტურაშვილი იყო. მას საოცარი ნიჭი აქვს - შეუძლია ერთდროულად დაბნეულიც იყოს და მობილიზებულიც. ამ თვისებების შეზავებით იგი იმდენს ახერხებდა, რომ რუსთაველის პოემის კითხვის ჯაჭვი არ გაწყვეტილიყო.

მკითხველთა რაოდენობა, ასაკი, სქესი და რელიგიური აღმსარებლობა შეზღუდული არ იყო. ძირითადად, იმ ასაკის მოსწავლეები აქტიურობდნენ, რომლებსაც რუსთაველის სწავლა სასკოლო პროგრამითაც ევალებათ. აქვე იყვნენ სკოლის ასაკს მრავალი ათეული წლის წინ გაცდენილები და ისეთებიც, კითხვა მხოლოდ წელს რომ ისწავლეს.

კითხულობდნენ მხატვრულად, ბორძიკით, სიმღერით, კუთხურად, შეცდომებით, უშეცდომოდ და ზეპირად.

მკითხველთა ტრიბუნის გვერდით “ვეფხისტყაოსნის” უნიკალურ გამოცემათა ერთ-ერთი კოლექცია იყო გამოფენილი. მისი მფლობელი ლევან თაქთაქიშვილია. რამდენიმე რარიტეტული გამოცემის გარდა მის კოლექციაში შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სუვენირებიცაა - გულსაკიდები, კალმები, სიგარეტები და ფაბრიკა “გამარჯვების” მიერ გამოშვებული ასანთის კოლოფები. აქვეა 80 კაპიკად შეფასებული სუნამოები “ავთანდილი” და “თინათინი”.

“ვეფხისტყაოსანს” საქართველოში რამდენიმე კოლექციონერი აგროვებს. ყველაზე ძვირფასია 1712 წელს ვახტანგ VI-ის მიერ დასტამბული წიგნები. ოთხი ეგზემპლარი ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება, ორი - კერძო კოლექციაში, რამდენიმე კი მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგშია.

ლევან თაქთაქიშვილმა “ვეფხისტყაოსნის” შეგროვება 1991 წლიდან დაიწყო - სრულიად შემთხვევით, ზოგადად კოლექციონერობით გატაცების გამო. მის გარდა, “ვეფხისტყაოსნის” საკმაოდ სერიოზული კოლექცია აქვთ ნოდარ ქებაძეს, მამუკა ჩხეიძეს, თემურ ბუჩუკურს, მამია ხარაზს, დამიანე ალანიასა და გურამ ახალაიას. ასეთივე კარგი კოლექცია ინახება ზურაბ ჟვანიას ოჯახში, რომელიც მისი მეუღლის, ნინო ქადაგიძის ბაბუას შეგროვებულია. “ვეფხისტყაოსნის” უნიკალური გამოცემები ჰქონდა ასლან აბაშიძესაც, რომლის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი.

# ჯონი სკოფილდი და კრის პოტერი

## მოწვეული საქსოფონისტი ამერიკელი გიტარისტის კვარტეტში

*5 ივლისი "კოკა კოლა ჯაზ-ფესტივალის" განსაკუთრებული დღეა, რომელიც "საქართველოს რკინიგზამ" დააფინანსა. იმის გარდა, რომ ფილარმონიის სცენაზე ქართული "შინი" და ამერიკელი მესაყვირე რენდი ბრეკერი ერთობლივ პროექტს გაგვაცნობენ, ამ დღეს თბილისელი მსმენელი კიდევ ერთ სტუმარს, ამერიკელ გიტარისტს ჯონი სკოფილდსა და მის კვარტეტს მოუსმენს. კვარტეტის მოწვეული სტუმარი კი იქნება საქსოფონისტი კრის პოტერი.*

### ჯონი სკოფილდი (გიტარა)

ჯონი სკოფილდმა გიტარაზე დაკვრა 11 წლის ასაკში დაიწყო. ჯაზის სამუდამო სიყვარული კი უეს მონტგომერთან, ჯიმი ჰოლთან და პეტ მარტინოსთან ნაცნობობამ განაპირობა. გიტარისტი მალე აღმოჩნდა მუსიკის კორიფეების გვერდით - ბერკლის მუსიკალური კოლეჯის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჰერბი ჰენკოკთან, ჩიკ კორიასთან, ჯო ჰენდერსონთან, ბილი კობემთან, ჯორჯ დიუკთან, ჩარლზ მინგუსთან, ჯერი მალიგანთან... 70-იანი წლებიდან სკოფილდს ცნობდნენ როგორც გავლენიან, სიახლის მაძიებელ შემსრულებელსა და კომპოზიტორს. ამავე პერიოდიდან იგი წერდა მუსიკას, მაგრამ პარალელურად თანამშრომლობდა თანამედროვეობის ისეთ ცნობილ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან: პეტ მეთენი, მედესქი, ბილი ფრისელი, ჯო ლოვანო. 1982 წლიდან კი (1985 წლამდე) მოგზაურობდა მაილს დევისთან ერთად. სკოფილდის გიტარა დევისის სამ ალბომში ჟღერს.

"ვერვ რექორდსთან" თანამშრომლობისას სკოფილდმა 1996 წელს გამოუშვა კომპაქტი "ქუაით"; 1997-ში - ალბომი "გოუ გოუ"; 1999-ში - "ბამფ" და 2000-ში - "უორქს ფორ მე". ალბომებში - Blue Matter და Loud Jazz სკოფილდი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ფანკის მიმართ; აღსანიშნავია, რომ Loud Jazz-ში ჩაწერისას გიტარისტთან თანამშრომლობდა შესანიშნავი დრამერი დენის ჩემბერსი, ასევე დონ ალიასი (პერკუსიონისტი, რომელიც წელს დევიდ სენბორნს ჩამოჰყვება თბილისში). მოგვიანებით ალბომში "უბერჯემ" სკოფილდი კარგად წარმოაჩენს სხვადასხვა მუსიკალური სტილის სიმბიოზს. ამ ალბომში დამატყვევებელია სკოფილდის გიტარა. "ხშირად მეკითხებიან მაილს დევისთან მუშაობის გამოცდილების შესახებ. ვფიქრობ, ყველა იმ ალბომიდან, რომელიც ოდესმე ჩამიწერია, "უბერჯემი" სწორედ ის არის, რომელიც მაილსს ძალიან მოეწონებოდა. მასში მაილსის სული იგრძნობა", - ამბობს სკოფილდი ამ ჩანაწერის შესახებ.

### ბილ სტიუარტი (დასარტყამი ინსტრუმენტი)

ჯონი სკოფილდის კვარტეტის განსაკუთრებული წევრია პერკუსიონისტი ბილი სტიუარტი, რომელმაც სწორედ ამ ამერიკელი გიტარისტის ჯგუფით გაითქვა სახელი. დასარტყამ ინსტრუმენტებზე თვითნასწავლი მუსიკოსი შესანიშნავი პიანისტიც არის. ფორტეპიანო ის ინსტრუმენტია, რომელზეც სტიუარტი თხზავს მუსიკალურ ნაწარმოებებს. ბილი სტიუარტი ძველი ჯაზისა და რიტმ-ენდ-ბლუზის ტრადიციებზეა აღზრდილი.


საქსოფონისტი კრის პოტერი.

ნიუ ჯერსიში უეინის კოლეჯის პერიოდში იგი სწავლობდა დეივ სემიუელთან, რუფუს რეიდთან და ჰაროლდ მებერნთან ერთად. სწორედ აქ შეხვდა საქსოფონისტ ჯო ლოვანოს, რომელთანაც მოგვიანებით თანამშრომლობდა. 1998 წელს ბრუკლინში დაბრუნებულმა სტიუარტმა პირველი კონცერტი გამართა ლარი გოლდინგსის ტრიოსთან ერთად. ერთ-ერთ ჯემ-სეიშენზე, მანჰეტენის ღამის კლუბში, მუსიკოსი მასეო პარკერმა მოისმინა და სტუდიაში სამუშაოდ მიიწვია. ამის შემდეგ სტიუარტი ჯონი სკოფილდის ჯგუფში აღმოჩნდა. პირველი ალბომი Think before you think გამოვიდა იაპონური ლეიბლით.

### კრის პოტერი (საქსოფონი)

"კოკა კოლა ჯაზ-ფესტივალზე" ჯონი სკოფილდის კვარტეტის მოწვეული საქსოფონისტია კრის პოტერი. პოსტ-ბოპ საქსოფონისტი პოტერი 90-იანი წლების მუსიკოსთაგან ერთ-ერთია, რომელიც დახვეწილი სტილით გამოირჩევა. არაერთი ცნობილი ჯგუფის წევრი, ფრიად დაფასებულია როგორც ლიდერი, ასევე დამხმარე მუსიკალური ძალა სცენაზე.

პოტერი ფლობს ალტ, ტენორ და სოპრანო საქსოფონებს, ფორტეპიანოს, ფლეიტასა და ბას-კლარნეტს. 13 წლის ასაკში იგი უკვე პროფესიულ სცენაზე იდგა. 18 წლის შეუერთდა ბოპ-მესაყვირის რედ როდნის კვინტეტს. პარალელურად მუშაობდა ჯონი ჰარდთან, ვისთან ერთადაც 1992 წელს პირველი ალბომი Presenting Chris Potter ჩაწერა, როგორც დამოუკიდებელმა მუსიკოსმა.

მუსიკოსს მსოფლიო აღიარება მოუტანა ალბომმა "ქონსენთრიქ სირქლზ". 1996 წლის ალბომმა "მუვინგ ინ" პოტერს სოლისტის სახელი დაუმკვიდრა.

მენიერის დაავადებამ კრის პოტერს სმენა დაუქვეითა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მუსიკოსი არ გაჩერებულა. 1998 წელს, როდესაც ჩაწერა ალბომი "უერთიგო", პოტერი შეუერთდა დეივ ჰოლანდის ცნობილ კვინტეტს და დაიწყო დაკვრა დეივ დუგლასთან, მესაყვირესთან, რომლის კარიერაც იმ პერიოდში სწრაფად კრეფდა სიჩქარეს. მომდევნო წლებში კრის პოტერი ძირითადად ხსენებულ მუსიკოსებთან ერთად მოგზაურობდა. წარდგენილი იყო "გრემიზე"; 2000 წელს მუსიკოსმა მოიპოვა დანიის პრესტიჟული პრიზი "ჯეზფარ ფრაიზ". მისმა ინსტრუმენტმა ასევე გაიჟღერა სტილი დენის ალბომში, რომელიც "გრემით" დაჯილდოვდა. ამჟამად კრის პოტერის ტრიოს წევრები არიან: ქოლი, ქევინ ჰეიესი (კლავიშები) და ბილი სტიუარტი (დასარტყამი ინსტრუმენტები).

# რელიგიური საკითხავი

ის რომ, მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I რამდენჯერმე იყო სტუმრად საქართველოში, კარგად მოგვეხსენება, მაგრამ ცოტას თუ ახსოვს, რაზე საუბრობდა იგი ქართველ საზოგადოებასთან. ამ უკანასკნელის მეხსიერების აღდგენის მიზნით გამოიცა მის მიერ წარმოთქმული სიტყვების ქართული თარგმანის კრებული მარტივი სახელწოდებით “მსოფლიო პატრიარქი საქართველოში”. წიგნის პრეზენტაცია რელიგიური საკითხების შემსწავლელ ცენტრში შედგა.

კრებული მისი უწმინდესობის, მსოფლიოს პატრიარქ ბართოლომეოს I საქართველოში ბოლო ჩამობრძანებისას ნათქვამი სიტყვით იწყება. 2003 წლის 19 სექტემბერს იგი მეოთხედ ეწვია ჩვენს ქვეყანას (პირველად 1978 წელს ჩამოვიდა ილია II პატრიარქად კურთხევაზე დასასწრებად). “პრობლემები ბევრია, მაგრამ ღმრთისადმი სიყვარული განამტკიცებს რწმენას, და მადლი ღმრთისა მოგცემთ ძალას და გადაგალახვინებთ ყოველგვარ დაბრკოლებას”, - წარმოთქვა პატრიარქმა სიტყვის ბოლოს.

დაახლოებით ამავე პათოსითაა წარმოთქმული დანარჩენი სიტყვებიც საპატრიარქო რეზიდენციაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როდესაც ივანე ჯავახიშვილის მედლით დააჯილდოვეს. მსოფლიო პატრიარქი სიტყვით გამოვიდა სიონისა და გელათის საკათედრო ტაძარში, ხონის ეპარქიაში და ბათუმის ტაძრებში. ქუთაისში სტუმრობისას მის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე პატრიარქმა შემდეგი სიტყვები (სადღეგრძელო) თქვა: “მივესალმები იმ მოქალაქეებს, რომელთაც იტვირთეს პასუხისმგებლობა და საზოგადოების კეთილდღეობისთვის იღწვიან, ვინც თანამოქალაქეებს ცხოვრებას უადვილებენ. ვსვამ მათ სადღეგრძელოს და ვუსურვებ ჯანმრთელობას პირადად მათ, თქვენ ყველას, აქ მყოფთ, და თქვენთან ერთად მთელ ქართველ ხალხს”.

მსოფლიო პატრიარქის სიტყვები რელიგისტმა, საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორიის მცოდნემ თამარ მესხმა თარგმნა. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი 1990 წელს მსოფლიო საპატრიარქოს მიერ საქართველოს ავტოკეფალიის აღიარებაში. მანვე თარგმნა პრეზენტაციაზე წარმოდგენილი მეორე წიგნიც - ბერძენი მწერლის მარინა


ნოდარ ლადარია და ვასილ კობახიძე
გოგიტა ბახიაძის ფოტო

კორომილას “ოთხი მოთხრობა დაკარგული სავსე მთვარისათვის”.

მთარგმნელის მიერ გაკეთებული ბოლოთქმა გვაუწყებს, რომ “წინამდებარე მოთხრობები სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ხალხთა ერთ გარკვეულ არეალში მშვიდობიან თანაარსებობას ეძღვნება. წიგნის ავტორი ეროვნებით ბერძენია, დამარცხებული ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი შთამომავალი, მაგრამ მოთხრობებში, რომლებიც, სწორედ, ბიზანტიელთა პირველ მარცხს ეხება, აშკარად ჩანს მუსლიმანური სამყაროსადმი პატივისცემა და სიყვარული”.

კრებულში, მართლაც, ოთხი მოთხრობაა: “კირჩხიბის ზოდიაქოში”, “მცხრალი მთვარისას”, “ყვითელი ქალაქები” და Rosa Damascena. ყველა ნაწარმოები რელიგიურ-ისტორიული ჟანრისაა. მათ ავტორი ზღაპრებს უწოდებს და ამბობს, რომ 1989 წელს, მარიამობის დღესასწაულის წინ დაიწერა. ჟანრიდან გამომდინარე, მარიანა კორომილა წიგნს განმარტებებსაც ურთავს და დაწვრილებით ხსნის ისტორიულ პერსონაჟთა ვინაობას თუ სახვა სახის ტერმინების მნიშვნელობას.

# როზეტას ახალი ქვა

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ-ში

მოლაპარაკე ქვებიდან, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო ცნობილი როზეტას ქვაა, რომელიც ამჟამად ლონდონის ბრიტანულ მუზეუმში ინახება. სანამ ტემზას ნაპირებზე მოხვდებოდა, როზეტას ქვა ორი ათასწლეული ეგვიპტის ქვიშაში ესვენა, სადაც იგი ნაპოლეონის არმიის ოფიცერმა, ბუშარმა შემთხვევით აღმოაჩინა. ეს მოხდა 1799 წელს. 1801 წელს ინგლისელებმა გამოდევნეს ფრანგები ეგვიპტედან და ჯადოსნური ქვა, როგორც გამარჯვებულებს, მათ ერგოთ.

ქვამ სახელი ქალაქ როზეტადან (რაშიდი) მიიღო, რომელიც 56 კილომეტრით იყო დაშორებული ალექსანდრიიდან. შავი ბაზალტის ეს უსწორმასწორო ნატეხი სიმაღლით 114 სანტიმეტრი და სიგანით 72 სანტიმეტრია. ქვა დაფარულია იეროგლიფებით. მეცნიერები თვლიან, რომ წარწერები მემფისის ქურუმების მიერ გაკეთებულია პტოლემეი V-ს (205-180 წლები ქრისტეს დაბადებამდე) ტახტზე ასვლის მეცხრე წლისთავის აღსანიშნავად.

როზეტას ქვა დიდი ხნის განმავლობაში დუმდა. მისი ალაპარაკება შეძლეს ორმა მეცნიერმა - ინგლისელმა ტომას იანგმა და ფრანგმა ჟან-ფრანსუა შამპილიონმა. მემფისის ქურუმების იეროგლიფები შედგენილია ორ ენაზე - ეგვიპტურ და ბერძნულ, და დამწერლობის სამი სისტემით - ეგვიპტური იეროგლიფებით, ბერძნული ანბანით და ეგვიპტური დემოტური კურსივით. მეცნიერებმა ძველეგვიპტურის გაშიფვრის გასაღები ბერძნულ ენაში იპოვეს.

და აი, მას შემდეგ, რაც როზეტას ქვამ ბრიტანეთის მუზეუმში 200 წელი დაჰყო, სან ფრანცისკოში მეცნიერთა ჯგუფმა, "როზეტას ახალი ქვის" შესაქმნელად, "ლონგ ნაუს ფონდი" დააარსა. აი, რას წერს ამ პროექტის შესახებ "უოლ სტრიტ ჯორნალი". როზეტას ახალი ქვა იქნება ძველი აღთქმის პირველი სამი თავის თარგმანთა კრებული მსოფლიოს ათას ენაზე - აფხაზურიდან ზულუმდე (ინგლისურად from Abkhaz to Zulu, ანუ A-დან Z-მდე).

რა მიზანს ემსახურება ეს საქმიანობა? იგი მხოლოდ ალტრუისტულია და ამ ალტრუიზმის ობიექტები უნდა გახდნენ ჩვენი შორეული შთამომავლები, რომლებიც ჩვენს მერე ათასი წლის შემდეგ იცხოვრებენ. "თუ მემფისის ქურუმები ორი ენით შემოიფარგლნენ, ჩვენ რატომ არ უნდა ვცადოთ ეს ათასი ენით? - ამბობს "მსოფლიო კატალოგის" დამფუძნებელი და "როზეტას" პროექტის კოორდინატორი, სტიუარდ ბრენდი. - ცივილიზაციები მოდიან და მიდიან. ამიტომ ყოველთვის კარგია, გქონდეს შესაძლებლობა ახალი სტარტისთვის".

პროექტი მალე უნდა დასრულდეს. ტექსტი, რომელიც დაახლოებით 30 ათასი გვერდისგან შედგება, იონური სხივებით დატანილი იქნება ნიკელის სამდუიმიან დისკებზე ზემიკროსკოპული შრიფტით. დისკები მოთავსდება შუშის ბურთებში. როზეტას ახალი ქვის ტექნოლოგიის მომწოდებელი კომპანიაა "ნორსემ ტექნოლოჯის" ჰილბოროდან, ორეგონის შტატი. კომპანიის წარმომადგენლები იძლევიან იმის გარანტიას, რომ მათი "როზეტას ქვა" გაუძლებს, სულ ცოტა, ერთ ათას წელს და აღუდგება წყლების, მარილების, მზის სხივების და ბირთვული რადიაციის ზემოქმედებას (გამოყენებული იქნება ლოს ალამოსის ცნობილ ბირთვულ ლაბორატორიაში შემუშავებული ტექნოლოგიები). "ლონგ ნაუს ფონდი" აპირებს ერთი ათასი დისკის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში გავრცელებას, ასევე კერძო პირებზე გაყიდვას.

ფონდი არქივარიუსების ძველი დევიზით ხელმძღვანელობს - "რაც მეტი ასლია, მით უფრო საიმედოა". გაზეთი წერს: "ვიმედოვნებთ, რომ ამ დისკთაგან ზოგიერთი მაინც გადარჩება და წაადგება მომავლის არქეოლოგებს". დისკების დამცველი შუშის ბურთები, ამავე დროს, წარმოადგენს გამადიდებელ შუშებს. მათი საშუალებით შესაძლებელი იქნება ნაწერების წაკითხვა მსოფლიოს რვა ძირითად ენაზე, რომლებიც დისკის კიდეებზე სპირალურად არის მოთავსებული (მათ შორისაა რუსული ტექსტი). პროექტის ავტორები თვლიან, რომ მომავლის ადამიანები გაიგებენ მათ მინიშნებას, და ამავე დროს მათ ექნებათ საკმარისად ძლიერი მიკროსკოპები, რომ წაიკითხონ არა მხოლოდ რვა ენაზე, რომლებიც შედარებით მსხვილი შრიფტითაა "აკრეფილი", არამედ ყველა დანარჩენზეც. პროექტის შემქმნელების თვალსაზრისით, ჩვენი შორეული შთამომავლები წაიკითხავენ სწორედ ტექსტებს და არა დიჯიტალურ ბიტებს, რადგანაც იმ დროისათვის ინფორმაცია მიწოდებული იქნება არა "პრეისტორიული" კომპიუტერებით და არა Windows სისტემით, რომლებსაც მოიხსენებენ, როგორც ქვის ნაჯახებს. იმ დროს არც ელექტრობა იქნება.

მაგრამ როზეტას ახალი ქვა არის არა მარტო მომავლის "ვაჰ". ის არის აწმყოს SOS-ც. ლინგვისტების მონაცემების თანახმად 2100 წლისთვის მსოფლიო ენების 90 პროცენტი, მათი რაოდენობა კი 7000-მდეა, ან გაქრება, ან იქნება გაქრობის პირას. ამაზე ინდუსტრიალიზაცია და გლობალიზაცია იზრუნებს, რაც ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში შეაღწევს. განსაკუთრებული ზიანი მიადგება რეგიონებს, რომლებიც როდესღაც გამოირჩეოდნენ ენების სიმდიდრით - პაპუა ახალი გვინეა, ინდონეზია და ნიგერია. **თურმე, ყოველ ათ დღეში მომაკვდავ ენათა რიცხვში საშუალოდ ერთი ენა ხვდება!** (კრიტერიუმად ითვლება, თუ ბავშვები არ ლაპარაკობენ ამ ენაზე და არ სწავლობენ მას).



პროექტს აფინანსებს ფონდი "ლეიზი ეიტი" დენვერიდან, კოლორადოს შტატი. თანხა დიდი არაა - მხოლოდ 165 ათასი დოლარი. ამ ფულით პროექტში მომუშავე სხვადასხვა ქვეყნის ლინგვისტების სამუშაოს ანაზღაურება ხდება. ბიბლიის ტექსტები შერჩეულია იმის გათვალისწინებით, რომ მათი თარგმანები სხვადასხვა ენებზე ყველაზე მრავალრიცხოვანია (თარგმანის მხრივ მეორე ადგილზეა გაეროს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც თითქმის 300 ენაზეა გადათარგმნილი).

საინტერესოა, რომ "როზეტას ახალი ქვის" პროექტი დაიწყო როგორც ინფორმაციის გრძელვადიანი შენახვის შესაძლებლობების დემონსტრაცია. თურმე, სწრაფად ცვლად კომპიუტერულ ტექნიკაზე დამოკიდებული სანაქებო თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები საკმაოდ არასაიმედოა. არასაიმედოა ძველი მედია- საშუალებებიც. გაზეთები და ვიდეოჩანაწერები 30 წელზე მეტ ხანს არ ცოცხლობენ. ზოგიერთ მიკროფილმს შეუძლია 500 წლამდე გაძლოს, მაგრამ ისინი შეიძლება გახდეს სიცხის, სინესტის, სინათლის, ფიზიკური დაზიანების მსხვერპლი. ისტორია მოწმეა იმისა, რომ ბიბლიოთეკები იწვის, მუზეუმები ინგრევა, ე.წ. "დროის კაფსულები" იკარგება. პროექტის ერთ-ერთი მონაწილის სიტყვებით "კაცობრიობა თითქოსდა ამონტაჟებს მეხსიერების ამოვარდნებს თავის ცივილიზაციაში"!

"როზეტას ახალი ქვა" - ეს სწორედ ასეთი "მეხსიერების ამოვარდნების" წინააღმდეგ ბრძოლის იარაღია. მისი ზღვრული მიზანი - 10 ათასი წელია. აღსანიშნავია, რომ უკვე არსებობს ე.წ. "დეკაათასწლეულის საათი". მისი "წუთის ისარი" წელიწადში ერთხელ გადაადგილდება. "საათის ისარი" კი, თითოეულ ასწლეულს რეკვით აუწყებს. ეს საათი ლონდონის მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმშია მოთავსებული.

პირველი ენა, რომლის ყველა მოსამზადებელი სამუშაო დამთავრებულია, არის დეგემის ენა, რომელზეც 20 ათასზე ცოტა მეტი ადამიანი ლაპარაკობს ნიგერიის ერთ-ერთ პროვინციაში. წარსულში დეგემის სამი დიალექტი არსებობდა, მაგრამ ორი მათგანი უკვალოდ გაქრა. ნიგერიელმა ლინგვისტმა, ეტელბერტ კარიმ გაზეთთან ინტერვიუში თქვა: "მომაკვდავ ენაზე მოლაპარაკე ადამიანი გრძნობს მთელ მწუხარებას და უიმედობას მოახლოებული საფრთხისა, რომ მალე ამ ენაზე ფიქრი და საუბარი შეუძლებელი იქნება. დღეს ამ ტკივილს მსოფლიოში ბევრი ადამიანი განიცდის, რომლებმაც დაკარგეს მშობლიური ენა".

მონაცემები, დედამიწის ყველა არსებული ენის შესახებ, არ არსებობს. ამ საკითხებს ეხლა განიხილავს "მომაკვდავი ენების ფონდი". ის იწერს იმ მოხუცების საუბარს, რომლებსაც ჯერ კიდევ ახსოვთ თავიანთი, "მოხმარებიდან გამოსული" ენები. მაგრამ ფონდის სახსრები ძალიან შეზღუდულია - მხოლოდ 60 ათასი დოლარი; ის მხოლოდ თავისი წევრების ენთუზიაზმის წყალობით ფუნქციონირებს. "როზეტას ახალი ქვის" პროექტმა ამ ფონდის მოღვაწეობაში შეიძლება ახალი სიცოცხლე შეიტანოს, მიიზიდოს ყურადღება, რესურსები. ყოველ შემთხვევაში ამის იმედი აქვთ ლინგვისტ-ენთუზიასტებს. ერთ-ერთი მათგანის, დოქტორ ჰესკინსის სიტყვებით, "როზეტას ახალი ქვის" შექმნის სამუშაოები თვითონ "ვერ გადაარჩენს ენებს სიკვდილისგან, მაგრამ მათ შეინახავს მომავალი თაობებისთვის".

ლინგვისტური პრობლემები ლოგიკურად გადაიზრდება ფილოსოფიურში. როგორც პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, კევინ კელი აღნიშნავს, "ძალიან ძნელია გადაგზავნო ინფორმაცია მომავალში, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია გააგზავნო ფასეულობები, კერძოდ კულტურული, რომლებიც ინფორმაციაშია კოდირებული".

თავად მე კი ვფიქრობ, რომ თუ 10 ათასი წლის შემდეგ დედამიწაზე იარსებებენ ადამიანები, რომლებიც შეძლებენ წაიკითხონ და გაიგონ "როზეტას ახალი ქვა", მხოლოდ ესეც კი დამაჯერებელი დასტური იქნება იმისა, რომ კაცობრიობის ფასეულობებმა, ბოლოს და ბოლოს, ძლიეს კაცობრიობის თვითგანადგურების სიგიჟეს. "როზეტას ახალი ქვა", ისევე როგორც ძველი, არ უნდა გადაიქცეს საფლავის ქვად!

## ათეულები

**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით**

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| მიხეილ ჯავახიშვილი | [illegible] | "მერანი" | 6 |
| | "მხიარული სიტყვები" (ინგლისურ-ქართული სახუმარო ლექსიკონი) | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 4.4 |
| ხალხური (შემდგენელი ვახტანგ კოტეტიშვილი) | [illegible] | "დიოგენე" | 4.4 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3.2 |
| [illegible] | "პატარა პრინცი" | "ზანი" | 2.8 |
| [illegible] | [illegible] | "ლიტერა" | 2.4 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.4 |
| [illegible] | "ალექსანდრე მაკედონელი" | "ლიტერა" | 2 |
| [illegible] | [illegible] | "დიოგენე" | 2 |

**ცხელი ალბომების ათეული ევროპაში ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით**

| შემსრულებელი | ალბომი | ლეიბლი |
|---|---|---|
| [illegible] | Monkey Business | "ინტერსქოუპი" |
| "ოეზისი" | Don't Believe The Truth | [illegible] |
| "გორილაზ" | Demon Days | "პარლოფონი" |
| System Of A Down | Mesmerize | [illegible] |
| Faithless | Forever Faithless: [illegible] | [illegible] |
| [illegible] | Out of Exile | [illegible] |
| [illegible] | Il Divo | [illegible] |
| [illegible] | Love.Angel.Music.Baby | "ინტერსქოუპი" |
| 50 ცენტი | The Massacre | "ინტერსქოუპი" |
| ბრიუს სპრინგსტინი | Devils & Dust | "კოლამბია" |



**კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით**

| ფილმის სათაური | რეჟისორი | მსახიობები | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "მისტერ და მისის სმიტები" | დაგ ლაიმანი | [illegible] | 50,342,878 | 50,342,878 |
| "მადაგასკარი" | [illegible] | [illegible] | 17,180,801 | 126,414,334 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 14,851,474 | 332,109,171 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 13,878,482 | 116,484,565 |
| [illegible] | რობერტ როდრიგესი | [illegible] | 12,582,088 | 12,582,088 |
| [illegible] | რონ ჰოვარდი | [illegible] | 9,728,955 | 34,642,020 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 5,711,420 | 23,732,629 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 5,538,835 | 5,538,835 |
| [illegible] | რიდლი სკოტი | [illegible] | 2,624,376 | 76,476,163 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1,897,706 | 1,897,706 |

# სვირინგი

## ერთი პოპკულტურული ტენდენციის გამო

სეთ ჩიფერი ბალტიმორში სვირინგების ოსტატია. მას საკუთარი სალონი აქვს გახსნილი და კლიენტების რიცხვსაც არ უჩივის. ოღონდ, ჩიფერი ცოტა უცნაური კაცია. ის ყველა მსურველს სვირინგს არ უკეთებს. განსაკუთრებულად ცივი უარით და შესაბამისად, უსვირინგოდ თინეიჯერებს ისტუმრებს ხოლმე. მოტივად კი ყველა ბავშვს ერთი და იმავეს ეუბნება: "გააზრებული გაქვს, როგორ იმოქმედებს ეს შენს კარიერაზე? შეიძლება, სამსახური ვერ იშოვო".

ეს თემა - სვირინგიანი თანამშრომელი და დირექტორი - შტატებში ბოლო დროს გაცხარებული კამათის საგნად იქცა. "ბოდი არტი", იგივე მხატვრობა სხეულზე, თავისი ტუჩისა და ნიკაპის გახვრეტით, ბევრ სოლიდურ კომპანიაში დღემდე ცუდ ტონად ითვლება და საზოგადო უთანხმოებასაც ეს იწვევს. დირექტორები ამტკიცებენ, რომ მოხატულ და დახვრეტილ სხეულიანი თანამშრომლები კლიენტებს აფრთხობენ. ასეთი თანამშრომლები კი, თავის მხრივ, ირწმუნებიან, რომ "ბოდი არტი" მათი შინაგანი თავისუფლების გამოვლენის ხერხია და მეტი არაფერი.

თუმცა, ბალტიმორელი სეთ ჩიფერი მაინც დირექტორებს უწევს ანგარიშს, თავისუფლების იდეით შეპყრობილ თინეიჯერებს კი არწმუნებს, რომ სვირინგი მათ კარიერაზე ცუდად იმოქმედებს. ჩიფერი განსაკუთრებულად ერიდება დიდი ზომის სვირინგების ამოტვიფრას, ისეთების, როგორიც, მაგალითად, დიდი ზომის ჭრელი დრაკონია, ანდა შეყვარებულის სახელი, რომლის ამოტვიფრასაც კლიენტი მაინცდამაინც კისერზე სთხოვს.

"სხეულის გამოსაჩენ ნაწილებში სვირინგს მხოლოდ ძალიან მდიდრებს ვუკეთებ, ისეთებს, სამსახურის პრობლემა რომ არ აქვთ. ღმერთმა დამიფაროს, რომ ერთ დღეს ჩემმა შვილმაც მთხოვოს კისრის დასვირინგება".

არადა, ბოლო დროს, შტატებში ერთი უცნაური ტენდენცია შეიმჩნევა. სვირინგი კონტრკულტურიდან მეინსტრიმში გადმოდის. ანუ, "ლეგალურ" პოპკულტურას ეზავება, მოდური ხდება მაღალ საზოგადოებასა და ჰალსტუხიან საქმოსნებს შორისაც.

სწორედ ამ ტენდენციას აპროტესტებენ დიდი კომპანიების მფლობელები. დამოუკიდებელი ექსპერტები და მკვლევარები კი მათ კომპრომისზე წასვლისკენ მოუწოდებენ.

სვირინგიანი თანამშრომლების ერთ-ერთი ლობისტია ჩიკაგოელი ჯონ ჩელენჯერი, საკონსულტაციო ფირმის მმართველი. ის აცხადებს, რომ უმუშევრობის დაბალი მაჩვენებლის ფონზე, დირექტორებმა ასეთ გარეგან მიზეზებს ყურადღება არ უნდა მიაქციონ. "ხანშიშესულმა მენეჯერებმა თვალი უნდა გაუსწორონ რეალობას" - მოწოდებასავით გაისმის ჩელენჯერის კომენტარი.

რეალობა კი ასეთია: შტატებში ძალიან პრესტიჟულ მეიოს კლინიკაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, კოლეჯების სტუდენტების 23 პროცენტი 1-3 სვირინგს მაინც ატარებს, 51 პროცენტი კი - 1-2 სვირინგს. შემდეგ ეს სტუდენტები ვაკანსიებს ავსებენ, სამსახურებს შოულობენ, კონსერვატორი მენეჯერები კი ხშირად მათ განათლებას და პროფესიონალიზმს სწორედ მოხატული სხეულების გამო იწუნებენ.

თუმცა ასეთ კონსერვატორებსაც ჰყავთ დამცველები. პროფესიონალთა საკონსულტაციო ფირმის "ბროუდი ქომუნიქეიშენზის" დამფუძნებელი, ფილადელფიელი მერჯორი ბროუდი აცხადებს: "რის თქმას ცდილობ დიდი სვირინგით ან დიდი ნახვრეტით ტუჩზე? იმას ხომ არ ამბობ, რომ ერთ დროს იყავი 17 წლის, დათვერი, მეგობრებთან ერთად სალონში წახვედი და სვირინგი ასე შემოგრჩა? ან იმას ხომ არა, რომ "ბოდი არტი" მართლაც ხელოვნება გგონია და თან ასე ფიქრობს ყველა შენი მეგობარი? ცხადია, ადამიანები მუდამ ესწრაფვიან მაქსიმალურ თვითგამოხატვას, მაგრამ ამავე დროს უნდა შევეგუოთ, რომ მაქსიმალიზმმა თვითგამოხატვაში შეიძლება სამსახური დაგვაკარგვინოს".



და კიდევ ერთი ოპონენტის აზრი: 32 წლის ფსიქიატრი-მედდა ქეროლინ ქრებთრი. ამ ქალბატონს ხუთი სვირინგი ამშვენებს და კიდევ ორის დამატება მაინც უნდა. მარცხენა მკლავზე წითელი ჯვარი აქვს გამოსახული - როგორც სისხლის გაცემის სიმბოლო. მარჯვენა ნეკნზე ბაბუის გარდაცვალების თარიღი აქვს რუსულად ამოტვიფრული. ფრაზა: Will you cry for me ("იტირებ ჩემთვის" - ნაწყვეტი ჯგუფ A Fire Inside-ის სიმღერიდან) კი მარცხენა მხარეს მკლავიდან ქვევით გასდევს.

როცა ქრებთრი სხვა სვირინგიანს ხედავს, ფიქრობს, რომ ეს ადამიანი გულღია, შინაგანად თავისუფალი და მდიდარი წარმოსახვის მქონეა. "სვირინგით ძალიან ბევრ რამეს გამოვხატავ. ამიტომ ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამსახური. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არაპროფესიონალი ვარ. უბრალოდ, ჩემი სვირინგი ჩემი სამყაროს ნაწილია. ჩემს ფინანსისტსაც რომ ჰქონდეს სვირინგი, ძალიან გამიხარდებოდა".

ასე რომ, ქრებთრი პროგრესულად მოაზროვნეთა ფრთის წარმომადგენელია. ამერიკაში კი სვირინგიანებს ყველაზე მეტად კონსერვატორულ სამსახურებში უფრთხიან, მაგალითად, ბანკებსა და იურიდიულ ფირმებში.

ამიტომაც ექსპერტები ყველას ურჩევენ, ზომიერება შეინარჩუნონ. თუ სვირინგებით გაქვს მკლავები მოხატული, წინასწარვე უნდა შეეგუო იმას, რომ პრესტიჟულ ბანკში პრესტიჟულ თანამდებობაზე, ისეთზე, კლიენტებთან უშუალო შეხება რომ გაქვს, არ დაგნიშნავენ.

თავის მხრივ, კომპრომისზე წასვლა და საკითხისადმი ოდნავ მსუბუქი მიდგომა ასეთ სოლიდურ ფირმებშიც უნდა ისწავლონ. ექსპერტი ჯენ იორგენსენი ამბობს: "კომპანიების დირექტორებმა უნდა გადაწყვიტონ: ლურჯად შეღებილთმიანი თანამშრომელი რამით მართლაც აზარალებს მათ ბიზნესს?" ცხადია - არა. ასე რომ, გაუხსენით "ბოდი არტში" გამოხატულ ფანტაზიას ფართო გზა და დააფასეთ ხელქვეითთა შინაგანი თავისუფლება. და ცხადია, ეს მოწოდება არა მხოლოდ ამერიკელებზე ვრცელდება. სვირინგიანები ჩვენს რეალობაშიც იჩაგრებიან. ბევრისთვის კი ისინი დღემდე ეზოში ფლოსტებით, დომინოს თამაშში გართულ ანდა ციხემოვლილ ბიძებთან ასოცირდება. არადა, "ბოდი არტი" - სხეულის ხელოვნებაა, მართალია, მაღალი არა, მაგრამ კონტრკულტურის არსებობისთვის მაინც არსებითი მნიშვნელობის მქონე.

მოკლედ

## ჯილარდინოს „მილანთან" მოლაპარაკება ჩაიშალა

"პარმას" ფორვარდის ალბერტო ჯილარდინოს აგენტმა ბეპე ბონეტ-ომ იტალიურ პრესასთან საუბრისას განაცხადა, რომ მისი კლიენტის "მილანთან" მოლაპარაკება ჩაიშალა. ეს განცხადება აგენტმა "მილანის" ვიცე-პრეზიდენტთან სატელეფონო საუბრის შემდეგ გააკეთა. გარდა ამისა, ბონეტო არ უარყოფს "ჩელსის" ინტერესს ჯილარდინოსადმი. თავად ფეხბურთელმა რამდენიმე ხნის წინათ განაცხადა, რომ კარიერას სერია A-ში გააგრძელებდა, თუმცა, თუ საქმე საბოლოოდ ჩაიშლება, მაშინ მას ინგლისში გადასვლაზე მოუწევს ფიქრი.

## „არსენალი" გლების ფასმა დააფრთხო

ჯილარდინოსა და "მილანისა" არ იყოს, შესაძლოა, გერმანული კლუბის "შტუტგარტის" ნახევარმცველის ალექსანდრ გლების ლონდონის "არსენალში" გადასვლაც ჩაიშალოს. საქმე ის გახლავთ, რომ გერმანელებმა უარყვეს "მეთოფეთა" წინადადება, რაც ბელორუსი ფეხბურთელისთვის 4,5 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდას შეეხება. "შტუტგარტმა" ამ ფეხბურთელზე საკუთარი თანხა დაასახელა - 11 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

გლებს კი მაინც დიდი იმედი აქვს, რომ კლუბები მორიგდებიან და მას "არსენალში" შვიდ მილიონ გირვანქა სტერლინგად გაყიდიან.

## რაული და ფიგუ „ლივერპულისთვის" ძვირი სიამოვნებაა

"ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა აღიარა, მის გუნდს იმდენი სახსრები არ გააჩნია, რომ მადრიდის "რეალის" ფეხბურთელები, მაგალითად, ფორვარდი რაული თუ ნახევარმცველი ფიგუ შეინახოს.

შეგახსენებთ, უკანასკნელ ხანს სწორედ ეს ფეხბურთელები შედიოდნენ ინგლისელთა ინტერესის სფეროში.

## „ლიდსის" გულშემატკივრები საპროტესტო აქციის მოწყობას აპირებენ

ინგლისური კლუბის "ლიდსის" გულშემატკივრები საპროტესტო აქციის მოწყობას აპირებენ მას შემდეგ, რაც გუნდის ხელმძღვანელობა ფეხბურთელის აარონ ლენონის "ტოტენჰემში" გადასვლას ოფიციალურად გააფორმებს. მოსალოდნელია, რომ ამ ხელშეკრულებას მალე მოეწერება ხელი. შემოსული ფულით კლუბი ახალი ფეხბურთელების შეძენას აპირებს.

## ტორესი „ატლეტიკოში" რჩება

ესპანური კლუბის "ატლეტიკოს" თავდამსხმელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამჟამინდელი გუნდის დატოვებას არ აპირებს.

"აგერ უკვე ორი წელია, ერთი და იგივე ისტორია გრძელდება. ვიცი, რომ ჩემი შეძენა ბევრ კლუბს უნდა, მაგრამ ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ - "ატლეტიკოში" მინდა თამაში, სხვა გუნდები კი არ მაინტერესებს", - განაცხადა 21 წლის ტორესმა.

შეგახსენებთ, რომ ყველაზე მეტად მისი შეძენით დაინტერესებული იყო ლონდონის "ჩელსი".

## „შალკე" „სელტიკის" ფეხბურთელს შეიძენს

გერმანული კლუბი "შალკე" შოტლანდიური "სელტიკის" მცველის ბობო ბალდეს შეძენის შესაძლებლობას განიხილავს. "შალკესთვის" ძალიან მნიშვნელოვანია ბალდეს მიერ "სელტიკთან" გაფორმებული კონტარქტის ერთი პუნქტი, რომელშიც წერია, რომ ფეხბურთელს შეუძლია თავისუფალი აგენტის სახით დატოვოს კლუბი, თუ ეს მისი სურვილი იქნება.

## „რეალმა" რობინიო კონკურენტებს არ დაუთმო

ნიჭიერი ბრაზიელიელისთვის, რომელსაც სამშობლოში პელეს მემკვიდრეს უწოდებენ, დიდი ბრძოლა იყო გამართული მადრიდის "რეალს", კატალონიის "ბარსელონასა" და ლონდონის გუნდებს - "არსენალსა" და "ჩელსის" შორის. გამარჯვება წილად ხვდა "სამეფო კლუბს".

მადრიდის "რეალის" პრესსამსახურმა ბრაზილიელ ფორვარდთან რობინიოსთან მოლაპარაკების დასრულების შესახებ უკვე ოფიციალურად ამცნო საზოგადოებას. ეს ინფორმაცია დაადასტურა ფეხბურთელის აგენტმა ვაგნერ რიბეირომ. ამგვარად, "სანტოსის" 21 წლის ფეხბურთელი "სამეფო კლუბში" გააგრძელებს კარიერას. სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით არ სახელდება.

საფეხბურთო გალერეა

# უეინ რუნი - მანჩესტერელი რუნალდო



უეინ რუნი: "ინგლისის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონობის ყველა შანსი აქვს".

ლაშა გოდუაძე

მან საოცრად სწრაფად გაიკვალა გზა მწვერვალებისკენ - ორი წლის წინათ ერთი ჩვეულებრივი ბიჭი იყო, თანატოლთაგან არაფრით გამორჩეული, მაგრამ შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ინგლისელი გულშემატკივრების კერპად იქცა (და არა მარტო მათი).

დღეს უეინ რუნი მსოფლიოს უმდიდრესი კლუბის "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელია და, რაც მთავარია, ოლდტრაფორდულ გუნდში დებიუტისთანავე მოახერხა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება.

ინტერვიუში, რომელიც ჟურნალ "ევროფუტბოლიდანაა" გადმოქართულებული, ინგლისური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი განვლილ სეზონსა და ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე საუბრობს.

**- ჯერ მხოლოდ 19 წლის ხართ, თუმცა, თქვენი პოპულარობა უსაზღვროა. ძნელია გარშემო შექმნილ სიტუაციასთან შეგუება?**

- მგონი, ამგვარ მდგომარეობაში მარტო მე არ ვარ - წამყვანი კლუბების ფეხბურთელები მუდმივად ყურადღების ცენტრში არიან და ალბათ, ასეც უნდა იყოს. ეს ყოველივე პრობლემებს ნამდვილად არ მიქმნის, ყოველ შემთხვევაში, დღეს. თითქმის ორი წელია მსგავს სიტუაციაში ვარ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შექმნილ მდგომარეობას მიჩვეული ვარ. მთავარია პოპულარობა თავში არ ამივარდეს და რეკლამამ ჩემს თამაშზე უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს.

**- ჟურნალისტებს თქვენ არა მარტო მწვანე მინდორზე, მის მიღმაც აინტერესებთ. მოსაბეზრებელი ხომ არაა გადამეტებული ყურადღება?**

- რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, როცა მეგობრებთან ერთად ქუჩაში წყნარად ვერ გადიხარ, მაგრამ ამას, როგორც გითხარით, უკვე მიჩვეული ვარ. მშვენივრად ვიცი, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი სხვანაირ მდგომარეობაში ვერც იქნება - კლუბი პოპულარულია და, შესაბამისად, პოპულარულები არიან მისი ფეხბურთელებიც.

**- დღეს უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ თქვენ "მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივრების კერპი ხართ.**

- სწორედ ამიტომაც ვცდილობ, ჩემი ყოველი ნაბიჯი გავაკონტროლო. თუ ადრე თავს მოდუნების უფლებას ვაძლევდი, ახლა ასე აღარ ვიქცევი. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უამრავი ადამიანი მიყურებს და ცუდი საქციელით მათ თავს ნამდვილად ვერ შევაყვარებ. იცით, არასდროს დამავიწყდება "მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტის გაფორმების დღე - მთელი ხუთი საათი მოვანდომე ხელშეკრულების შეთანხმებას და სანამ დოკუმენტებს ხელს მოვაწერდი, ქომაგებს ვადევნებდი თვალს, რომლებიც სტადიონთან შეკრებილიყვნენ. მათ ერთი სული ჰქონდათ, როდის დამინახავდნენ. როცა მათთან გავედი, ისეთი ყიჟინა დასცეს, ენით ვერ აღვწერ. ეს ჩემთვის დაუვიწყარი იყო. მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ სრულიად უცნობ ადამიანებს შეიძლება გულით უყვარდე. ეს ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო.

**- თუ გრძნობთ იმ პასუხისმგებლობას, რაც "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელს აწევს ზურგზე? სხვა თუ არაფერი, ოლდტრაფორდელებმა თქვენს სანაცვლოდ საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადეს.**

- ფულს რაც შეეხება, ეს მე არ მეხება და ამ თემაზე ნუ ვისაუბრებთ. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, მას არასდროს გავურბოდი - არც "ევერტონში" და, მით უმეტეს, არც "მანჩესტერ იუნაიტედში". როცა მოედანზე გავდივარ, მაქსიმალურად კონცენტრირებული ვარ და თავს მოდუნების საშუალებას არ ვაძლევ. ვიცი, რომ ჩემი თამაშის სანახავად ადამიანები ათობით გირვანქას იხდიან და ვცდილობ, მათ იმედი არ გავუცრუო.

**- ევროპის ბოლო ჩემპიონატზე თქვენ დაამტკიცეთ, რომ უმაღლეს დონეზე ჩინებულად შეგიძლიათ თამაში...**

- კონტინენტის პირველობა ჩემს კარიერაში გადამწყვეტი აღმოჩნდა - ევროპირველობაზე კარგი თამაშით მივხვდი, რომ მეტი შემიძლია და სწორედ მაშინ გადავწყვიტე "ევერტონის" დატოვება. ძალიან მომინდა ჩემპიონთა ლიგაში ძალის მოსინჯვა, ძველ კლუბთან ერთად კი, სამწუხაროდ, ამის შანსი არ მეძლეოდა. მიხარია, რომ "მანჩესტერ იუნაიტედში" ვთამაშობ. ვიცი, რომ ამ კლუბში, როგორც ფეხბურთელი, უფრო დავიხვეწები!

**- როცა თქვენს თამაშს ვუცქერით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოედანზე ყველაფრის გაკეთება შეგიძლიათ...**

- სიმართლე კი ასეთია: კვლავაც მჭირდება დახვეწა. საბედნიეროდ, "მანჩესტერ იუნაიტედში" ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს, რომელთაგან სწავლა ნაღდად შემიძლია. ვიმედოვნებ, რომ გაისად, მსოფლიო ჩემპიონატამდე უკეთესი ფეხბურთელი ვიქნები.

**- მასწავლებლად, ალბათ, როი კინიც გამოდგება - რკინის ნერვებიანი ფეხბურთელი...**

- ის ნაღდი კაპიტანია! არასდროს მაძლევს მოდუნების უფლებას, ყოველთვის ბოლომდე თამაშს, მაქსიმალურად დახარჯვას მთხოვს! ვარჯიშებზეც კი, როცა მოდუნება დასაშვებია, როი მუდმივად კონცენტრირებულია და სხვებისგანაც ამას ითხოვს. ის უდავოდ კარგი მასწავლებელია, მისაბაძი ფეხბურთელი!

**- ახალი თანაგუნდელებიდან ყველაზე მეტად ვინ გაგაოცათ?**

- რაიან გიგზმა და კრისტიანო რონალდუმ! ვარჯიშებზე ისეთ ფინტებს აკეთებენ, თვალს ვერ შეასწრებ, საოცრად სწრაფები არიან!

**- სხვათა შორის, თქვენი თანაკლუბელები ინტერვიუებში მუდმივად გაქებენ...**

- მადლობის მეტი რა მეთქმის! ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავს და ეს ძალიან მახარებს! ვიცი, რომ ამ ბიჭებთან ერთად ძალიან ბევრს მივაღწევ!

**- როცა "მანჩესტერ იუნაიტედში" გადადიოდით, თუ ნერვიულობდით?**

- თქვენ როგორ ფიქრობთ? რა თქმა უნდა! ასეთი დიდი კლუბი როცა გენდობა, ბუნებრივია, შენც ნერვიულობ. ვფიქრობდი, როგორ ჩაივლიდა პირველი ვარჯიში კლუბში, როგორი თვალით შემომხედავდნენ თანაკლუბელები... საბედნიეროდ, ყველაფერმა ჩინებულად ჩაიარა. როცა პირველად შევედი გასახდელში, სეზონისთვის სამზადისი სანახევროდ იყო დაწყებული, ბევრი ფეხბურთელი ჯერ კიდევ ისვენებდა. გასახდელში ტრავმირებული რუუდ ვან ნისტელროოი, უესლი ბრაუნი და ჯონ ოში დამხვდნენ. პირველად სწორედ ისინი გავიცანი, მერე კი სხვებიც შემოგვიერთდნენ... დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემი მეორე სახლია!

**- როგორი ურთიერთობა გაქვთ სერ ალექს ფერგიუსონთან და თუ შეადარებდით მას სვენ-გორან ერიქსონს, რომელიც თქვენი ქებით არ იღლება?**

- თავიდანვე გეტყვით, რომ სხვაობა მათ შორის თვალშისაცემია. ფერგიუსონი მკაცრია და ძალიან პირდაპირი. თუ რაიმეს არ აკეთებ ისე, როგორც საჭიროა, უმალ გეტყვის. ალბათ, ეს საერთო საქმისთვის კარგიცაა. სხვათა შორის, განვლილი სეზონის მანძილზე ფერგიუსონი მუდმივად თვალს მადევნებდა და ყოველი თამაშის წინ და მერე აუცილებლად რჩევებს მაძლევდა.

**- რომელი მწვრთნელი უფრო მოგწონთ: ფერგიუსონი თუ ერიქსონი?**

- ორივე ჩინებული სპეციალისტია. ორივე იმდენად გამოცდილია, რომ მათგან ბევრს ისწავლის ფეხბურთელი.

**- მიგაჩნიათ თუ არა, რომ ინგლისის ნაკრები, რომელიც პენალტების სერიაში გამოეთიშა ევროპის ჩემპიონატს, გაისად მსოფლიო ჩემპიონობისთვის საფუძვლიანად იბრძოლებს?**

- მიმაჩნია, რომ გამარჯვების კარგი შანსი გვაქვს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩინებული ფეხბურთელები გვყავს. ამას დაუმატეთ ძლიერი მწვრთნელი, გამოცდილება, შეთამაშება... ერთი სიტყვით, უეინ რუნის ინგლისი მსოფლიო ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატად ესახება!

მოკლედ

## ლუკარელიმ მტკიცე უარი თქვა „ლივორნოდან" წასვლაზე

"ლივორნოს" თავდამსხმელმა კრისტიანო ლუკარელიმ განაცხადა, რომ ამ კლუბში დარჩენას აპირებს.

"არასოდეს მითქვამს, რომ მშობლიური ქალაქიდან წასვლას და ჩემი გუნდის დატოვებას ვაპირებ, გუნდისა, რომელიც ჩემს გულში ცხოვრობს. იმედი მაქვს, მომავალ სეზონზე "ლივორნოს" თამაში იმდენად ძლიერი იქნება, რომ მე იტალიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრას შევძლებ", - განუცხადა ფორვარდმა იტალიელ ჟურნალისტებს.

როგორც ცნობილია, ლუკარელის შეძენა "ფიორენტინასა" და სხვა გუნდებს უნდოდათ.

"ლუკარელი" ჩემი წამყვანი ფეხბურთელია და მის გაყიდვას არ ვაპირებთ, - განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ.

## მწვრთნელმა „უდინეზე" „რომას" გამო დატოვა

"უდინეზეს" ხელმძღვანელობამ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მთავარმა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დატოვა თანამდებობა. იტალიური პრესის ცნობით, უახლოეს პერიოდში სპალეტი სათავეში ჩაუდგება "რომას".

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

**შაბათი. 18 ივნისი**

**НТВ+ФУТБОЛ**

10:15 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. მაროკო - ჩილე
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ჩინეთი - პანამა
13:55 "საფეხბურთო კლუბი"
14:40 "პოლარული გაზაფხული". საერთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში
15:10 თავისუფალი დარტყმა
15:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. არგენტინა - გერმანია. პირდაპირი ტრანსლაცია ჰოლანდიიდან
17:25 "FUTBOL MUNDIAL"
17:55 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ბრაზილია - კორეა. პირდაპირი ტრანსლაცია ჰოლანდიიდან
19:55 თავისუფალი დარტყმა
20:10 სახვალიო ტელეპროგრამა
20:15 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. იტალია - კანადა
22:00 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. იაპონია - ავსტრალია
23:45 ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალი. "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა) - "გვადალაჰარა" (მექსიკა). საპასუხო მატჩი

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 16:00, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:15 "ქრონიკა"
10:25 ჩოგბურთი. WTA ტურნირი. ჰოლანდიაში. ნახევარფინალი
12:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ინგლისში. ნახევარფინალი. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
13:45 "სარკის წინ"
14:15 გოლფი. "US Open"
16:15 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
16:40 სპორტული ცეკვები. "დიდი პრიზი" "დინამო". პირველი ნაწილი
17:55 ცხენოსნობა. "Royal Ascot". პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირის წინ
20:30 "ქრისტიანული სამყარო". ტელეჟურნალი
21:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი. ჰოლანდიაში. ფინალი
23:00 გოლფი. "US Open". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:00) - ახალი ამბები
03:00 03:00-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 პროფესიული კრივი. გლენკოფ ჯონსონი - ანტონიო ტარვერი. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ავტორბოლები. ლე მანის 24 საათი. პირდაპირი ტრანსლაცია
12:00 ავტორბოლები. ლე მანის 24 საათი
12:15 ავტორბოლები. ლე მანის 24 საათი. პირდაპირი ტრანსლაცია
13:00 ავტორბოლები. ლე მანის ლეგენდები
14:00 ფეხბურთი - გ-ო-ო-ო-ლ!!!
14:15 მულტისპორტი - VIP საშვი
14:30 WTA ტურნირი დიდ ბრიტანეთში. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში
16:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური შვეიცარიაში. ვაჟები. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 ავტორბოლები. ლე მანის 24 საათი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 მძლეოსნობა. ევროპის თასი იტალიაში
20:30 ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ქალები. შესარჩევი მატჩი. გერმანია - საბერძნეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:15 ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ქალები. შესარჩევი მატჩი. პოლონეთი - სერბეთი და მონტენეგრო
23:00 ავტორბოლები. ლე მანის 24 საათი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:00 ფეხბურთი. ფიფას კონფედერაციის თასი. მიმოხილვა
02:00 ATP ტურნირი ჰოლანდიაში. ნახევარფინალი
03:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25



ფეხბურთი

# „დინამოს" მზადება გერმანიაზე და შვეიცარიაზე გადის

გიგა გურასაშვილი

*თბილისის "დინამო" წინასასეზონო მზადებას ტრადიციულად გერმანიის ქალაქ რუიტში, შემდეგ კი შვეიცარიაში გაივლის. წინ საქართველოს ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპია. კახა ცხადაძის მთავარი საზრუნავია ფეხბურთელთა მომზადება ეროვნული ჩემპიონატისა და საკლუბო პირველობისთვის. ყოველ შემთხვევაში, გუშინ, როდესაც "დინამოს" ბაზას ვეწვიეთ, განაცხადა, რომ ყველაფერი თავიდანაა დასაწყები, რომ კლუბი ჩამოყალიბების სტადიაშია.*

მას შემდეგ, რაც "დინამოს" ძველი დინამოელი კახა ცხადაძე ჩაუდგა სათავეში და კლუბი ჩემპიონობამდე მიიყვანა, ფეხბურთის ქართველ გულშემატკივართათვის ჩემპიონთა ლიგა მთავარი მიზანი გახდა. გადავალახავთ თუ არა საკვალიფიკაციო ეტაპს, ამის პერსპექტივა 4 ივლისს, ლიგის კენჭისყრისას გამოიკვეთება, მანამდე კი გუნდის ჩამოყალიბების, შეთამაშების პროცესია, რომლისკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯიც სწორედ რუიტში გასავლელი წინასასეზონო შეკრებაა.

"ვიწყებთ პროგრამის შემუშავებას, რომელიც კლუბის მრავალწლიან გეგმას ითვალისწინებს. კლუბში ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს. ფეხბურთელებთან იდება გრძელვადიანი ხელშეკრულებები, აქამდე კი "დინამოს" შესაბამისი კოტრაქტი მხოლოდ ლევან მელქაძესთან ჰქონდა.

ძალზე ცოტა დრო გვაქვს იმისთვის, რომ პირველ მატჩამდე გუნდი სრულად მოემზადოს. ფაქტობრივად, ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ", - ამბობს კახა ცხადაძე.

დინამოელები 10 ივნისს შეუდგნენ ვარჯიშს. ჯერჯერობით აქცენტი აღებულია ფიზმომზადებაზე. რაც შეეხება ტექნიკას, ამ კუთხით ვარჯიშს რუიტში აპირებენ, თუმცა, იქ ფიზმომზადებაშიც გააგრძელებენ ვარჯიშს. შესაძლოა, დინამოელებს გერმანიაში ფიზმომზადების კვალიფიციური მწვრთნელიც შეუერთდეს. თუ ვინ, ჯერჯერობით გაურკვეველია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ "დინამო" ბრაზილიელი სპეციალისტის რიკარდოს გარეშეა დარჩენილი, რომელიც "კორინთიასში" მიუწვევიათ.

...დინამოელები დღეს ნაშუადღევს გაფრინდნენ გერმანიაში. ხვალიდან უკვე ვარჯიშს შეუდგებიან. 21 ივნისს ორმხრივი თამაში აქვთ დაგეგმილი, ხოლო შემდეგ გერმანიის დაბალი ლიგის გუნდებს ეთამაშებიან (უმაღლესი ლიგის კლუბები ისვენებენ). ცხადაძის განმარტებით, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან რუიტში მზადება უფრო გუნდის შესათამაშებლადაა გამიზნული.

29 ივნისს დინამოელები შვეიცარიის ქალაქ შოფჰაუზენში გაემგზავრებიან და იქაურ უმაღლესი ლიგის კლუბებს ეთამაშებიან. პირველი მატჩი 30-ში "სენტ გალენთან" უწევთ, 2 ივლისს კი "გრასჰოპერსს" შეხვდებიან. "სენტ გალენთან" და "გრასჰოპერსთან" მატჩებში კახა ცხადაძე თითქმის ჩემპიონთა ლიგის თამაშებისთვის განსაზღვრულ შემადგენლობას გაიყვანს. 3 ივლისს "შოფჰაუზენს" ეთამაშებიან, თუმცა, წინა შემადგენლობებისგან განსხვავებით, ცხადაძე მოედანზე იმათ შეუშვებს, რომლებიც პირველ ორ მატჩს გამოტოვებენ.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*თბილისის "დინამო" გერმანიაში დღეს გაფრინდა.*

4 ივლისს დინამოელები დაისვენებენ, ხოლო 5-ში შინ დაბრუნდებიან და ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის აქ გააგრძელებენ მზადებას.

გუშინ კლუბის ახალ წევრთა ვინაობაც შევიტყვეთ. ფაქტია, რომ სატრანსფერო ბაზარი საქართველოს არ გასცილებია. ცხადაძის თქმით, რამდენიმე ლეგიონერით "დინამოს" გაძლიერების იდეაზეც მსჯელობენ.

ძველ დინამოელთაგან სანდრო იაშვილი "გლაზგო რეინჯერსში" მიდის გასინჯვაზე. ასე რომ, "დინამო" გერმანიაში მის გარეშე გაემგზავრა. ალბათ უცხოეთში გააგრძელებს საკუთარ კარიერას დათო ჭიჭვეიშვილიც - "დინამოსთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურა; მიხეილ კაკალაძეს, მართალია, გარკვეული ვალდებულებები აქვს "დინამოსთან", მაგრამ გამორიცხული არაა, რომ კლუბმა იგი გაანათხოვროს.

ახლა კი გუნდის შემადგენლობა:

***მეკარეები*** - *ირაკლი ზოიძე, ზვიად სტურუა, ირაკლი თოთლაძე;*

***მცველები*** - *ილია კანდელაკი, სერგი ორბელაძე, შოთა კაშია, კახაბერ ალადაშვილი, გულვერდ თომაშვილი, დავით გიგაური, ვალერი აბრამიძე, ლევან აკობია;*

***ნახევარმცველები*** - *გიორგი ნავალოვსკი, გიორგი ჭელიძე, შოთა გრიგალაშვილი, ლაშა ნოზაძე, დავით ოდიკაძე, შოთა ბაბუნაშვილი, გიორგი ნერგაძე, კახა მახარაძე;*

***თავდამსხმელები*** - *გიორგი მეგრელაძე, ვლადიმერ დვალიშვილი, მიხეილ ბობოხიძე, ლევან მელქაძე.*


სახელი ______ მისამართი

გვარი ______

ასაკი ______ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ______

სიმაღლე ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ______ თარიღი ______

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

გადაცემა

სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით
ბლანკი უფასოა

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგროთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მისი სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# სოფელო, ჩემო სოფელო!

თბილისისათვის მიზანდასახულად სულ უფრო და უფრო პროვინციული იერის მიცემა არც ორი და არც ხუთი წლის წინ არ დაწყებულა. ამ პროცესს ბევრად უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს. თბილისს ამახინჯებდა ან თავისებურად "ალამაზებდა", "ამშვენიერებდა" ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, ან, მაღალი თანამდებობიდან გამომდინარე, ხელი მიუწვდებოდა. ზოგიერთს საკუთარი მშობლიური სოფლის, კარმიდამოს ნოსტალგია, ზოგიერთს პიროვნული ამბიცია, უკულტურობა, ზოგიერთს კი, რბილად რომ ვთქვათ, გაუმაძღრობა ამოძრავებდა. თბილისის დაუნდობლად გაპროვინციალების პროცესი მართალია, დიდი ხნის წინ დაიწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც არ დასრულებულა, არ შეჩერებულა. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობებზე, დაშენებებზე ნებართვის გაცემის კონტროლი ვითომდა გამკაცრდა, ცენტრალური გზები მაინც იგება, სახლები, ავად თუ კარგად, ილებება, უზარმაზარი ბილბორდების ნაწილი მოიჭრა, შუქნიშნები მეტ-ნაკლებად მუშაობს და ა.შ. თბილისის პროვინციულ ქალაქად გადაქცევის ტენდენცია დღესაც აშკარაა. წლების განმავლობაში, წინა ხელისუფლებაში გაცემული ნებართვების საფუძველზე ქალაქის ნებისმიერ უბანში, ქუჩაზე წამოჭიმული შენობების, სხვადასხვა ზომისა და ფორმის შუშის მონსტრების, დაშენებებისა და მიშენებების მიმართ ქალაქის ამჟამინდელი ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა; თბილისის ცენტრალური უბნებიც კი ნაგავში იხრჩობა; მაღაზიების, პატარ-პატარა კერძო ობიექტების ვიტრინები, სარეკლამო ფარები, წარწერები დღესაც მოუწესრიგებელია და თითოეულ ჯიხურს სამი-ხუთი წარწერა ახლავს, გასაყიდი პროდუქციის ან მომსახურების სრული ჩამონათვალით, რაც წარმოუდგენლად უბადრუკ, პროვინციულ შთაბეჭდილებას ქმნის; ქალაქის უძველეს ნაწილში ოდესღაც არსებული ქარვასლებისა და "ვირის ხიდის" ხელოვნური, თითიდან გამოწოვილი აღდგენა, აშენება მაინც გეგმაში რჩება; არქიტექტურული პროექტების მიღება მაინც კონკურსების გარეშე, ფორმალური ტენდერების ან ერთპიროვნული გადაწყვეტილებების ხარჯზე მიმდინარეობს და ა.შ. ჩამოთვლილი ეს ფაქტები და უამრავი სხვა გაპროვინციალების პროცესის უწყვეტობაზე მეტყველებს. პროცესი მიდიოდა და დღესაც მიდის. ქალაქის ხელისუფლება სახლების შეღებვით, გზების დაგებით, სკვერებითა და ქუჩის ტუალეტებით ვერ კმაყოფილდება და საკუთარი შრომისადმი მეტი შემოქმედებითობის შემატებას ხელოვნურად ცდილობს. მართალია, ტუალეტით, დროულად გატანილი ნაგვით ან ვარდისფრად შეღებილი სახლით საქართველოს უახლეს ისტორიაშიც კი შესვლა რთულია. არადა, "იდეებს რა ვუყოო", მაგათზეა ნათქვამი. ხოდა, საკუთარი შემოქმედებითი აღმაფრენის, საკუთარი იდეების განხორციელებას ცდილობენ. ბოლო ორი კვირა თბილისი ახალი შთაგონებების, იდეების მსხვერპლი მერამდენედ გახადეს და როგორც ნამდვილ სოფელში, სახალხო სეირნობის დროს, რუსთაველის გამზირი ისე გადაკეტეს, გინდათ თუ არა, ფეხით აქ ისეირნეთო! ამიხსნას ეგება ვინმემ, რატომ უნდა ვისეირნო? ან ტელევიზორში ერთი მორიდებული მოხუცის მიერ დასმულ შეკითხვას - კი ბატონო, ვივლი ასე წინ და უკანო, მაგრამ დავუშვათ, დავიღალეო, დამცხაო, ცუდად გავხდიო და ჩამოჯდომა მომინდაო, აი, მაშინ რა ვქნაო - ვინმემ პასუხი გასცეს.



არა ბატონო, არც ჩამოჯდეთო და არც დაიღალოთო. ყვითელი ავტობუსებითა და რკინის ჯებირებით ჩახერგილ რუსთაველზე (სულ მიტინგები მახსენდებოდა) წინ და უკან იარეთო და უბადრუკი კონცერტებით დატკბითო! ევროპაში მეტ-ნაკლებად ყველანი ვყოფილვართ, ფეხით მოსიარულე უბნებიც, ქუჩებიც გვინახავს. თბილისშიც გვაქვს ერთი-ორი ასეთი ქუჩა. მაგრამ ამიხსენით, ვის სად გაუგია ცენტრალური ქუჩის ყოველკვირეული გადაკეტვა? ვის უნახავს, რომ შანზელიზე ან კუდამი ყოველ კვირა დღეს სისტემატურად იკეტებოდეს ერთადერთი მიზეზის გამო, რომ იქ გარეუბნებიდან მოსულმა ერთი-ორმა წყვილმა მშვიდად ისეირნოს, ბავშვებმა კი ველოსიპედით და სკეიდბორდით იკატაონ? რატომ ვიგონებთ ყოველ ჯერზე ახალ-ახალ უცნაურობებს? რუსთაველის გამზირზე ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შესაქმნელად მერიის ამგვარი ზრუნვა ძალიან მისასალმებელია, მაგრამ ამ ერთ კვირა დღეს რა ისეთი ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო იქმნება, რომელიც გვერდზე მიმდებარე პარალელური ქუჩების ეკოლოგიურ და არა მარტო ეკოლოგიურ კატასტროფად ღირდეს? ვიწრო, მოუწესრიგებელი, მანქანების ამხელა დატვირთვისთვის არასაკმარისი ქუჩები იჭედება, წარმოუდგენელი საცობები იქმნება, გაუმართავი სამარშრუტო ტაქსები მომწამვლელ შავ ბოლს უშვებენ, ისედაც ავარიული, ძველი სახლები კი ზანზარებს და კიდევ უფრო იბზარება, ენატკბილი მძღოლები მთავრობას ამკობენ, ისედაც გამწარებული ხალხი ათმაგად წვალობს. ჩვენ, თბილისელებმა კი უნდა ვისეირნოთ. წვიმაშიც, გაუსაძლის სიცხეშიც უნდა ვისეირნოთ! რუსთაველზე არც კაფეა, არც ჩამოსაჯდომი, არც ჩრდილი და არც თავშესაფარი, მაგრამ მაინც უნდა ვისეირნოთ! გიჟებივით წინ და უკან, ზემოდან ქვემოთ ვიაროთ! ასე გადაგვიწყვიტეს კვირა დღე და მორჩა!

ნუთუ არ დადგა დრო, რომ ერთხელ და სამუდამოდ გავიგოთ - ხელოვნურად მოგონილი არაფერი ვარგა. არც ქარვასლა, არც "ვირის ხიდი" და არც სახალხო სეირნობა. დღევანდელი თბილისის მდგომარეობა მოზღვავებული სასიკეთო იდეების რეალიზაციის უამრავ საშუალებას იძლევა. საშუალებას, რომელიც ქალაქსაც, მოსახლეობასაც და ხელისუფლების ამბიციებსაც წაადგება. თბილისს ნელ-ნელა დიდი სოფლის იერი ჩამოშორდება და ქვეყნის დედაქალაქის იერი დაუბრუნდება. ჩვენ კი წინასწარ პირობას ვიძლევით, თუ გნებავთ, ხელწერილსაც კი დავწერთ, რომ თქვენ, ერთი შეხედვით, პროზაულ შრომას დაგიფასებთ. გთხოვთ, შემოქმედებით იდეებს შეელიოთ, გარეუბნებში გატარებული ბავშვობის კომპლექსები, რუსთაველზე გასეირნების შორეული ოცნება დაძლიოთ და რაც მართლა გასაკეთებელია, ის აკეთოთ. ქალაქი მოაწესრიგოთ, მერე კი თავად ჩვენ გადავწყვეტთ, კვირის რომელ დღეს რომელ ქუჩაზე ვისეირნოთ.

# სპეციალურად მთვრალი კრიმინალებისათვის

თუ ოდნავ სუსტი ნერვული სისტემა გაქვთ ან ღამე რთულად იძინებთ, ან დღევანდელი ქართული ტელევიზიის კულტურულ-გემოვნებითი კრიზისი თქვენთვის ოდნავ მაინც სულერთი არ არის, მაშინ გირჩევთ, ეცადოთ, თქვენი ტელევიზორები ღამის თორმეტი საათის შემდეგ შემთხვევით IST-ზე არ გადართოთ. გარწმუნებთ, რომ ნერვებიც აგეშლებათ, ძილიც გაგიტყდებათ და დარწმუნდებით, რომ გემოვნებაზე, კულტურაზე საუბარიც კი, სამწუხაროდ, დაგვიანებულია.

ჩემი მეგობრები, ნაცნობები, თანამშრომლები, მეზობლები, ჩემი ოჯახის წევრების მეგობრები და, უბრალოდ, გაზეთ "24 საათის" მკითხველები IST-ს ღამის ეთერის გადაცემის "სანამ შენ გეძინას" ნახვას და შესაბამის რეაგირებას დიდი ხნის განმავლობაში ყოველდღიურად მთხოვდნენ. სრულიად განსხვავებული ასაკის, სოციალური ფენის, პროფესიის, შეხედულებებისა და გემოვნების პიროვნებების თხოვნების სიხშირიდან და დაჟინებულობიდან გამომდინარე მივხვდი, რომ რაღაცა განსაკუთრებულზე იყო საუბარი, რაღაცა ძლიერ დარტყმას მიმზადებდნენ. თუმცა, IST-ს, ფაქტობრივად, არ ვუყურებ და მოსალოდნელი ნერვების აშლაც, რაღა დაგიმალოთ, რატომღაც არ მინდოდა, მიუხედავად ამისა, მეგობრების სიტყვებმა - "ეგეთი არაფერი გინახავს", - ჩემს ცნობისმოყვარეობაზე დამღუპველად იმოქმედა და მე სულელმა IST გულუბრყვილოდ ჩავრთე. ჩავრთე და იმწუთასვე მივხვდი, რომ შევცდი. ეგეთი არაფერი მინახავს?! ნეტავი, სად უნდა მენახა?! ნამდვილად არც მინახავს, არც გამიგონია და მეტიც, არც კი წარმომედგინა. ან როგორ უნდა წარმომედგინა. ამას განსაკუთრებული ფანტაზია სჭირდება. თავისთავად წარმოუდგენელი უგემოვნობის წითელ-ყვითელი თითების ფორმის მქონე სავარძლებში, არც მეტი, არც ნაკლები, ღამის განათებული თბილისის ხიდის ფონზე ვიღაცა დიდსათვალებიანი, ვულგარული ორი გოგო-კარიკატურა რამდენიმე საათის განმავლობაში რაღაცას ამტკიცებენ. რას ამტკიცებენ, მართალი გითხრათ, ვერაფრით გავიგე - საკუთარ თავისუფლებას, უკომპლექსობას, უსქესობას, უკულტურობას, თანამედროვეობას, ელემენტარული ჩარჩოების, ნორმების, წესების უარყოფას თუ რას? თანაც, ამ ფსევდოდამტკიცების მთელი პროცესი მხოლოდ ქალთა კოლონიისთვის ან "პოსეიდონისთვის" შესაფერისი ფორმით მიმდინარეობს.

IST-ს ამ მარაზმატულ პროდუქციას 10, 15, 20 წუთი ვუყურე, გავუძელი, ბოლოს, ნერვებაშლილმა, ტელევიზორი გამოვრთე და საბოლოოდ ძილგატეხილმა ამ წერილის დაწერა გადავწყვიტე.

მართლა, სრული სერიოზულობით მაინტერესებს, ეს "გადაცემა" ვისთვის არის გათვალისწინებული. რომ კეთდებოდა, ვისთვის კეთდებოდა ან რისთვის? ლათინოამერიკული სერიალების უარყოფითი პერსონაჟების მსგავსი ეს გოგო ვინ და რა ნიშნით შეარჩია? ნუთუ ელემენტარული კასტინგი არ ჰქონდათ? აბა, როგორ დავიჯერო, რომ ეს ორი კომიქსი წინასწარ ნახეს, მოუსმინეს, გაესაუბრნენ და მოიწონეს? საინტერესოა, მათ იმიჯზე, სათვალეების ზომაზე, ცირკის მიდამოებისთვის შესაფერის ჩაცმულობაზე, ჯდომის მანერაზე, ჟესტიკულაციაზე ვინ იზრუნა? ან სტუდია ვინ გაუფორმა? ვინ ჭკუათმყოფელმა ჩათვალა, რომ ამ გროტესკს მაინცდამაინც თბილისის ფონი მოუხდებოდა? ან წამყვანების ტექსტს, შემოსულ ზარებზე უშუალოდ გაცემულ პასუხებს ოდნავ მაინც ვინმე აკონტროლებს თუ აბსოლუტურად სულერთია, ეთერში რა გავა. და ეს ორი "ინტელექტუალი" თავის ნებაზეა მიშვებული, თავისუფალ ვარდნაში არიან? ან როგორ დავიჯერო, რომ მათი მშობლები კმაყოფილები არიან და შვილების საქმიანობაზე დასმულ შეკითხვას ამაყად პასუხობენ - "ჩვენი გოგონა IST-ს გადაცემა "სანამ შენ გეძინას" პოპულარული წამყვანია. ნახეთ აუცილებლად". არა, ამას ვერაფრით დავიჯერებ! ასევე ძალიან მაინტერესებს, ამ გადაცემით, თუ ამას საერთოდ შეიძლება გადაცემა ვუწოდოთ, ვისი მეთოდური მოწამვლა, გახრწნა აქვთ დასახული მიზნად? ჩვენი შვილების?! აი, ამის უფლება კი, მე მგონი, არც მე და არც თქვენ არ უნდა მივცეთ და შვილების შხამისგან დასაცავად ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ. თუმცა, მე მგონი, ეს ის შემთხვევაა, როდესაც შვილებმა ჩვენზე ბევრად უკეთაც კი იციან, რა არის კარგი და რა ცუდი.

რეალურად, დღეს ქართული ტელევიზიის არც ერთი ისეთი არხი არ არსებობს, რომელსაც ერთი-ორი საკამათო, ჩემი აზრით, გემოვნებითი ლაფსუსი-გადაცემა არ ჰქონდეს, მაგრამ "სანამ შენ გეძინამ" ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა. ჩვენი ტელევიზიის ნებისმიერ იუმორისტულ შოუზე ზოგიერთს ეცინება. მაგალითად, "ნიკა ქავთარაძის შოუზე" თურმე ნოდარ ლადარიას ეცინება, ზოგიერთს კი, მაგალითად მე, არა. ეს ჩვენი ნებაა. კაცია და გუნება. ვიღაცას მოსწონს და ვიღაცას არა, მაგრამ "სანამ შენ გეძინაში" ლადარიასნაირ ლოიალურ, იუმორით აღსავსე ადამიანსაც კი რა შეიძლება მოეწონოს, ვერაფრით ვხვდები. გადაცემაში, ჩემი აზრით, არც იუმორია, არც შინაარსი, არც დინამიკა, არც კარგი მუსიკა, არც ქალური მომხიბვლელობა, არც იდეა, არც ესთეტიკა და საერთოდ არაფერი. გადაცემის მსვლელობისას ეთერში შემოსული ზარებით თუ ვიმსჯელებთ, აგდებული, უპატივცემულო, შეურაცხმყოფელი, დამცინავი დამოკიდებულების მეტს გადაცემა არაფერს იწვევს. წამყვანების ერთადერთი პლუსი კი ის არის, რომ არც ერთ შემთხვევაში არ იბნევიან და უპრობლემოდ უზრდელობაზე უზრდელობით, შეურაცხყოფაზე - შეურაცხყოფით, აგდებულობაზე - აგდებულობით, ვულგარულ, თავაშვებულ წათამაშებაზე კი თავაშვებული წათამაშებითვე პასუხობენ, ჯერარგაგონილ ლექსიკონს ხმარობენ (ენათმეცნიერებისთვის, შესაძლებელია, საინტერესოს), წარმოუდგენელი სისხარტით ახალ-ახალ словечк-ებს იგონებენ და მხოლოდ მათთვის გასაგებ ხუმრობებზე "კეკლუცად" იცინიან.

ვიცი, რომ ჩემს აღშფოთებაზე ერთი მარტივი პასუხი არსებობს - თუ არ მოგწონს, გადართე და ნუ უყურებ. მე კი აუცილებლად გადავრთავ. მეტი ასეთი სისულელე აღარ დამემართება და "სანამ შენ გეძინას" ჩემს ცხოვრებაში აღარ შევხედავ. აბა IST-ს გავათენებინო ღამე? მაგას ავაშლევინო ნერვები? სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ გადაცემის მომწამვლელობის დოზა იმდენად ძლიერია, რომ ერთი ნახვით მიღებული უგემოვნობის შხამიც კი საკმარისია სერიოზული ინტოქსიკაციისთვის. მაშ, რატომ ვაწამლინებთ თავს? არ შევხედოთ და მორჩა! მაგრამ მთვრალ კაცებს რა ვუყოთ, რომლებიც გადაცემაში დამრეკავთა სრულ უმრავლესობას წარმოადგენენ? აუ, ამდენ მსჯელობა-მსჯელობა, წერა-წერაში ახლა მივხვდი, ეს გადაცემა ვისთვის არის განკუთვნილი!

მთვრალი კაცებისთვის, უმჯობესია, კრიმინალური ბიოგრაფიით!

# გურული მხედრები ამერიკაში











"კაცის გული უბედური მაგარია თურმე. მეორე წელია, ამერიკაში ვარ, მარა ჯერ ვერ მივეჩვიე. ქვეყანაა, უკეთეს ვერ ინატრი, მარა ჩემი... მიდგას თვალწინ, ჩემი ოდას სული მენატრება... მახსენდება ბაღნობაში, ბაბაი რომ დაკლავდა ღორს, ჩუუშვებდა მარილიან წყალში, სამი კვირის მერე ამეიღებდა და ჩამოკიდებდა ქუხნაში შუაცეხლზე. აი, ხორცი ნელნელა იფუტებოდა და იმისანა გემრიელი იყო, ჭამით ვერ გაძღებოდი... მაინც მოვესწრობი ფულის შოვნას სახში დასაბრუნებლათ და იმით მაქ გული მაგრათ"...

ასე წერდა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ამერიკაში მყოფი "გურული მხედრების" ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომლის ზუსტი ვინაობა დადგენილი არ არის. უნდა გამოგიტყდეთ, რომ გურული მხედრების შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი მსმენია. ნამდვილად არ ვიცოდი, რომ 30 წელზე მეტხანს ისინი ამერიკულ ცირკებსა და შოუებში გამოდიოდნენ. არც ის ვიცოდი, რომ მათ "კაზაკებს" ეძახდნენ და არც ის, რომ სწორედ ამ გურულმა მხედრებმა ამერიკელ კოვბოებზე დიდი გავლენა იქონიეს და მათი ტრიუკების ხარჯზე ასეთი ცნობილი ამერიკული როდეო კიდევ უფრო სანახაობრივი გახდა. ამ კვირაში "გურული მხედრების" გასახსენებელ-ინფორმატიული გამოფენის ნახვის საშუალება ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთ-ერთ გურულ ოდაში მოგვეცა. ზუსტად ისეთ ოდაში, როგორის სულიც მე-19 საუკუნეში მხედარს ასე ენატრებოდა. გამოფენაზე გურულების ამერიკული პერიოდია წარმოდგენილი. საინტერესო ეპოქა, კოლორიტული, ლამაზი სახეები, ნაციონალური კოსტიუმები, უცნაური, მოულოდნელობებით აღსავსე ბიოგრაფიები, ნოსტალგიითა და სევდით სავსე თვალები. ასეთია წარმოდგენილი ფოტოების უმეტესობა.

ოდის გარეთ კი სტუმრებს თანამედროვე ფურშეტი, კოვბოურ ქუდებსა და ჯინსებში, ჩოხებში გამოწყობილი ხალხი, ქართული და ამერიკული სიმღერები, მომტანების მიერ ერთჯერად ჭიქებში ჩამოტარებული ლობიო და მჭადი, ინგლისურ და ქართულენოვანი საუბარი, ქართული ღვინო და ჩვენთვის უჩვეულოდ დამზადებული ცივი ლიმონათი, ჭიქით ხელში ბალახში სიარული, ღიმილი და ივნისისთვის დამახასიათებელი მცხუნვარე მზის გამო ჩრდილის ძიება ელოდათ.

ასეთი იყო ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე ამერიკის ელჩისა და მისი მეუღლის, მინისა და მინერალური წყლების კომპანიისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ მოწყობილი წარმოდგენა - გამოფენა-მიღება, რომლის მთავარი მიზეზი ამერიკაში გურული მხედრების მოგონება იყო.

ჩვენ ხომ ასე ვენატრებოდით მათ.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ღია ტენდერს ორ ლოტად დაყოფილ თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის საზღვარი) საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**ლოტი-1:** თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის საზღვარი) საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.65-კმ.66 მონაკვეთის რეაბილიტაცია;

**ლოტი-2:** თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის საზღვარი) საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.117(0.3), კმ.118(0.3), კმ.119(0.4) მონაკვეთის რეაბილიტაცია.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 5 ივლისის 1000 საათიდან 2005 წლის 5 ივლისის 12.00 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება. წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში მითითებული უნდა იქნას დაინტერესებულ პირს რამდენ ლოტზე სურს ტენდერში მონაწილეობის მიღება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

**ლოტი-1:** თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.65-კმ.66 მონაკვეთის რეაბილიტაცია;

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოგრეიდერი | 2 |
| 2 | ასფალტდამგები | 1 |
| 3 | საძირკვავ-შემგროვებელი | 1 |
| 4 | ბუჩქსაჭრელი | 1 |
| 5 | კომპრესორი მოძრავი | 1 |
| 6 | სამტვრევი ჩაქუჩი | 1 |
| 7 | პნევმატური სატკეპნი | 1 |
| 8 | ვიბრაციული სატკეპნი | 1 |
| 9 | სატკეპნი გლუვვალციანი | 1 |
| 10 | ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.4 მ³ | 1 |
| 11 | საგზაო ფრეზი | 1 |
| 12 | ბორტიანი მანქანა | 2 |
| 13 | ავტოთვითმცლელები | 5 |

**ლოტი-2:** თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.117(0.3), კმ.118(0.3), კმ.119(0.4) მონაკვეთის რეაბილიტაცია.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოგრეიდერი | 1 |
| 2 | ასფალტდამგები | 1 |
| 3 | კომპრესორი მოძრავი | 1 |
| 4 | სამტვრევი ჩაქუჩი | 1 |
| 5 | პნევმატური სატკეპნი | 1 |
| 6 | ვიბრაციული სატკეპნი | 1 |
| 7 | სატკეპნი გლუვვალციანი | 1 |
| 8 | ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.4 მ³ | 1 |
| 9 | საგზაო ფრეზი | 1 |
| 10 | ბორტიანი მანქანა | 1 |
| 11 | ავტოთვითმცლელები | 4 |

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.
- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს;
- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 8 ივლისის 10.00 საათიდან 2005 წლის 8 ივლისის 17.00 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ, ასევე ორივე ლოტზე. ორივე ლოტზე შესაძლებელია, როგორც ერთი გამარჯვებულის, ასევე ცალ-ცალკე ლოტზე თითო გამარჯვებულის გამოვლენა.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა თითოეულ ლოტზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.63.95 გია დიასამიძე.

*სატენდერო კომისია*

სკანვორდი




# განცხადება

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული ხაზინის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

საგადასახადო დავალებების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - 1

საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 400 ლარი).

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ - კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

უმაღლესი ეკონომიკური განათლება;

კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

კონკურსს ატარებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსის დროს გამოვლენილი პროფესიული ცოდნის, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის კადრებთან მუშაობის სამმართველოში, წერილობით განცხადებასთან ერთად, უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური.

ტელ: 36-46-04; 33-48-95.

*საჯარო სამსახურის ბიურო*

# კიდევ ერთი ნიშნობა ეიფელზე



ეიფელის კოშკი რომ რომანტიკულ ადგილებს შორის ერთ-ერთი ყველაზე შაბლონური, მაგრამ მაინც მაცდუნებელი პუნქტია, ყველამ იცის. თუმცა, ტომ კრუზისთვის ის მაინც ყველაზე, ყველაზე რომანტიკული აღმოჩნდა. ცნობილმა ჰოლივუდელმა ორი გახმაურებული ქორწინების (მიმი როჯერსთან და ნიკოლ კიდმანთან) და ერთი გახმაურებული რომანის (პენელოპა კრუსთან) შემდეგ, ხელი ახალ შეყვარებულს ქეითი ჰოლმსს სთხოვა. "მოდი, დავქორწინდეთ" - ეს სიტყვები კი მან ეიფელის კოშკის უმაღლეს წერტილზე მდგარმა წარმოთქვა. შემდეგ პარიზში გამართულ პრესკონფერენციაზე ახსნა კიდეც თავისი გადაწყვეტილება: "დიახ, ქეითის მე გუშინ ღამით ვთხოვე ხელი... ეს კი აქ, პარიზში, ეიფელის კოშკზე გავაკეთე, რადგან პარიზი ულამაზესი და ძალიან რომანტიკული ქალაქია. მთელი ღამე ვერ დავიძინე. ეს საოცარი შეგრძნებაა", - გულღიად საუბრობდა მსახიობი და თან დარბაზში მჯდომ ჰოლმსს ულიმოდა შორიდან.

ტომ კრუზი და 26 წლის ქეითი ჰოლმსი პარიზში კრუზის ბოლო ფილმის "სამყაროთა ომის" სარეკლამო ტურნეს გამო იმყოფებიან. სურათი სტივენ სპილბერგს ეკუთვნის და ის ამერიკაში უკვე ბლოკბასტერია. არც ჰოლმსია უფილმოდ. ის მსოფლიოს გარშემო მეორე ჰოლივუდური ბლოკბასტერის "ბეტმენი დასაწყისის" გამო მოგზაურობს. "ძალიან ბედნიერი ვარ" - ასეთი ლაკონური იყო მისი კომენტარი პრესასთან, ამიტომაც ჟურნალისტები იძულებულნი გახდნენ, მსხვილი პლანით და სხვადასხვა რაკურსით გადაეღოთ მისი ნიშნობის ბეჭედი.

ჟურნალისტებს ასე ხშირად ტყუილად არ ვახსენებთ. მას შემდეგ, რაც წყვილმა რომანის შესახებ გავრცელებული ხმები აპრილში ოფიციალურად დაადასტურა, კრუზსა და ჰოლმს პრესა გამუდმებით თან დაჰყვება. მათი კომენატრები კი ყოველთვის იმდენად გულწრფელი და ხშირად ინტიმურიცაა, რომ ზოგიერთი მიმომხილველი დაეჭვდა, სარეკლამო ტრიუკი ხომ არ არის და კრუზი და ჰოლმსი თავიანთი გულღიაობით ახალი ფილმებისადმი ყურადღების მიპყრობას ხომ არ ცდილობენო.

თუმცა, ურთიერთობა სერიოზული ჩანს. ჰოლმსი კი ვარსკვლავი შეყვარებულის წყალობით, თვითონაც სულ უფრო პოპულარული ხდება. სანამ ტომ კრუზს გაიცნობდა, ის მსახიობ კრის კლაინზე იყო დანიშნული. როდის შედგება კრუზი-ჰოლმსის ქორწილი, ჯერჯერობით, უცნობია.

# ყველაზე გავლენიანები



თქვენ წინაშეა ჟურნალი "ფორბსი" მორიგი ნუსხით. ჟურნალის რედაქცია მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების ტრადიციულ ყოველწლიურ ასეულს აქვეყნებს. შარშანდელი "პირველადგილოსანი" - მელ გიბსონი წელს მესამეზეა ჩამოქვეითებული, მას წინ გოლფის მოთამაშე ტაიგერ ვუდსი უსწრებს, პირველ ადგილს კი - თოქ-შოუების დედოფლად მონათლული ოფრა უინფრი ფლობს. უინფრის გადაცემას ყოველკვირეულად 30 მილიონი ადამიანი უყურებს. ბოლო 12 თვის განმავლობაში კი მისი შემოსავალი დაახლოებით 225 მილიონ დოლარს აღწევს.

ყველაზე გავლენიანებსაც ხომ "ფორბსი" ამ კრიტერიუმებით არჩევს: სიაში მოხვედრილი ვარსკვლავები სხვათაგან უნდა გამოირჩეოდნენ პრესისა და ინტერნეტმედიის განუზომელი ყურადღებით და, ცხადია, დიდი შემოსავლით, რომელსაც "ფორბსის" ანალიტიკოსები 2004 წლის ივნისიდან 2005 წლის ივნისის ჩათვლით ითვლიან.

მეოთხე ადგილზე "ვარსკვლავეთის ომების" გამჩაღებელი ჯორჯ ლუკასი გავიდა. სხვათა შორის, ის ოთხი წელია, "ფორბსის" ნუსხაში არ მოხვედრილა. წელს კი მისმა შემოსავალმა დაახლოებით 290 მილიონ დოლარს მიაღწია და "ფორბსის" გავლენიანთა კარიც ლუკასისთვის ასე გაიღო.

სიაში არიან სრულიად ახალბედებიც. მაგალითად, "ოსკარით" დაჯილდოებული მსახიობი დენზელ ვაშინგტონი და უილ ფერელი. ეს უკანასკნელი, 40 მილიონი დოლარის შემოსავლით, სიაში ყველაზე წარმატებული მსახიობიც აღმოჩნდა.

წინა წლების იღბლიანებიდან კი წელს არ გაუმართლათ: ჯიმ კერის, ტომ ჰენქსს და "როლინგ სტოუნზს" - მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი შარშანდელი სუპერწარმატებული მსოფლიო ტურნეს გამო შარშან ასეულის მეხუთე ადგილზე გავიდა.

წელს პოზიციები დათმო ჯ.ქ. როულინგმაც - მეექვსე ადგილიდან ის 22-ეზე გადავიდა. მეორე ბესტსელერი მწერალი, "და ვინჩის კოდის" ავტორი დენ ბრაუნი კი მე-12 ადგილზეა. "ბი ბი სი"-მ საგანგებოდ გამოჰყო წლევადელ ასეულში შესული ბრიტანელებიც: ელტონ ჯონი (ის "ფორბსის" გავლენიანების ყველაზე გავლენიანი ბრიტანელია 44 მილიონი დოლარის ოდენობის შემოსავლით), როდ სტიუარტი (32-ე ადგილი) და კეიტ მოსი (93).

პირველი ათეული კი ასეთია: ოფრა უინფრი, ტაიგერ ვუდსი, მელ გიბსონი, ჯორჯ ლუკასი, შაკილ ო`ნილი, სტივენ სპილბერგი, ჯონი დეპი, მადონა, სერ ელტონ ჯონი, ტომ კრუზი.




# ელდარ რიაზანოვმა პეტერბურგში ანდერსენზე ფილმის გადაღება დაიწყო

**ვაჩესლავ ტიხონოვი...**
**ღმერთის როლში მოგვევლინება**

პეტერბურგში ელდარ რიაზანოვმა დაიწყო გადაღება ფილმისა "ანდერსენი. ფანტაზია თემაზე". სურათის ბიუჯეტი 12 მილიონ დოლარს აღემატება. ფილმს სამი ქვეყანა აფინანსებს - რუსეთი, იტალია და გერმანია. როგორც ცნობილია, 2005 წელს დანიელი მეზღაპრის დაბადებიდან 200 წელიწადი გადის.

ფილმის სიუჟეტს საფუძვლად უდევს მეზღაპრის რეალური ბიოგრაფია. დამწყებ მწერალს ჰანს ქრისტიან ანდერსენს კოლეგებმა შემოქმედება დაუწუნეს, რის შემდეგაც ზღაპრების წერას მიჰყო ხელი. ფილმი მწერლის ცხოვრების რეალური ფაქტებისა და ზღაპრების ნაკრები იქნება, რომელთაგან ბევრი ავტობიოგრაფიულია.

ანდერსენის ზოგიერთი ბიოგრაფი ამტკიცებს, რომ პრინცესასა და მეღორის ზღაპარში მწერალმა საკუთარი სასიყვარულო დრამა აღწერა - როცა შვედ მომღერალ ჯენი ლინდზე თავდავიწყებით იყო შეყვარებული, ის კი უბრალო ქალის ყურადღებას ვერ ამჩნევდა.

რიაზანოვი აზუსტებს: "**მომავალი ფილმი ფანტასტიკის მაგვარი იქნება, სადაც ზღაპრული ისტორიებს ავტორი საკუთარი შემოქმედების წარმატებული გმირია. ის, რაც ვერ მიიღო ცხოვრებაში - სიყვარული, ბედნიერება, წარმატება, მეგობრობა - თავის ზღაპრებში ყველაფერს სრულად მიიღებს. ფილმში ფერიებს, ტროლებსა და სხვა ზღაპრულ პერსონაჟებსაც ნახავთ**".

რიაზანოვმა სურათზე თავისი საყვარელი მსახიობები მიიწვია - ლია ახეჯაკოვა (მკითხავის როლში), ალექსანდრ შირვინდტი (კუბოების სახელოსნოს მეპატრონე), ოლეგ ტაბაკოვი (მეისლინგი), ვალერი გარკალინი (ქრისტიან-პრინცი, მეფე) და სხვები. ახალგაზრდა ანდერსენს სტანისლავ რიადინკი ითამაშებს (სერიალები "პატიოსნების კოდექსი", "სიყვარულის თილისმა"). რიაზანოვთან მუშაობაზე დათანხმდა ვიაჩესლავ ტიხონოვიც, რომელიც აქამდე ყველა კინოშეთავაზებაზე უარს ამბობდა. რამდენიმე დღით ვიაჩესლავი პიტერში "ანდერსენის" გადაღებებზე გაემგზავრა მითიურ ადამიანად გადასაქცევად (კინოჯგუფში ამბობენ, რომ ეს, ფაქტობრივად, ღმერთის როლია, რომელიც ფილმის მთავარ გმირს ეხმარება).




USAID FROM THE AMERICAN PEOPLE Save the Children.

# განცხადება

საერთაშორისო ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ახორციელებს სს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტის კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის რეაბილიტაციას. აღნიშნული ინსტიტუტი მდებარეობს ქ.თბილისში ნინოშვილის ქ. 55.

პროექტის ფარგლებში ცხადდება ტენდერი სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი სამშენებლო კომპანიის გამოსავლენად.

დაინტერესებული კომპანიების სატენდერო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარება იწარმოებს 2005 წლის 20 ივნისიდან 27 ივნისის 12 საათამდე (კომპანიის წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილების დამადასტურებელი წერილი) მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N8, მეოთხე სართული, ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები"

კონსულტაცია გაიმართება მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N8, მეოთხე სართული, ფედერაციის "გადავარჩინოთ ბავშვები" ოფისში 2005 წლის 23 ივნისს 12.00 სთ, ინდივიდუალური კონსულტაციები არ ჩატარდება.

**ტ. 8 (32) 99 54 54; 99 64 00**
**საკონტაქტო პირი: თამარ წერეთელი,**
**მობ: 899 50 12 29**




